

ღტოლვილის სტატუსის დადგენა

დაუადგინოთ, ვინ არის ღტოლვილი

სასწავლო მოდული 2



შენიშვნა

ეს დოკუმენტი შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (გლუკ) ოფისის საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტის მიერ. ამ დოკუმენტის შინაარსის გაგრძელება, გადაღება და გამოცემა დასაშვებია გლუკ-ის წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა მასალის გამოყენებისას უნდა მიუთითოთ, რომ ინფორმაციის წყარო გლუკ-ია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის
ოფისი
კასე პოსტალე 2500
CH - 1211 ქენევა 2
შვეიცარია

ფაქსი: + 41 22 73 97 35 4
ელ-ფოსტა HQPRO@unhcr.org
ვებ-მისამართი: www.unhcr.org

ლტოლვილის სტატუსის დადგენა

დავადგინოთ, ვინ არის ლტოლვილი?

სახსრავლო მოდული 2

გამოცემა ქართულ ენაზე მომზადებულია საქართველოს გაეროს ასოციაციაში (საგა) გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს პროექტის ფარგლებში

თბილისი, 2010 წ., საგა

მთარგმნელები:

სათუნა მადურაშვილი, ლტოლვილთა და მიგრაციის პროგრამების დირექტორი, საგა
თამარ ქიქავა, სამართლებრივი ოფიცერი, ლტოლვილთა და მიგრაციის პროგრამა, საგა

რედაქტორი:

ნანა ფრუიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საქართველოს გაეროს ასოციაცია

დოლიძის 2, თბილისი 0171, საქართველო

ტელ/ფაქსი: (995 32) 33 52 16; (995 32) 33 25 16

ელ.ფოსტა: una@una.ge

ვებ-მისამართი: www.una.ge

სარჩევი

ლტოლვილის სტატუსის დადგენა

დავადგინოთ, ვინ არის ლტოლვილი.....	7
მიმოხილვა.....	7
მიზანი	7
შინაარსი	8
თავი I: განსაზღვროთ, ვინ არის ლტოლვილი	9
1.1 რა არის ლტოლვილის სტატუსის დადგენა?	10
1.2 ვინ არის ლტოლვილი?	11
1.2.1 ლტოლვილის განმარტება 1951 წლის კონვენციის მიხედვით.....	11
1.2.2 ლტოლვილის განმარტება რეგიონულ დოკუმენტებში	13
1.2.2.1 აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენცია	13
1.2.2.2 კართაგენის დეკლარაცია	14
1.2.3 ლტოლვილის ცნება ეროვნულ კანონმდებლობაში	14
1.2.4 ლტოლვილის განმარტება გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის მიხედვით.....	15
1.3 რატომ არის აუცილებელი ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა?.....	18
1.4 ვინ არის პასუხისმგებელი, განსაზღვროს ლტოლვილის სტატუსი?	18
1.4.1 სახელმწიფოები	18
1.4.2 გლუკ-ი	20
1.5 როგორ წარმოებს ლტოლვილის სტატუსის დადგენა?	21
1.5.1 ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალურად განსაზღვრა	21
1.5.2 ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა ჯგუფური საფუძველით.....	22
1.6 რა შედეგს იწვევს ლტოლვილად აღიარება?	23
1.6.1 გაძევებისგან დაცვა	23
1.6.2 სხვა უფლებები და შეღავათები	25
1.6.3 გრძელვადიანი გადაწყვეტილება	27
მოკლე მიმოხილვა	29
ძირითადი საკითხავი	32
თავი I - სავარჯიშოები.....	33
I თავის სავარჯიშოების პასუხები	37
თავი II: უფლებრივი კრიტერიუმები – დადგენა 1951 წლის კონვენციის მიხედვით	
2.1 შესავალი	42
2.2 ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტების ელემენტები	43
2.2.1 მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ყოფნა.....	43
2.2.2 საფუძველიანი შიში.....	44
2.2.2.1 სუბიექტური ელემენტი: შიში	44
2.2.2.2 ობიექტური ელემენტი: „საფუძველიანი“	44
2.2.3 დევნა	47
2.2.3.1 „დევნის“ არსი	47
2.2.3.2 დასაცავი უფლებების მაგალითები	48
2.2.3.3 „დევნის“ საზღვრები	49
2.2.3.4 დევნა თუ სისხლის სამართლებრივი დევნა?.....	50

2.2.3.5	გარემოებები, რომლებიც არ ითვლება დევნად	51
2.2.4	1951 წლის კონვენციის საფუძვლები	52
2.2.4.1	რასა	53
2.2.4.2	რელიგია	54
2.2.4.3	ეროვნება	55
2.2.4.4	გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება	55
2.2.4.5	პოლიტიკური შეხედულება	56
2.2.5	სახელმწიფოებრივი დაცვის არსებობა	57
2.2.5.1	დევნის აგენტები	58
2.2.5.2	შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივა	59
2.3	განსაკუთრებული საკითხები	61
2.3.1	გენდერული დევნა	61
2.3.2	განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მიღების თაობაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების გამო	62
2.3.2.1	სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებული დევნა	63
2.3.2.2	პირები, რომლებიც უარს ამბობენ სამხედრო სამსახურის გავლაზე იდეოლოგიური მოსაზრების გამო	64
2.3.3	ადგილზე (sur place) ლტოლვილები	65
2.3.4	შეიარაღებულ კონფლიქტს გამოქცეული პირები	67
	მოკლე მიმოხილვა	71
	ძირითადი საკითხავი	73
	თავი II – სავარჯიშოები	74
	II თავის სავარჯიშოს პასუხები	82

თავი III: დადგენის კრიტერიუმები – გამორიცხვა..... 95

3.1	შესავალი	96
3.2	იმ პირების გამორიცხვა, რომელთაც არ ეკუთვნით 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული შეღავათები	98
3.3	იმ პირების გამორიცხვა, რომლებიც არ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას	101
3.4	იმ პირების გამორიცხვა, რომლებიც არ იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას	102
3.4.1	გამომრიცხავი გარემოებები IF მუხლის მიხედვით –ზოგადი მიმოხილვა	102
3.4.2	1951 წლის კონვენციის IF მუხლის გამოყენება	103
3.4.3	განსაკუთრებული საკითხები	112
3.4.3.1	გამორიცხვა განმცხადებლის მიერ ბავშვობაში ჩადენილი ქმედებებისთვის	112
3.4.3.2	გამორიცხვა მასობრივი შემოსვლის დროს	113
3.4.3.3	გამორიცხვა და „ტერორიზმი“	114
3.5	გამორიცხვის შედეგები	117
	მოკლე მიმოხილვა	119
	ძირითადი საკითხავი	122
	თავი III – სავარჯიშოები	123
	III თავის სავარჯიშოების პასუხები	128

თავი IV: ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა 141

4.1	შესავალი	142
4.2	გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა	143
4.2.1	პირის კონკრეტულ ქმედებაზე დაფუძნებული შეწყვეტა	143
4.2.2	გარემოებების არსებით ცვლილებაზე დამყარებული შეწყვეტა	144
4.3	შეწყვეტა და ლტოლვილის სტატუსის დადგენა	146
4.4	როგორ განვასხვავოთ ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა ჩამორთმევისა და	

გაუქმებისაგან.....	147
მოკლე მიმოხილვა	148
ძირითადი საკითხავი.....	150
თავი IV – სავარჯიშოები.....	151
IV თავის სავარჯიშოს პასუხები.....	153
თავი V: ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები.....	156
5.1 შესავალი	157
5.1.1 სამართლებრივი ჩარჩო	157
5.1.2 ძირითადი პრინციპები.....	158
5.2 სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურები	159
5.2.1 თავშესაფრის მოთხოვნათა განხილვის სპეციალური პროცედურები.....	160
5.2.2 თავშესაფრის მიმნიჭებელი სპეციალური ორგანო.....	160
5.2.3 ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების ხელმისაწვდომობა.....	162
5.2.3.1 დაშვების პროცედურები	162
5.2.3.2 დაუშვებლობის საფუძვლები.....	163
5.2.3.3 გარემოებები, რომელთა გამოც გაუმართლებელია დაშვებაზე უარის თქმა	164
5.2.4 ძირითადი პროცედურული მოთხოვნები.....	165
5.2.5 პირადი გასაუბრების ჩათვლით, თითოეული განაცხადის ინდივიდუალური შეფასება.....	166
5.2.6 კონფიდენციალურობა	166
5.2.7 გადაწყვეტილება	167
5.2.8 გასაჩივრება ან გადახედვა.....	167
5.3 სპეციალური პროცედურები.....	169
5.3.1 დაჩქარებული პროცედურები.....	169
5.3.1.1 აშკარად დაუსაბუთებელი მოთხოვნები.....	169
5.3.1.2 ყალბი ან არაკეთილსინდისიერად გაკეთებული განაცხადი	170
5.3.1.3 პროცედურული გარანტიები და ჩვეულებრივ პროცედურულ რეჟიმში გადასვლა	171
5.3.2 აეროპორტში ჩატარებული პროცედურები	172
5.3.3 გასაჩივრების დაჩქარებული პროცედურები	173
5.4 განსაკუთრებული ზომები	173
5.4.1 ლტოლვილი ქალები	173
5.4.2 განცალკევებული ან თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები	174
5.4.3 ხანდაზმული განმცხადებლები	176
5.4.4 ფსიქიკური პრობლემების მქონე განმცხადებლები	176
მოკლე მიმოხილვა.....	177
ძირითადი საკითხავი.....	180
თავი V – სავარჯიშოები.....	181
V თავის სავარჯიშოების პასუხები.....	183

ლტოლვილის სტატუსის დადგენა დავადგინოთ, ვინ არის ლტოლვილი

მიმოხილვა

როგორც სახელმწიფოს და ასევე გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს (გლუკ-ი) აკისრიათ ვალდებულება, უზრუნველყონ ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა. პროცესს, რომლის დროსაც თავშესაფრის ქვეყანა ან გლუკ-ი ადგენენ, არის თუ არა პირი, რომელიც ითხოვს საერთაშორისო დაცვას, ლტოლვილი, ანუ აკმაყოფილებს თუ არა ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო ან რეგიონული ინსტრუმენტების, ეროვნული კანონმდებლობის ან გლუკ-ის მანდატის დასაშვებობის კრიტერიუმებს, ეწოდება „ლტოლვილის სტატუსის დადგენა“.

მიზანი

მოდული მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს გლუკ-ის თანამშრომლებს შორის ლტოლვილის სტატუსის დადგენისადმი ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას;
- გააცნოს გლუკ-ის პატრნიორებს: სამთავრობო, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები დაშვების არსებული კრიტერიუმებისა და პროცედურული ასპექტების გათვალისწინებით;
- შეიტანოს წვლილი „სამართლებრივი დაცვის პროგრამის“ (*Agenda for Protection*) ძირითადი მიზნების განხორციელებაში. ეს არის მთელი მსოფლიოს მასშტაბით თავშესაფრის მაძიებლების და ლტოლვილთა დაცვის გაუმჯობესებისკენ მიმართული საქმიანობის პროგრამა, რომელიც შეთანხმებულია, სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გლუკ-თან. ეს პროგრამა საერთაშორისო დაცვის პროცესის შესახებ გლობალური კონსულტაციების ნაწილია, რომელიც დაამტკიცა გლუკ-ის აღმასრულებელმა კომიტეტმა და რომელსაც მხარი გენერალურმა ასამბლეამ დაუჭირა.

შინაარსი

ამ მოდულის ხუთი თავი მოიცავს ინფორმაციას ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის შესახებ:

- ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული ძირითადი კითხვები;
- ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის ლტოლვილის ცნების „დამდგენი“ კრიტერიუმები;
- ლტოლვილის სტატუსის „გამომრიცხავი“ პირობები 1951 წლის კონვენციის თანახმად;
- ლტოლვილის სტატუსის „შეწყვეტის“ პირობები 1951 წლის კონვენციის თანახმად; ურთიერთდამოკიდებულება შეწყვეტასა და ლტოლვილის სტატუსის დადგენას შორის;
- ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალური განსაზღვრის დროს მხედველობაში მისაღები ძირითადი პრინციპები და გარანტიები;

თითოეული თავი იწყება ძირითადი სასწავლო საკითხების ჩამონათვლით და სრულდება მოკლე მიმოხილვით, რომლის გამოყენება შესაძლებელია საპრეზენტაციოდ სწავლებებზე. თითოეული თავის ბოლოს მოცემულია ძირითადი საკითხავი ლიტერატურის ნუსხა.

დამატებით წარმოდგენილია სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ხოლო პასუხები, რომელთა უმეტესობა ტექსტში მოიპოვება, თითოეული თავის ბოლოს ცალკე ფურცელზეა მოცემული.

მოდულში გამოყენებული ენა განისაზღვრა როგორც არასამართლებრივი და არატექნიკური.

ინფორმაცია წვრთნისათვის დამატებითი მასალისა და პროგრამების შესახებ შესაძლოა მიიღოთ გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტში, ქენევაში.

თავი I

განსახლებროთ, ვინ არის ლტოლვილი



ძირითადი მიზნებია:

გაიგოთ, თუ რომელი ძირითადი ელემენტებით განისაზღვრება ლტოლვილის სტატუსი

გააცნობიეროთ ლტოლვილის ცნების არსი

იცოდეთ, ვინ არის პასუხისმგებელი, რომ გადაწყვიტოს, არის თუ არა პირი ლტოლვილი და რა პროცედურებია გასავლელი ამ სტატუსის მოსაპოვებლად

ამ თავში ჩამოყალიბებულია ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები. ახსნილია ტერმინ „ლტოლვილის სტატუსის დადგენის“ მნიშვნელობა და მიზანი - განისაზღვროს, ვინ არის ლტოლვილი. თავში წარმოდგენილია ცნება ლტოლვილის მნიშვნელობა ლტოლვილთა საერთაშორისო და რეგიონული სამართლის მიხედვით და განმარტებულია, როდის ჩნდება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის საჭიროება. ასევე, წინამდებარე თავი ეხება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისას სახელმწიფოთა და გლუკ-ის პასუხისმგებლობას და მოკლედ აღწერს სხვადასხვა გზას, როგორ შეიძლება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა. დასასრულ, თავში მოცემულია მოკლე მიმოხილვა იმ უფლებებისა და შეღავათებისა, რომლებიც თან სდევს ლტოლვილად აღიარებას.

1.1 რა არის ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა?

სიტყვები „ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა“, მართალია, მკაცრად სამართლებრივია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პროცესი, რომელსაც ისინი აღნიშნავენ, როგორც წესი, ეხება განსაცდელში მყოფ ადამიანებს. უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ეს სიტყვები მიესადაგება შეკითხვას: „არის ბ-ნი X ან ბ-ნი Y ლტოლვილი?“. ამ კითხვაზე პასუხს მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირებისთვის ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. თუ მათ ცნობენ ლტოლვილად, ამოქმედდება სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი და მიენიჭებათ არა მხოლოდ რიგი მნიშვნელოვანი უფლებები და შეღავათები, არამედ გატარდება დახმარებისა და დაცვის ღონისძიებები. ყოველივე ამას ერთობლივად „ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა“ ეწოდება. ლტოლვილებს გარკვეული ვალდებულებები გააჩნიათ თავშესაფრის ქვეყანასთან მიმართებით, განსაკუთრებით, მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის დაცვა.

ამგვარად, ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა ნიშნავს ხელისუფლების ორგანოების ან გლუკ-ის მიერ იმ საკითხის განხილვას, ნამდვილად შეიძლება თუ არა ლტოლვილად ჩაითვალოს პირი, რომელმაც შეიტანა თავშესაფრის განაცხადი ან სხვაგვარად გამოხატა, რომ ესაჭიროება საერთაშორისო დაცვა, ანუ შეესაბამება თუ არა მისი მდგომარეობა ლტოლვილის განმარტებისათვის დადგენილ სპეციალურ კრიტერიუმებს (იხ.: 1.2). პირი არ

იქცევა ლტოლვილად თავშესაფრის ქვეყნის ან გლუკ-ის გადაწყვეტილების შედეგად, მაგრამ თუ იგი ასეთად აღიარებულია, მაშასადამე ის არის ლტოლვილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღიარების გადაწყვეტილება დეკლარაციული ხასიათისაა: აცხადებს და ფორმალურად ადასტურებს, რომ აღნიშნული პირი არის ლტოლვილი.

1.2 ვინ არის ლტოლვილი?

მეორე მსოფლიო ომამდე ლტოლვილობის განსაზღვრა ხდებოდა ეროვნების მიხედვით სპონტანურად შექმნილი დოკუმენტების საფუძველზე. ომის შემდგომ გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა შეემუშავებინა ლტოლვილის ძირითადი განმარტება, რომელიც შევიდა გლუკ-ის 1950 წლის სტატუტში (გაეროს გენერალური ასამბლეის 1949 წლის 14 დეკემბრის 428-ე (V) რეზოლუციის დანართი), ხოლო ცოტა ხნის შემდეგ - 1951 წლის კონვენციაში ლტოლვილის სტატუსის შესახებ და მის 1967 წლის დამატებით ოქმში.

ორივე დოკუმენტში თითქმის იდენტური ფორმულირება იყო გამოყენებული. მოგვიანებით ლტოლვილის 1950 წლის სტატუტისეული განმარტება გაფართოვდა გაეროს გენერალური ასამბლეის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე. ლტოლვილის განმარტებას შეიცავენ ლტოლვილთა რეგიონული ინსტრუმენტები და/ან ეროვნული კანონმდებლობა.

1.2.1. ლტოლვილის განმარტება 1951 წლის კონვენციის მიხედვით

1951 წლის კონვენცია რჩება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის წყაროდ და მისეული ლტოლვილის განმარტება პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ძირითადი საფუძველია. 2005 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, 1951 წლის კონვენციასა და მის 1967 წლის დამატებით ოქმს შეუერთდა 146 ქვეყანა (140 არის ორივე დოკუმენტის წევრი). როდესაც ხდება განსაზღვრა, არის თუ არა პირი ლტოლვილი, სახელმწიფოები შეზღუდულები არიან 1951 წლის კონვენციაში ჩამოყალიბებული დაშვების კრიტერიუმებით.

ლტოლვილთა დაცვის თვალსაზრისით, 1951 წლის კონვენციის საფუძველზე ლტოლვილად ცნობა

უზრუნველყოფს ყველაზე შესაფერის სტატუსს. ის არა მხოლოდ *არგადეების* გარანტიაა (იხ.: 1.6.1), არამედ პირს ანიჭებს რიგ უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია 1951 წლის კონვენციით და მისი 1967 წლის დამატებითი ოქმით. მაგალითად, უფლებას მიიღო სამეზავრო დოკუმენტები.

1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის მიხედვით, ლტოლვილია ნებისმიერი პირი, ვინც

“1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად და საფუძვლიანი შიშის გამო, რომ რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.”

1951 წლის 1 იანვრის ქრონოლოგიური შეზღუდვის გარდა, 1951 წლის კონვენცია პირველი მუხლის B ნაწილში ლტოლვილებისთვის აყალიბებს გეოგრაფიულ ლიმიტებს - „ევროპაში მომხდარი მოვლენების შედეგად“. ლტოლვილის განსაზღვრის ამ შეზღუდვებს აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა. დროითი შეზღუდვა ფორმალურად გაუქმდა 1967 წლის დამატებითი ოქმით, როდესაც გეოგრაფიული შეზღუდვა უარყო ორივე დოკუმენტის წვერი ქვეყნების უმეტესობამ, რამაც უნივერსალური ღირებულება მიანიჭა კონვენციის დებულებებს.

1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლი მოიცავს ლტოლვილის ცნების ე.წ. **დადგენის** კრიტერიუმებს, ანუ აყალიბებს იმ ელემენტებს, რომლებიც პოზიტიურ საფუძველს ქმნიან ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისთვის. ეს კრიტერიუმები განხილულია მე-2 თავში. გარდა ამისა, ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრება მოიცავს **გამომრიცხავ** დებულებებს (მუხლი პირველი D, E და F ნაწილები) და **შეწყვეტის** პირობებს (მუხლი 1C). შესაბამისად, ისინი განხილულია მე-3 და მე-4 თავებში.

1.2.2 ლტოლვილის განმარტება რეგიონულ დოკუმენტებში

ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტება გაფართოებულია ლტოლვილთა შესახებ რეგიონული ინსტრუმენტებით, როგორცაა 1969 წლის აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის (OAU) აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემებისა და სპეციფიკური ასპექტების მოგვარების კონვენცია და 1984 წლის კართაგენის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ. ორივე უზრუნველყოფს, რომ ადამიანები, რომლებიც გაურბიან თავიანთი წარმოშობის ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის საფრთხეს, გარკვეული გარემოებების არსებობისას შეიძლება ლტოლვილად იქნან აღიარებული. მართალია, ეს სასწავლო მოდული შემოიფარგლება 1951 წლის კონვენციის უნივერსალური განსაზღვრებით, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის, რომელიც იმ ქვეყანაში მუშაობს, რომელშიც ვრცელდება რეგიონულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ლტოლვილის უფრო ფართო განსაზღვრება, არსებითია გაიგოს ამ განსაზღვრების მნიშვნელობა.

1.2.2.1 აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის 1969 წლის კონვენცია

გარდა იმისა, რომ იზიარებს 1951 წლის კონვენციით განსაზღვრულ ლტოლვილის ცნებას, აფრიკის 1969 წლის კონვენციის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი განმარტავს, რომ:

„ტერმინი „ლტოლვილი“ უნდა გავრცელდეს ნებისმიერ პირზე, ვინც თავისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის რომელიმე ნაწილში ან მის მთელ ტერიტორიაზე უცხოური აგრესიის, ოკუპაციის, უცხოელთა ბატონობის ან საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევების შედეგად იძულებულია დატოვოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი თავისი წარმოშობის ან მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ თავშესაფრის ძიების მიზნით“.

ეს განმარტება შემუშავდა 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში აფრიკის კონტინენტზე წარმოებული დეკოლონიზაციისა და განმათავისუფლებელი ომების გამოცდილებიდან გამომდინარე. 1969 წლის აფრიკის კონვენციის პირველი

მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები მოიცავენ ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტისა და მის გამომრიცხავ დებულებებს, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდებიან 1951 წლის კონვენციის ასეთივე დებულებებისგან.

1.2.2 1984 წლის კართაგენის დეკლარაცია

1970-ანი წლების დასასრულს და 1980-იანი წლების დასაწყისში, რიგ ქვეყნებში, კერძოდ კი ცენტრალურ ამერიკაში, ომების, სამოქალაქო კონფლიქტების, ძალადობისა და პოლიტიკური გადატრიალებების გამო ადამიანთა მასობრივ გადაადგილებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა განაპირობა კართაგენის დეკლარაციის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის რეკომენდაცია:

“[...] ლტოლვილის განსაზღვრა ან ცნება, რომელიც რეკომენდებული იქნება რეგიონში გამოსაყენებლად, 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის ელემენტების გარდა, ლტოლვილად ასევე მიიჩნევენ პირებს, რომლებიც გაიქცნენ თავიანთი ქვეყნიდან, რადგან იქ გავრცელებული ძალადობა, უცხოელთა აგრესია, შიდა კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა მასობრივი უგულებელყოფა ან საზოგადოებრივი წესრიგის სხვა სერიოზული დარღვევები ემუქრებოდა მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას”.

მიუხედავად იმისა, რომ კართაგენის დეკლარაცია სამართლებრივად სავალდებულო არ არის, მისი პრინციპები და ლტოლვილის განმარტება ლათინური ამერიკის ბევრმა ქვეყანამ გაითვალისწინა თავის ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

1.2.3 ლტოლვილის ცნება ეროვნულ კანონმდებლობაში

საერთაშორისო ინსტრუმენტების წევრმა მრავალმა ქვეყანამ მიიღო ლტოლვილის ის ცნება, რომელიც ამ დოკუმენტებში იყო ასახული. ამასთან, არაფერი ზღუდავს ქვეყანას საერთაშორისო ვალდებულებებით აღიარებული ლტოლვილის ცნების განსაზღვრების გაფართოებისგან.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაცვას იმ პირებისთვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ

1951 წლის კონვენციის კრიტერიუმებს, მაგრამ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას; იგულისხმება „დაცვის დამატებითი ფორმები“ ან „დამატებითი დაცვა“. როდესაც ადამიანთა დიდი ჯგუფები გაურბიან გაგრძელებულ ძალადობას და/ან შეიარაღებულ კონფლიქტს, ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ მოკლევადიანი ღონისძიების სახით უზრუნველყო ამ ადამიანების *გაძევებისგან* დაცვა და დახმარება „დროებით დაცვის“ მექანიზმით სტატუსის განსაზღვრის გარეშე. დაცვის ამ ფორმით მოსარგებლე პირები შეიძლება მოექცნენ გლჟუკ-ის მზრუნველობის ქვეშ როგორც ლტოლვილები, თუ ისინი 1.2.4 ქვეთავში აღწერილ ერთ-ერთ კატეგორიაში ხვდებიან.

1.2.4 ლტოლვილის განმარტება გლჟუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის მიხედვით

გლჟუკ-ის მანდატი ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის თაობაზე ძირითადად გამომდინარეობს მისი 1950 წლის სტატუტიდან, რომელიც ამბობს, რომ უმაღლესი კომისრის კომპეტენცია უნდა გავრცელდეს სტატუსის დამტკიცების დროისთვის ხელშეკრულებებით და ამგვარი ინსტრუმენტებით აღიარებულ ლტოლვილებთან ერთად, ადამიანთა შემდეგ კატეგორიებზე

პარაგრაფი 6A (ii): „*ნებისმიერი პირი, რომელიც 1951 წლის 1 იანვრამდე მომხდარი მოვლენების შედეგად გამოწვეული საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს რასის, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკური მრწამსის გამო დევნის მსხვერპლი, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და ამგვარი შიშის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით, გარდა პირადი კეთილდღეობისა, არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან ვისაც არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და იმყოფება თავისი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ამგვარი შიშის გამო ან რაიმე სხვა მიზეზით, გარდა პირადი კეთილდღეობისა და არ სურს იქ დაბრუნება.*”

პარაგრაფი 6B: „*ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც თავისი მოქალაქეობის ქვეყნის ან თუ მას არ გააჩნია მოქალაქეობა, თავისი ადრინდელი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ იმყოფება, რადგან მას აქვს ან ჰქონდა დევნის საფუძვლიანი შიში რასის, აღმსარებლობის, ეროვნების ან პოლიტიკური მრწამსის გამო და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს ისარგებლოს თავისი მოქალაქეობის ან თუ მას არ*

*გაანხია მოქალაქეობა, ადრინდელი მუდმივი
საცხოვრებელი ქვეყნის მფარველობით.”*

1950 წლის სტატუტში მოცემული ლტოლვილის განმარტება თითქმის იდენტურია 1951 წლის კონვენციის ავტორების მიერ მიღებულისა, თუმცა 1950 წლის სტატუტი არ ასახელებს „გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობას” დენის საფუძვლად და ლტოლვილის მისეული ცნება არ მოიცავს დროით და ტერიტორიულ შეზღუდვებს, თუმცა ეს განსხვავებები უკვე აღარ არის არსებითი. 1951 წლის კონვენციის ქრონოლოგიური და გეოგრაფიული შეზღუდვების თაობაზე უკვე ვისაუბრეთ ზემოთ (იხ.: 1.2.1 ქვეთავი) და დღეისათვის უკვე დადგენილია, რომ ის, ვინც აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის დაშვების კრიტერიუმებს, გლუკ-ის მანდატის დაცვის ქვეშავე ექცევა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1950 წლის სტატუტი ლტოლვილებთან მიმართებით ვეღარ მოიცავს გლუკ-ის მთლიან მანდატს. უკანასკნელ ხანებში მოვლენების განვითარებამ, კერძოდ კი, გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებულმა რეზოლუციებმა, ორგანიზაციულმა და სახელმწიფო პრაქტიკამ – გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის მიზნებისთვის ლტოლვილის ცნების გაფართოება გამოიწვია. 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში გენერალურმა ასამბლემ გლუკ-ს მიანიჭა უფლებამოსილება, „კეთილი სამსახურის” საფუძვლით დახმარება გაუწიოს ადამიანთა იმ სპეციფიკურ ჯგუფებს, რომლებიც ვერ თავსდებიან ლტოლვილის სტატუსისეულ განმარტებაში (მათ შორის ჩინეთიდან ჰონკ-კონგში წასული ჩინელები ან ანგოლელები კონგოში) ან ზოგადად ლტოლვილებს, რომლებიც არ ექცევიან „გაეროს კომპეტენციის ფარგლებში”. 1960-იანი წლების შუა ხანებიდან გენერალური ასამბლეის რეზოლუციები ყოველთვის ეხებოდა გლუკ-ის „მზრუნველობის ქვეშ მყოფ ლტოლვილებს” მაშინ, როდესაც ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და გენერალური ასამბლეის მიერ 1975-1995 წლების განმავლობაში მიღებულმა რეზოლუციებმა გააფართოვეს გლუკ-ის კომპეტენცია ზოგადად ლტოლვილებიდან იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც დაზარალდნენ შეიარაღებული კონფლიქტების შედეგებისგან (განურჩევლად სახეობისა) ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული სხვა უბედურებებისგან, როგორცაა, მაგალითად, უცხოელთა ბატონობა, ინტერვენცია, ოკუპაცია ან კოლონიზაცია.

ამგვარად, დღეისათვის გლუკ-ის კომპეტენცია, უზრუნველყოს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა, მოიცავს შემდეგი ორი კატეგორიის ადამიანებს:

1. მათ, ვინც აკმაყოფილებს **1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის დამატებითი ოქმის** დაშვების კრიტერიუმებს, რომლებიც პრაქტიკულად **1950 წლის სტატუსის** დებულებების იდენტურია და
2. მათ, ვინც გლუკ-ის მანდატის მიხედვით ექცევა **ლტოლვილის სტატუსის გაფართოებულ განმარტებაში**, რადგან იმყოფება წარმოშობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს იქ დაბრუნება, რადგან საერთო ძალადობა თუ საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევები ემუქრება მის სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას.

ქალები, მამაკაცები, გოგონები და ვაჟები, რომლებიც ექცევიან ამ კატეგორიათაგან ერთ-ერთის დაშვების კრიტერიუმების ფარგლებში, არიან გლუკ-ის კომპეტენციაში (ესენი არიან სააგენტოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ლტოლვილები), თუ მათ არ ეხებათ 1951 კონვენციის პირველი მუხლის F პუნქტის გამომრიცხავი პირობებიდან არც ერთი (იხ.: თავი 3). ტერმინი „მანდატისეული ლტოლვილი“ ეხება ამ კატეგორიებით განსაზღვრულ ნებისმიერ პირს, რომელიც 1950 წლის სტატუსის და ეკონომიური და სოციალური საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე გლუკ-ის მიერ ლტოლვილად იქნა აღიარებული. „მანდატისეული ლტოლვილის“ სტატუსი შეიძლება დადგინდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურ საფუძველზე (იხ.: 1.5).

ეს სასწავლო მოდული, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის დადგენით, დეტალურად განიხილავს 1951 წლის კონვენციაში ასახულ ლტოლვილის განმარტებას, რადგან 1951 წლის კონვენციისა და 1950 წლის სტატუსის კრიტერიუმები იდენტურია, განურჩევლად მიზნისა და მიმართულებისა.

1.3. რატომ არის აუცილებელი ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა?

1951 წლის კონვენციით და/ან მისი 1967 წლის დამატებითი ოქმით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტური აღსრულებისთვის სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ, ვინ არის ლტოლვილი. ეს მოითხოვს სპეციალური პროცედურების შემუშავებას, რომლებიც შესაძლებელს გახდის დადგინდეს, კონკრეტული პირი ექცევა თუ არა ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრების ფარგლებში. ასეთი პროცედურები უფრო დეტალურად მე-5 თავშია განხილული.

ლტოლვილებისთვის საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფა გლუკ-ის ძირითადი ფუნქციაა და მანდატისეული პასუხისმგებლობის შესასრულებლად ოფისსაც შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს, პირი არის თუ არა ლტოლვილი. საერთოდ გლუკ-ი ლტოლვილის სტატუსის დადგენას მიმართავს, რათა დაადგინოს, საჭიროებს თუ არა პირი დაცვას, დახმარებას, ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ქვეყანაში გადასახლებას ან მთავრობისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თაობაზე რეკომენდაციის გაწევას. გლუკ-ის მიერ ლტოლვილის სტატუსის დადგენის სხვადასხვა სიტუაციის მაგალითები აღწერილია 1.4 ქვეთავში.

1.4. ვინ არის პასუხისმგებელი, განსაზღვროს ლტოლვილის სტატუსი?

1.4.1 სახელმწიფოები

პირველადი პასუხისმგებლობა, დაადგინოს ვინ ექცევა ლტოლვილის განსაზღვრებაში და ამგვარად უზრუნველყოს ლტოლვილებისთვის საერთაშორისო დაცვითა და ლტოლვილის სტატუსით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა, ეკისრება ქვეყანას, რომელშიც ეს პირი იმყოფება და ეძებს თავშესაფარს.

დაინტერესებული ქვეყნისთვის ლტოლვილთა დაცვა არ არის უბრალოდ კეთილი ნების საკითხი. ქვეყნებს, რომლებიც 1951 წლის კონვენციის, 1967 წლის ოქმისა და აფრიკის ერთიანობის 1969 წლის კონვენციის წევრები არიან, ამ დოკუმენტების მიხედვით ეკისრებათ სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა იმ

ქალებისთვის, მამაკაცებისთვის, გოგონებისა და ვაჟებისთვის, რომლებიც ლტოლვილის განსაზღვრების შესაბამის კრიტერიუმება აკმაყოფილებენ. ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, უზრუნველყონ „არ-გაძევების“ პრინციპის დაცვა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დააბრუნოს პირი ქვეყანაში, რომელშიც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას შეიძლება დაემუქროს საფრთხე რასის, რელიგიის, ეროვნების, განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო. ეს გახდა ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა და მისი შესრულება ევალება ყველა სახელმწიფოს, მათ შორის მათაც, ვინც არ არის 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრი (იხ.: 1.6.1).

ამგვარად, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს პროცედურები და ჩამოაყალიბოს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრება განსაკუთრებით მაშინ, თუ ის 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის ხელმომწერია. 1950 წლის სტატუტის მე-8 პარაგრაფისა და 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, გლუკ-ს ეკისრება ვალდებულება, ზედამხედველობა გაუწიოს 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის დებულებების გავრცელებას ამ ინსტრუმენტების წევრ სახელმწიფოებში. გლუკ-ი ახორციელებს თავის საზედამხედველო ფუნქციას პროცედურებსა და გავრცელების კრიტერიუმებზე მონიტორინგის მეშვეობით ან სადაც ეს მისაღებია, განმცხადებლის სახელით ჩარევის გზით.

უმეტეს ქვეყნებში გლუკ-ის ჩართულობისთვის გათვალისწინებულ იქნა გარკვეული პირობები, სულ მცირე, კონსულტანტ/მრჩევლის სათათბირო ხმით. ზოგიერთ ქვეყანაში გლუკ-ი აქტიურად მონაწილეობს ლტოლვილის სტატუსის დადგენის ეროვნულ პროცედურებში. გარემოებების გათვალისწინებით, ამან შეიძლება მიიღოს სხვადასხვანაირი ხასიათი, მაგალითად:

- შესაბამისი ეროვნული ხელისუფლებისათვის საქმის მომზადება განსახილველად (რეგისტრაცია, წინასწარი გასაუბრება, საქმის წარმოება, ეროვნული ხელისუფლებისათვის წარდგენა);
- თავშესაფრის განაცხადის განხილვის პირველ სტადიაზე მონაწილეობა ხმის უფლებით ან დამკვირვებელ/მრჩევლის სტატუსით;
- მონაწილეობა თავშესაფრის განაცხადის განხილვის სააპელაციო ან გადახედვის სტადიაზე ხმის უფლებით

ან დამკვირვებელ/მრჩევლის სტატუსით;

- იმ პირების განაცხადის დაუშვებლობის ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ გადაწყვეტილების გადახედვა, რომლებიც ექვემდებარებიან გასახლებას.

უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრები არიან, მაგრამ არ მიუღიანთ ლტოლვილის სტატუსის დადგენის ეროვნული პროცედურები, ლტოლვილის სტატუსს სახელმწიფოს სახელით გლუკ-ი განსაზღვრავს.

1.4.2 გლუკ-ი

ლტოლვილებისთვის საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის და მათი პრობლემებისათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების მოძიების პასუხისმგებლობა გლუკ-საც გააჩნია. უფრო მეტიც, ის არის გლობალური მასშტაბით ლტოლვილთა დაცვის სპეციალური მანდატით აღჭურვილი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია. მისი 1950 წლის სტატუტის და შემდეგ გაეროს გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების თანახმად, გლუკ-ს გააჩნია მანდატი, უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ეძებოს ლტოლვილთათვის შესაბამისი გადაწყვეტილება. გლუკ-ის მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების კატეგორიას განეკუთვნებიან თავშესაფრის მაძიებლები.

მაშინ, როცა სახელმწიფოებმა, კერძოდ კი 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრებმა, თვითონ უნდა განახორციელონ ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები, გარკვეულ სიტუაციებში გლუკ-ს უწევს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა და იმის დადგენა, არის თუ არა ლტოლვილი ოფისის საერთაშორისო დაცვის მანდატის მიხედვით კონკრეტული პირი ან განსაზღვრული ჯგუფის წევრი. ასეთი საქმეების უმრავლესობას ოფისი აწარმოებს 1950 წლის სტატუტზე დაყრდნობით. პრაქტიკაში ეს შეიძლება განხორციელდეს:

- იმ ქვეყნებში, რომლებიც 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრები არიან;
- იმ ქვეყნებში, რომლებიც 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრები არიან, მაგრამ რომლებშიც:
 - თავშესაფრის განსაზღვრის პროცედურები ჯერ არ

- არის დადგენილი ან
- თავშესაფრის განსაზღვრის ეროვნული პროცედურა აშკარად არაადეკვატურია ან განსაზღვრა დაფუძნებულია 1951 წლის კონვენციის მცდარ ინტერპრეტაციაზე ან
 - როცა ეს წინაპირობაა ისეთი გრძელვადიანი გადაწყვეტილებისა, როგორც არის გადასახლება.

უმრავლეს შემთხვევებში, როდესაც გლუკ-ი განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსს, ეს ხდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს, კონკრეტული პირი არის თუ არა ლტოლვილი გლუკ-ის კომპეტენციის ფარგლებში. გადაწყვეტილება უშუალოდ უკავშირდება მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირისთვის გლუკ-ის მიერ წარმოებული დაცვისა და დახმარების ფორმების განსაზღვრას. ეს შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტაციას, რომელიც ადასტურებს პირის ლტოლვილის სტატუსს, ზომებს ოჯახის გაერთიანებისთვის ან ნებაყოფლობითი რეპატრაციის ხელშეწყობას ან რაიმე სახის მატერიალურ დახმარებას.

1.5 როგორ ხდება ლტოლვილს სტატუსის დადგენა?

სახელმწიფოებიც და გლუკ-იც ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავენ ან იდივიდუალურად, ან ჯგუფური საფუძველით.

1.5.1 ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალური განსაზღვრა

არც 1951 წლის კონვენცია და არც მისი 1967 წლის დამატებითი ოქმი არ ადგენენ წევრი სახელმწიფოების მიერ ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის კონკრეტულ პროცედურებს. ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს ორგანიზაციების და/ან ადმინისტრაციის ჩართვას ამ საკითხებში, თავშესაფრის მიცემის პროცესის სტადიებს, ისევე როგორც პროცედურულ გარანტიებს და უსაფრთხოების ზომებს. როცა ეს შესაძლებელია, ლტოლვილის სტატუსი უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური პროცედურით და მას უნდა მოჰყვეს განმცხადებლის საქმის ინდივიდუალური გარემოებების სიღრმისეული შესწავლა (სახელმწიფოს მიერ ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალური განსაზღვრის პროცედურების განხილვასთან დაკავშირებით იხ.: მე-5 თავი).

1.5.2 ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა ჯგუფური საფუძველით

ჯგუფებისთვის ლტოლვილის სტატუსის აღიარება დამახასიათებელია ხალხის მასობრივი შემოდინების დროს, როდესაც საერთაშორისო დაცვის მაძიებელი ადამიანები დიდი რაოდენობით ჩამოდიან და ლტოლვილის სტატუსისთვის მათი განაცხადების ინდივიდუალურ რეჟიმში განხილვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთ სიტუაციებში სახელმწიფოები, ისევე როგორც გლუკ-ი, კონკრეტული ჯგუფის წევრებს ლტოლვილის სტატუსს ხშირად ანიჭებენ „*პრიმა ფაცე*“ (*prima facie*) საფუძველით. ეს მისაღებია, თუ ჯგუფებად შემოსულთა უმეტესობა შეიძლება ჩაითვალოს ლტოლვილად მათი წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე.

როდესაც ერთ ქვეყანაში მიმდინარე შეიარღვეული კონფლიქტის გამო ხდება ლტოლვილების მასობრივი გადაადგილება მეზობელ ან სხვა ქვეყანაში, შეიძლება ლტოლვილებში მებრძოლებიც შეერიონ. ლტოლვილის სტატუსის დასადგენად *პრიმა ფაცე*-ს გამოყენება არ ითვალისწინებს მებრძოლებს. აქტიური მებრძოლები – პირები, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში აქტიურ მონაწილეობას აგრძელებენ – არ იმსახურებენ ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვას. საომარი მოქმედებები შეუთავსებელია ლტოლვილის სტატუსთან.

განსხვავებულია მიდგომა ყოფილი მებრძოლებისდმი. მხოლოდ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტი ვერ გამორიცხავს პირს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვიდან, მაგრამ ყოფილი მებრძოლები, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ, ჯერ უნდა გაერკვიონ თავიანთ სტატუსში. თუ ისინი ჩამოვიდნენ როგორც მასობრივი ნაკადის ნაწილი, მასპინძელმა ქვეყანამ ისინი უნდა გამოყოს ლტოლვილებისგან. ყოფილი მებრძოლები დაიშვებიან თავშესაფრის პროცედურის გასაველად მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ მათ გულწრფელად და სამუდამოდ თქვეს უარი საომარ მოქმედებებზე და ახლა სამოქალაქო პირები არიან. ასეთი პირების მიერ გაკეთებული განაცხადები განხილული უნდა იქნეს ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალური განსაზღვრის პროცედურებით (იხ.: 2.3.4).

ჯგუფურ საფუძველზე ლტოლვილად აღიარებული ქალები, მამაკაცები, გოგონები და ვაჟები სარგებლობენ იმავე სტატუსით, როგორც პირები, რომლებსაც ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ ინდივიდუალურად. შინაარსიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ჯგუფიდან იმ ინდივიდების გამოყოფას გახდის შესაძლებელს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ლტოლვილის ცნების დადგენის გავრცელებულ კრიტერიუმებს (იხ.: თავი 2), ან შეიძლება მოექცნენ გამომრიცხავ დებულებებში (იხ.: თავი 3).

1.6. რა შედეგებს იწვევს ლტოლვილად აღიარება?

როგორც უკვე აღინიშნა, ლტოლვილები მთელ რიგ უფლებებთან ერთად უზრუნველყოფილნი არიან დაცვით და მათი სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, დახმარების ღონისძიებებით. ეს ქვეთავი განიხილავს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის ძირითად ელემენტებს.

1.6.1 გადავებისგან დაცვა

ყველაზე ხშირად ლტოლვილები სარგებლობენ დაცვით იმ ქვეყანაში დაბრუნებისგან, სადაც მათ დევნის საფრთხე ემუქრებათ. ეს პრინციპი *არგაძევების* სახელითაა ცნობილი და ხშირად იწოდება ლტოლვილთა დაცვის ქვაკუთხედად. ის გათვალისწინებულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც არც ერთი სახელმწიფო

“არ გაასახლებს ან არ დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, რომელშიც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა თუ პოლიტიკური მოწამის გამო”.

ლტოლვილის სტატუსის ფორმალური აღიარება არ არის *გაძევებისგან* დაცვის წინაპირობა. თავშესაფრის მაძიებლები შეიძლება ლტოლვილები იყვნენ. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის დადგენილი პრინციპის მიხედვით, ისინი უკან არ უნდა დააბრუნონ ან გააძევიონ მათი სტატუსის განსაზღვრის პროცესის დასრულებამდე.

არგაძევების პრინციპიდან გამონაკლისები მკაცრად არის

განსაზღვრული. ის დაიშვება ძალიან შეზღუდული გარემოებების პირობებში, რომლებიც მოცემულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

“მუხლი 33 (1) არ შეიძლება იქნას გამოყენებული იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ანგარიშგასაწვევი მიზეზების გამო საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით ქვეყანას, რომელშიც იმყოფება ან მსჯავრდებულია კანონიერად ძალაში შესული განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს”.

33-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირობები გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლტოლვილი მომავალში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მასპინძელი ქვეყნის უსაფრთხოებას – როგორცაა ქვეყნის კონსტიტუციური უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა ან მშვიდობიანი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან; ან თუ ის გასამართლებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის (მაგ.: მკვლელობა, გაუპატიურება, შეიარაღებული ძარცვა და ა.შ.), რომლის შესახებაც გადაწყვეტილება ვეღარ გასაჩივრდება და პირი კვლავ უქმნის საფრთხეს მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობას. 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით გამორიცხვა საჭიროებს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გარანტიების ყურადღებით განხილვას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ ამოქმედდება, თუ ლტოლვილის გაძევების შედეგად არსებობს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის რეალური რისკი. ასეთი მოპყრობისგან დასაცავად გაძევების აკრძალვა გაეროს წამების წინააღმდეგ 1984 წლის კონვენციის მე-3 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლისა და ადამიანის უფლებათა რეგიონული სამართლის შესაბამისად, წამების და ცუდი მოპყრობის სხვა ფორმების განუყოფელი ნაწილია. ამდენად, მან საერთაშორისო სამართლის დოგმატური ნორმის სტატუსი მიიღო, ანუ “*jus cogens*” და სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი შესაბამისი ინსტრუმენტების წევრები. ამ კონტექსტში ასევე აღსანიშნავია, რომ არგაძევების დებულება ასახულია აფრიკის ერთიანობის 1969 წლის კონვენციაში

და გამონაკლისების გარეშე ვრცელდება ყველაზე, ვინც ექცევა ლტოლვილის განსაზღვრებაში (იხ.: 1.2.2.1).

1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში დაცული *არგაძევების* პრინციპი იქცა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად. შესაბამისად, იგი სავალდებულოა იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც არ არიან 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის წევრები.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების მიხედვით, სახელმწიფოებს ეკრძალებათ პირის გაძევება იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის სერიოზული რისკი.

1.6.2 სხვა უფლებები და შეღავათები

არგაძევებისგან დაცვასთან ერთად ლტოლვილად აღიარებულნი სარგებლობენ რიგი სხვა უფლებებითა და შეღავათებით. თავშესაფრის სახელმწიფოს მხრიდან ლტოლვილებისადმი მოპყრობის სტანდარტები ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის ერთგვარი კომბინაციაა. განხილული უფლებების უმრავლესობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან და უფრო მეტიც, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან მომდინარეობს. შედეგად, ანალოგიური სტანდარტები გათვალისწინებული უნდა იქნას 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის წევრების და ასევე იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც არ არიან ამ დოკუმენტების წევრები. ეს უფლებები და შეღავათები მოიცავს:

- თავშესაფრის ქვეყანაში ლტოლვილების **ფიზიკური უსაფრთხოების** დაცვა, რაც ქვეყნებისგან მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას ლტოლვილების დასაცავად კრიმინალური ძალადობისგან; განსაკუთრებით, სადაც ეს რასიზმის და ქსენოფობიის გამო ხდება, მათ შორის წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა თანამდებობის პირთაგან;
- თავშესაფრის ქვეყანაში **სასამართლოს ხელმისაწვდომობა**;
- დახმარება ძირითადი **ფიზიკური და მატერიალური საჭიროებების** დასაკმაყოფილებლად, რაც გულისხმობს სურსათს, ტანსაცმელს, საცხოვრებელ ადგილს და სამედიცინო დახმარებას. თუ

ლტოლვილთა უმეტესობისთვის სხვის დახმარებაზე დამოკიდებულება გარდაუვალია, განსაკუთრებით თავშესაფრის ქვეყანაში მათი ყოფნის საწყის სტადიაზე, მიმღები ქვეყანა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მათ თვითუზრუნველყოფას, რისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა გახადოს შრომის ბაზარი და თვითდასაქმების შესაძლებლობა;

- **გადაადგილების თავისუფლება**, რითაც ლტოლვილებმა უნდა ისარგებლონ თავშესაფრის ქვეყნის მოქალაქეების ტოლფასად, თუკი პირი საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას არ უქმნის განსაკუთრებულ საფრთხეს;
- ლტოლვილი ბავშვებისთვის შესაბამისი **განათლების** (თუნდაც დაწყებითი საფეხურის) და განვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა;
- თავშესაფრის ქვეყანაში მოხვედრისთანავე ოჯახის უახლოეს წევრებთან **გაერთიანების** შესაძლებლობა;
- **სპეციალური ზომები განსაკუთრებით დაუცველ ლტოლვილთათვის**. მაგალითად, სადაც ნორმალური სოციალური სტრუქტურის დაშლის შედეგად არსებობს ლტოლვილთა თემში ძალადობის გაგრძელების საშიშროება ან სადაც შეიარაღებულ კონფლიქტს გამოქცეულ ლტოლვილთა თემი შეიარაღებული დაჯგუფების მიერ იზოლირების ან სამხედრო გაწვევის, განსაკუთრებით, ბავშვების, რისკის ქვეშ იმყოფება. ლტოლვილი ქალები და გოგონები ხშირად დაუცველები არიან სექსუალური და გენდერული ძალადობის გაზრდილი რისკის წინაშე, რაც ასევე მოითხოვს მათ დასაცავად სპეციალური ღონისძიებების გატარებას.

ლტოლვილების შესაძლებლობა, ისარგებლონ ზემოთ აღწერილი უფლებებით და, განსაკუთრებით, გადაადგილების თავისუფლებითა და გაძევებისგან დაცვით, უფრო მყარია, თუ მათ გააჩნიათ **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები**. თავშესაფრის ქვეყანას ეკისრება ვალდებულება, ყოველ ლტოლვილზე გასცეს ასეთი საბუთი, სანამ მას არ ექნება **სამგზავრო დოკუმენტები**. 1951 წლის კონვენცია თავშესაფრის ქვეყანას აკისრებს ლტოლვილებისთვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემის ვალდებულებას და აღწერს დოკუმენტის ფორმას, რათა ის აღიარებულ იქნას კონვენციის წევრი სხვა ქვეყნების მიერ.

1951 წლის კონვენცია ასევე ადგენს, რომ შესაბამისმა

მთავრობებმა მიღებული დადგენილებები მათ ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებზე უნდა გაავრცელონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად მათი რასის, რელიგიური კუთვნილების ან წარმოშობის ქვეყნისა.

1.6.3 გრძელვადიანი გადაწყვეტილებები

ლტოლვილად აღიარებულებს ეხმარებიან მათი სიტუაციისთვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების მოძიებაში, რათა შეძლონ ნორმალურად ცხოვრება. იმისდა მიხედვით, თუ რა სიტუაციაში იმყოფებიან ლტოლვილები, როგორც წესი, განიხილება ქვემოთ მოცემული ტრადიციული სამი გრძელვადიანი გადაწყვეტილებიდან ერთი:

- **ნებაყოფლობით უკან დაბრუნება.** წარმოშობის ქვეყანაში ლტოლვილების უსაფრთხო და ღირსეული ნებაყოფლობით უკან დაბრუნება;
- **ადგილობრივი ინტეგრაცია.** პროცესი, რომელიც სრულდება ლტოლვილთა დამკვიდრებით იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც ისინი ექებდნენ თავშესაფარს; და
- **გადასახლება:** ლტოლვილები თავშესაფრის ქვეყნიდან გადაიგზავნიან მესამე ქვეყანაში, რომელიც სურვილს გამოთქვამს მიიღოს ისინი ხანგრძლივი დროით.

მართალია, ეს არ არის გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ოფიციალური იერარქია, მაგრამ ნებაყოფლობითი უკან დაბრუნება ლტოლვილთა უმეტესობისათვის მიღწევადი და ყველაზე სასურველი გადაწყვეტილებაა. ის აღიარებულია საუკეთესო გადაწყვეტილებად ლტოლვილთა სიტუაციების ამსახველ მრავალ დოკუმენტში; განსაკუთრებით, *დაცვის პროგრამასა* და *სხვა გადაწყვეტილებებში*, რომლებიც მიღებულია გლჟუკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ; ეს უკანასკნელი აერთიანებს ლტოლვილთა პრობლემებით დაინტერესებულ 64 ქვეყანას. მათი მოვალეობაა უმაღლეს კომისრისათვის რჩევების მიცემა მისი ფუნქციების განსახორციელებლად.

და მაინც, სამივე ალტერნატიური გადაწყვეტილება თავისი არსით დამატებითია და როდესაც მათ ერთად იყენებენ, შესაძლებელია სიცოცხლისუნარიანი და ყოველმხრივი

სტრატეგიის ჩამოყალიბება ლტოლვილთა პრობლემების გადასაწყვეტად. გრძელვადიანი გადაწყვეტილებების წარმატებული აღსრულება დამოკიდებულია დაინტერესებულ მხარეებზე, მათ შორის მზრუნველი ქვეყნისა და გლუკ-ის ურთიერთთანამშრომლობაზე.

მოკლე მიმოხილვა

ლტოლვილის სტატუსის დადგენა

- გულისხმობს პროცესს, როდესაც სახელმწიფო ან გლუკ-ი ადგენს, არის თუ არა აღიარებული განსაზღვრების თანახმად ლტოლვილი პირი, რომელმაც ითხოვა თავშესაფარი ან სხვაგვარად დაადასტურა, რომ ესაჭიროება საერთაშორისო დაცვა.
- ლტოლვილის სტატუსი შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

f

ლტოლვილის განმარტება

- ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება, ვინ არის ლტოლვილი.
- გლუკ-ის 1950 წლის სტატუტი მოიცავს ლტოლვილის განმარტებას, რომელიც თითქმის 1951 წლის კონვენციისეულის იდენტურია. გარდა ამისა, გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის მიხედვით, ლტოლვილები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ექცევიან გაერო-ს გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციების შედეგად გაფართოებულ განსაზღვრებაში.
- ლტოლვილის განმარტებები მოცემულია ასევე რეგიონულ ინსტრუმენტებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია *აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების და სპეციფიკური ასპექტების მოგვარების 1969 წლის კონვენცია*, *ლტოლვილთა შესახებ 1984 წლის კართაგენის დეკლარაცია* და ეროვნული კანონმდებლობა.

პასუხისმგებლობა ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრაზე

სახელმწიფოები

- ქვეყანას, რომელშიც პირმა ითხოვა თავშესაფარი, ეკისრება პირველადი პასუხისმგებლობა, რომ განსაზღვროს, ვინ შეიძლება ისარგებლოს საერთაშორისო დაცვით და იმ უფლებებითა და შეღავათებით, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის თანამდევია.
- როდესაც განსაზღვრავენ ლტოლვილის სტატუსის დასაშვებობას, 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გამოიყენონ 1951 წლის კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებული ლტოლვილის განსაზღვრება.^f
- იქ, სადაც ქვეყანა განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსს, გლუკ-ს, როგორც წესი, დამკვირვებლის ან მრჩეველის ფუნქცია აქვს, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში გლუკ-ს მიმღები ქვეყნის სახელით შეუძლია აწარმოოს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის პროცედურები.

გლუკ-ი

- 1950 წლის სტატუტის თანახმად, რომელიც კიდევ უფრო გაფართოვდა შემდგომში გაეროს გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების საფუძველზე, გლუკ-ი პასუხისმგებელია უზრუნველყოს ლტოლვილების საერთაშორისო დაცვა და ეძებოს მათი პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტილებები; ამასთან, ზედამხედველობა გაუწიოს 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყნების მიერ ამ დოკუმენტების აღსრულებას.
- თავშესაფრის ქვეყნის ორგანოების მიერ 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის საფუძველზე ლტოლვილად აღიარებული პირები გლუკ-ის მიერ ცნობილნი არიან, როგორც მისი საერთაშორისო მანდატით დაცულნი. გარკვეულ პირობებში ლტოლვილის სტატუსს განსაზღვრავს გლუკ-ი და საქმეების უმეტესობა განიხილება 1950 წლის მანდატის საფუძველზე. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს:
 - იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრები;
 - ქვეყნებში, რომლებიც არიან ამ ინსტრუმენტების წევრები, მაგრამ ჯერ არ გააჩნიათ თავშესაფრის დადგენის პროცედურები ან სადაც ადგილობრივი თავშესაფრის პროცედურები ცალსახად არაადაკვატურია, ან სადაც განსაზღვრება დაფუძნებულია 1951 წლის კონვენციის მცდარ ინტერპრეტაციაზე, ან
 - როგორც წინაპირობა ისეთი გრძელვადიანი გადაწყვეტილების გამოყენებისთვის, როგორიც არის გადასახლება.
- როდესაც გლუკ-ი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს, თუ ვინ არის ლტოლვილი, ის ძირითადად იყენებს 1951 წლის კონვენციის ლტოლვილის განმარტების კრიტერიუმებს, რომლებიც პრაქტიკულად იდენტურია როგორც 1950 წლის სტატუტის, ისე – ლტოლვილის მანდატისეული გაფართოებული განმარტების.

ლტოლვილად აღიარების შედეგები

გადაწყვეტილება, რომ პირი არის ლტოლვილი, დეკლარაციული ხასიათისაა. ის აღიარებს და ფორმალურად ადასტურებს, რომ ამ პირს გააჩნია შემდეგი უფლებები:

- დაცვა გაძევებისა და იმ ქვეყანაში დაბრუნებისგან (*refoulement*), რომელშიც ლტოლვილის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, როგორც ეს ჩამოყალიბებულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში.

- სხვა უფლებებისა და უფლებამოსილებების მინიჭება, რომლებიც მოცემულია 1951 წლის კონვენციაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებსა და საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში.
- უფლებამოსილება, დაეხმარონ მდგრადი გადაწყვეტილების მოძიებაში. სიტუაციისდა მიხედვით ეს შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი რეპატრაცია, ადგილობრივი ინტეგრაცია ან გადასახლება.

ძირითადი საკითხავი

გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახურის სტატუტი;

1951 წლის 28 ივლისის კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ;

1967 წლის 31 იანვრის ოქმი ლტოლვილის სტატუსის შესახებ;

გლუკ-ი, *საერთაშორისო დაცვის განმარტებითი ბარათი*, გაეროს დოკუმენტები A/AC.96/830, 1994 წლის 7 სექტემბერი;

გლუკ-ი, *საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფა დაცვის დამატებითი ფორმების გათვალისწინებით* EC/55/SC/CRP.16, 2005 წლის 2 ივნისი;

სირ ელიჰუ ლოტერპახტი და დენიელ ბეთლეჰემი „არგაძეების პრინციპის ჩარჩო და შინაარსი: აზრი“, ერიკა ფელერის, ვოლკერ ტურკის და ფრანსის ნიკოლსონის „ლტოლვილთა დაცვა საერთაშორისო სამართალში“ – გლუკ-ის გლობალური კონსულტაციები საერთაშორისო დაცვის თაობაზე, კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა, 2003 წ., გვ 87-177.

თავი პირველი - სავარჯიშოები

მიმოხილვა:

1. შემდეგი პასუხებიდან რომელია **სწორი**? ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი ვის აკისრებენ პასუხისმგებლობას ლტოლვილებთან დაკავშირებულ საკითხებზე:

- ა. გლუკ-ს;
- ბ. სახელმწიფოს;
- გ. ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს;
- დ. არასამთავრო ორგანიზაციებს.

2. შემდეგი განცხადებებიდან რომელია **სწორი**? გლუკ-ის პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ლტოლვილები საერთაშორისო დაცვით, ეფუძნება:

- ა. გლუკ-სა და თავშესაფრის ქვეყანას შორის დადებულ შეთანხმებას;
- ბ. გლუკ-ის 1950 წლის სტატუტს და გაეროს გენერალური ასამბლეისა და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემდგომ რეზოლუციებს;
- გ. 1951 წლის კონვენციას;
- დ. რეგიონულ დოკუმენტებს ლტოლვილთა შესახებ.

3. იქ, სადაც ლტოლვილთა შესახებ რეგიონული ინსტრუმენტები მოქმედებს, 1951 წლის კონვენცია და/ან 1967 წლის ოქმი აღარ არის აქტუალური. მოცემული დებულება **სწორია თუ მცდარი**? გთხოვთ, დაასაბუთოთ.

4. შემდეგი განცხადებებიდან რომელი **არ არის სწორი**?

- ა. როდესაც ხდება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა, როგორც მიმღები ხელისუფლება და ისევე გლუკ-ი, პირველ რიგში არკვევენ, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი 1951 წლის კონვენციაში და/ან 1967 წლის ოქმში მოცემული ლტოლვილის განმარტების კრიტერიუმებს.
- ბ. პირი, რომელიც გამოექცა საომარი კონფლიქტის ზოგად შედეგებს, შეიძლება იყოს ლტოლვილი გლუკ-ის მანდატის მიხედვით.
- გ. პირი შეიძლება იყოს ლტოლვილი მხოლოდ მაშინ, თუ მან თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე შეიტანა განაცხადი.
- დ. გლუკ-ი უფლებამოსილია უზრუნველყოს ლტოლვილებისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი სხვა პირების საერთაშორისო დაცვა და ზედამხედველობა გაუწიოს 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის მოთხოვნების განხორციელებას ამ ინსტრუმენტების წვერი ქვეყნების მიერ.

5. პირი ფლობს ლტოლვილის სრულ სტატუსს მხოლოდ მაშინ, თუ მან გაიარა ინდივიდუალური პროცედურა. **სწორია თუ მცდარი?** გთხოვთ, დაასაბუთოთ.
6. შემდეგი განცხადებებიდან რომელია **სწორი**?
- ა. არგამკვეთების პრინციპი მოქმედებს იმისდა მიუხედავად, მიმღები ქვეყანა არის თუ არა 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრი.
 - ბ. თუ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოყალიბებული არგამკვეთების პრინციპის გამონაკლისები ვრცელდება კონკრეტულ ლტოლვილზე, ის შეიძლება დააბრუნონ თავის წარმოშობის ქვეყანაში, თუნდაც არსებობდეს წამების საფრთხე.
 - გ. ძირითადი პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ლტოლვილისთვის მინიჭებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა, აწვეს გლუკ-ს.
 - დ. ლტოლვილთა ნებისმიერი სიტუაციისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გრძელვადიანი გადაწყვეტილება, რომელიც გავრცელდება ყველა ლტოლვილზე.

საქმე - ა

ადამი ლემის მოქალაქეა. იგი მთავრობის მიერ აკრძალული ოპოზიციური პარტიის წევრია. სულ უფრო და უფრო რთულდება ლემში ოპოზიციური ჯგუფებისთვის თავისუფალი გამოსვლები რეპრესიების გარეშე. გასულ თვეში ადამი სამჯერ დააპატიმრა და დაკითხა ადგილობრივმა პოლიციამ ოპოზიციურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დაკითხვის დროს ადამი არაერთხელ სცემეს და მესამეჯერ რომ დააპატიმრეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს. ამის გამო მან გადაწყვიტა დაეტოვებინა ლემი და ასეც მოიქცა. როგორც კი გაათავისუფლეს პატიმრობიდან, ის გადაფრინდა აფიაში, რომელიც არ არის 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყანა და არ აქვს შემუშავებული ლტოლვილის სტატუსის დადგენისთვის საჭირო მექანიზმები.

როგორც კი დედაქალაქში ჩავიდა, ადამი მივიდა გლუკ-ის ოფისში და იურიდიულ ოფიცერს განუმარტა, რომ ესაჭიროებოდა დაცვა, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა ლემში.

გთხოვთ, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

ა	ადამის საქმეში აუცილებელია თუ არა ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების ჩატარება?
ბ	თუ საჭიროა, მაშინ ვინ არის პასუხისმგებელი განსაზღვროს, არის თუ არა ადამი ლტოლვილი?
გ	რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ადამი, რომ მიიღოს ლტოლვილის სტატუსი?
დ	რა უფლებები და ვალდებულებები დაეკისრება ადამს, თუ მას ლტოლვილის სტატუსი მიანიჭეს აფიაში?

საქმე – ბ

რირუტანია არის ქვეყანა, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის წინ ორ უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს შორის დაწყებული სამოქალაქო ომის გამო ორად გაიხლიჩა. უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე რირუტანიის მოქალაქეები გაურბიან რა საომარ მოქმედებებს, დაცვის მიღების იმედით ყოველდღე ასობით კვეთენ მეზობელი ქვეყნის, ბუკას, საზღვრებს. ჩამოსულები ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები არიან.

ბუკა არ არის ჩართული რირუტანიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში. ის არის 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყანა და ლტოლვილის სტატუსზე ინდივიდუალური განაცხადების განსახილველად უფლებამოსილი ეროვნული კომისია (უეკ) ჩამოაყალიბა. ამ ამოცანის შესასრულებლად კომისიამ ორი თანამშრომელი დანიშნა.

მასობრივი შემოდინების დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბუკას საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრმა გამოთქვა შეშფოთება, რომ შესაძლებელია რირუტანიელი მებრძოლები შემოვიდნენ ქვეყანაში და ბუკა გამოიყენონ რირუტანიაზე სამხედრო თავდასხმის ბაზად. მინისტრი გამოვიდა წინადადებით, რომ სანამ ამის აღკვეთა მოხერხდება, მისმა მთავრობამ ყველა რირუტანიელი უკან, თავის ქვეყანაში, გააგზავნოს.

გთხოვთ უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

ა	ბუკას უფლებამოსილმა ეროვნულმა კომისიამ უნდა განიხილოს თუ არა ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები ინდივიდუალურად, რათა დაადგინოს, თუ რომელი რირუტანიელები იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას?
ბ	არის თუ არა კანონიერი მინისტრის განზრახვა მებრძოლების მიმართ და თუ არის, რა უნდა გაკეთდეს ამ მიზნით?
გ	შეუძლია თუ არა ბუკას კანონის საფუძველზე დააბრუნოს რირუტანიელები მათი წარმოშობის ქვეყანაში?

პირველი თავის საგარჯიშოების პასუხები

მიმოხილვა:

- 1 ბ 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი საერთაშორისო ხელშეკრულებებია – ისინი ადგენენ წვერი ქვეყნების ვალდებულებებს, თუმცა 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის ზოგიერთი დებულება ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილი გახდა და მათი შესრულება სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის, მათ შორის მათთვისაც, რომლებიც ჯერ არ არიან ამ ინსტრუმენტების წევრები. კერძოდ, ეს ეხება *არგადევების (non-refoulement)* პრინციპს.
- 2 ბ გლუკ-ის სტატუტი, რომელიც ადგენს ოფისის კომპეტენციას, განახორციელოს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა და ეძიოს მათი გადაადგილების გადაწყვეტილებები, 1950 წელს მიიღო გენერალურმა ასამბლეამ. გლუკ-ის პასუხისმგებლობა ლტოლვილების (და მზრუნველობის ქვეშ მყოფი სხვა კატეგორიის პირთა) მიმართ მოგვიანებით გაფართოვდა გენერალური ასამბლეის და ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების საფუძველზე.
- 3 მცდარია რეგიონული ხელშეკრულებები ავსებენ 1951 წლის კონვენციას, რომელიც რჩება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ძირითად საფუძველად.
- 4 ბ ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ლტოლვილის დადგენის 1951 წლის კონვენციისეულ მოთხოვნებს, არის ლტოლვილი მაშინაც კი, თუ ეს ფორმალურად არ არის ჯერ დადგენილი და პირს წარმოდგენილი არ აქვს თავშესაფრის განაცხადი. ლტოლვილის სტატუსის დადგენა არის დეკლარაციული ხასიათის – ის ადასტურებს, რომ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ლტოლვილის განსაზღვრებას. მიუხედავად იმისა, საქმე ნამდვილად ასე არის თუ არა, პირის განცხადება საერთაშორისო დაცვის საჭიროების თაობაზე უნდა იქნას განხილული (იხ.: 5.2.3).
- 5 მცდარია ლტოლვილის სტატუსის დადგენას ჯგუფური საფუძველით მასობრივი შემოსვლის დროს იმ ქვეყნიდან, რომელშიც გაერცხლებულია ძალადობა ან საზოგადოებრივი წესრიგის სერიოზული დარღვევები, ისეთივე შედეგები მოჰყვება, როგორც ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალურად განსაზღვრას: ჯგუფის წევრად აღიარებულებს გააჩნიათ ლტოლვილის სტატუსი.

- 6 ა არგაძეების პრინციპი, რომელიც დაცულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლით, გახდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა. ის ავალდებულებს ყველა ქვეყანას, მათ შორის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ჯერ არ არიან 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრები, არ დააბრუნონ ლტოლვილი იმ ქვეყანაში, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო. ამ პრინციპიდან ერთადერთი გამონაკლისი ასახულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მეორე ნაწილში, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს კრიტერიუმი არსებობს, დაუშვებელია ლტოლვილის (ან ნებისმიერი სხვა პირის) დაბრუნება იქ, სადაც იგი შეიძლება აწამონ.

საქმე - ა

- ა დიას. ადამმა წარადგინა განაცხადი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს, საჭიროებს თუ არა ის დაცვას.
- ბ ვინაიდან მასპინძელი ქვეყანა (აფია) არ არის 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის წევრი და არ შეუმუშავებია ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები, გლუკ-მა თავისი მანდატის მიხედვით უნდა განსაზღვროს, ადამი არის თუ არა ლტოლვილი.
- გ გლუკ-მა უნდა დაადგინოს: არის თუ არა ადამი ლტოლვილი 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად (რომელიც, როგორც ვნახეთ 1.2.1 და 1.2.4 ნაწილებში, ფაქტობრივად იგივეა, რაც გლუკ-ის 1950 წლის სტატუტში) ან თუ ასე არ აღმოჩნდა, ხომ არ ექცევა ლტოლვილის გაფართოებულ განსაზღვრებაში ოფისის მანდატის მიხედვით.
- დ აფია არ არის 1951 წლის კონვენციის წევრი, თუმცა არგაძეების პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბებულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში, ვრცელდება აფიაზეც, რადგან ეს პრინციპი გახდა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმა. ამგვარად, ადამი სარგებლობს დაცვით, რომ არ დააბრუნებენ იმ ქვეყანაში, რომელშიც მის სიცოცხლეს და თავისუფლებას დაემუქრება საფრთხე რასის, რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო. ადამი ასევე სარგებლობს ადამიანის უფლებათა იმ საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებების დაცვით, რომელთა წევრიც არის აფია; ასევე, ადამიანის უფლებათა იმ სტანდარტებით, რომლებიც გარანტირებულია ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით. როგორც უცხოელმა, აფიაში ადამმა უნდა დაიცვას ქვეყნის კანონები. რამდენადაც გლუკ-ის მანდატის მიერ ლტოლვილად არის აღიარებული, ადამს უფლება აქვს იმედოვნებდეს, რომ ოფისი ყველა შესაძლებლობას

გამოიყენებს მისთვის მანდატით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის უზრუნველსაყოფად.

საქმე – ბ

ა არა. იმ გარემოებაში, როდესაც ყოველდღე ასობით ადამიანი ჩამოდის, არარეალური იქნება ვივარაუდოთ, რომ კომისიის მიერ დანიშნული ორი მუშაკი შეძლებს ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის ინდივიდუალური პროცედურის ჩატარებას. ამ ადამიანების წარმოშობის ქვეყანაში შექმნილი ვითარების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი, ვინც ბუკაში ჩამოვიდნენ, საჭიროებენ დაცვას და გამოექცნენ საშიშროებას, რომელიც მათ სიცოცხლესა და უსაფრთხოებას ემუქრებოდა. ამ სიტუაციაში ბუკას შესაბამისი ხელისუფლების მხრიდან ყველაზე შესაფერისი იქნება მათი ლტოლვილებად აღიარება *prima facie* საფუძველით. სიტუაციიდან გამომდინარე, ეს შეიძლება დაეყრდნოს 1951 წლის კონვენციისეულ ლტოლვილის ცნებას; ამ ცნების უფრო ფართო განმარტება მოცემულია შესაბამის რეგიონულ ხელშეკრულებებში და/ან ბუკას ეროვნულ კანონმდებლობაში ლტოლვილთა შესახებ. გლუკ-ს თავისი მანდატის მიხედვით შეუძლია განსაზღვროს, რომ რურიტანიის საომარი კონფლიქტიდან გამოქცეულები უფლებამოსილნი არიან მიიღონ ლტოლვილის სტატუსი.

ბ როდესაც ადამიანების დიდი რაოდენობა გაურბის საომარ კონფლიქტს, სამოქალაქო პირებთან ერთად შეიძლება საზღვარი მეზობლებმაც გადაკვეთონ. ასეთ შემთხვევაში საფუძველიანი იქნება მასპინძელი ქვეყნის შეშფოთება: საერთაშორისო სამართლის თანახმად, ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ სხვა ქვეყანაში მიმდინარე საომარი მოქმედებების მიმართ, ვალდებული არიან დაიცვან საკუთარი ტერიტორია, რათა არ მოხდეს მათი გამოყენება საომარი ოპერაციების ჩასატარებლად. ასევე, მასპინძელი ქვეყანა ვალდებულია განაიარაღოს მის ტერიტორიაზე გადასული მეზობლები, განაცალკევოს ისინი სხვა ლტოლვილებისგან და დააყოვნოს მანამ, სანამ ისინი აღარ შეუქმნიან საფრთხეს საომარ კონფლიქტში ნეიტრალური სახელმწიფოს ვალდებულებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში რურიტანიიდან ჩამოსულები არიან ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები. ამდენად, სამოქალაქო პირებში მეზობლების შერევის პრობლემა არ არსებობს.

თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, ბუკას მთავრობა ვალდებული იქნებოდა მეზობლებთან დაკავშირებით ისე მოქცეულიყო, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი და დაეგინა ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის დაშვების პროცედურები იმ ყოფილი მეზობლებისთვის, რომლებმაც წარმოადგინეს თავშესაფრის განაცხადი. ამისათვის საჭირო იქნებოდა, პირველ რიგში, გარკვეულიყო, გულწრფელად და სამუდამოდ თქვეს თუ არა მათ უარი საომარ მოქმედებებზე და მათთვის, ვინც განისაზღვრა, როგორც

სამოქალაქო პირი, ჩატარებულიყო ლტოლვილის სტატუსის დადგენის ინდივიდუალური პროცედურები (იხ.: 2.3.4).

- ბ რურიტანიელების წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებისას ბუკა დაარღვევს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილ „არგადეების“ პრინციპს. ეს პრინციპი ვრცელდება ლტოლვილებზეც და თავშესაფრის მაძიებლებზეც. გამონაკლისი, რომელიც ლტოლვილთა დენის (მაგრამ არა წამების) საშიშროების მიუხედავად დაბრუნების უფლებას იძლევა, გამოიყენება მხოლოდ კონკრეტული, ზუსტად განსაზღვრული გარემოებების დადასტურების შემთხვევაში და მათი არსებობა უნდა დადგინდეს შესაბამისი პროცედურებით თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად. საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევად ჩაითვლება ასევე, თუ ბუკა საზღვრებს დაუკეტავს მათ, ვინც რურიტანიაში მიმდინარე სამოქალაქო ომს გაურბის. ქვეყნის ტერიტორიაზე მათი არშემოშვება *გადეების* ტოლფასი იქნება.

თავი II

უფლებრივი კრიტერიუმები – დადგენა 1951 წლის კონვენციის მიხედვით



ძირითადი მიზნები

გაიაზროთ კრიტერიუმები, რათა განსაზღვროთ, არის თუ არა პირი ლტოლვილი 1951 წლის კონვენციის მიხედვით

კარგად გაერკვეთ დენის კონცეფციაში

იცოდეთ, როგორ ხდება ლტოლვილის ცნების გამოყენება კონკრეტულ სპეციფიკურ სიტუაციაში

ეს თავი სწავლობს 1951 წლის კონვენციაში ჩამოყალიბებულ ლტოლვილის განსაზღვრების დამდგენ კრიტერიუმებს. ეს ის ელემენტებია, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის პოზიტიურ საფუძველს აყალიბებენ და რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რომ ლტოლვილად იქნას აღიარებული. თავი აღწერს ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტების ელემენტებს და განიხილავს დენის კონცეფციასთან დაკავშირებით რიგ სპეციფიკურ კითხვებს. ის ასევე ეხება კონკრეტულ პრობლემებს, რომლებსაც აწყდებიან გადაწყვეტილების მიმღებნი, როდესაც საქმე ეხება წარმოშობის ქვეყნიდან განმცხადებლის გამგზავრების შემდეგ დენის საფუძვლიანი შიშის წარმოშობას (*sur place* განაცხადი) ან როდესაც პირები გაურბიან შეიარაღებულ კონფლიქტს.

2.1 შესავალი

როგორც წინა თავში აღინიშნა, 1951 წლის კონვენცია აგრძელებს პრინციპული საფუძვლის ფორმირებას იმის დასადგენად, თუ ვინ არის ლტოლვილი. 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრების კრიტერიუმები გამოიყენება როგორც სახელმწიფოების, ისე - გლუკ-ის მიერ (როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს კრიტერიუმები ფაქტობრივად ისეთივეა, როგორც 1950 წლის სტატუტის განსაზღვრებაში).

1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის A(2) ნაწილის თანახმად, ტერმინი „ლტოლვილი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც

“საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს რასის, რელიგიური აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო დენის მსხვერპლი, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით; ან არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა, მსგავს მოვლენათა გამო იმყოფება თავისი ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.”

პირი მიიღებს 1951 წლის კონვენციით განსაზღვრულ ლტოლვილის სტატუსს, თუ ის აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს და კონვენციის გამომრიცხავი დებულებებიდან არც ერთი არ არსებობს (განხილვა იხილეთ მე-3 თავში). პირი შეინარჩუნებს აღნიშნულ სტატუსს მანამ, სანამ არ მოექცევა შეწყვეტის პირობებში (განხილვა იხილეთ მე-4 თავში).

2.2 ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტების ელემენტები

როდესაც ხდება საკითხის შესწავლა, თავშესაფრის მაძიებელი აკმაყოფილებს თუ არა ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტების კრიტერიუმებს, გადაწყვეტილების მიმდებებმა უნდა გაითვალისწინონ საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტი და გარემოება და განსაზღვრონ, არის თუ არა წარმოდგენილი ყველა ელემენტი. შემდეგი ქვეთავი განიხილავს თითოეულ მათგანს.

2.2.1 მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ყოფნა

პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ლტოლვილი, თუ ის იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირი (ის, ვისაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნია) – მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ. ეს არის არსებითი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც უნდა დადასტურდეს განმცხადებლის მიერ მოწოდებული ან სხვა წყაროებით მოძიებული დოკუმენტების, განაცხადების ან სხვა ტიპის ინფორმაციის საფუძველზე.

განმცხადებლებს, რომლებიც ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობით სარგებლობენ, ლტოლვილის სტატუსის მისაღებად უნდა გააჩნდეთ დევნის კარგად დასაბუთებული შიში თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მეორე მოქალაქეობა ნიშნავს ფაქტობრივად ყველა იმ უფლებით სარგებლობას, რომლებითაც სარგებლობენ ამ ქვეყნის მოქალაქეები. ეს ყოველთვის არ ხდება ასე და ამიტომ გადაწყვეტილების მიმდებებმა უნდა განასხვაონ მოქალაქეობის მხოლოდ იურიდიული თვალსაზრისით ქონა ფაქტობრივისგან და ამ ქვეყანასა თუ ქვეყნებში დაცვის არსებობის რეალური შესაძლებლობა.

1951 წლის კონვენცია არ მოითხოვს, რომ განმცხადებელი უკვე იყოს ლტოლვილი იმ მომენტისათვის, როცა მან დატოვა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანა. ასევე, არ არის აუცილებელი, რომ მან დატოვოს ბინადრობის ქვეყანა დევნის შიშით. ლტოლვილად აღიარების

საფუძვლები შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ეს პირი უკვე ქვეყნის გარეთ იმყოფება. ასეთ სიტუაციებში პირი შეიძლება მასპინძელ ქვეყანაში ყოფნისას გახდეს ლტოლვილი (“*sur place*”). თუ როგორ უნდა განახორციელოს “*sur place*” განაცხადების განსაკუთრებული ელემენტების განხილვა გადაწყვეტილების მიმღებმა, მოცემულია 2.3.3 ნაწილში. ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტების ამ ელემენტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ გლუკ-ის *სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის პროცედურების და კრიტერიუმების შესახებ* (1979 წ. განმეორებითი გამოცემა 1992 წლის იანვარი), §§ 87-96 და § 106-107.

2.2.2 საფუძვლიანი შიში

ტერმინი „საფუძვლიანი შიში“ მოიცავს სუბიექტურ და ობიექტურ ელემენტებს და როდესაც ხდება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრა, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა განიხილონ ორივე მათგანი.

2.2.2.1 სუბიექტური ელემენტი: შიში

განმარტების მიხედვით, შიში არის ცნობიერებასთან დაკავშირებული და, შესაბამისად, ესაა სუბიექტური მდგომარეობა, რომელიც დამოკიდებულია თავად პირის ან მისი ოჯახის წარმომავლობაზე, მის პირად გამოცდილებაზე და იმაზე, თუ როგორ გადმოსცემს ის თავის მდგომარეობას. პრაქტიკაში უკან დაბრუნების სურვილის არქონის ნებისმიერი გამოვლენა საკმარისია ლტოლვილის განმარტების დევნის ელემენტის დასადგენად. შეიძლება განმცხადებელი აშკარად არ გამოხატავდეს შიშს, ეს ხშირად ობიექტური გარემოებებით არის ნაკარნახევი. მაგალითად, უკან დაბრუნების შემთხვევაში არსებობს დევნის რეალური რისკი. როგორც წესი, ლტოლვილის სტატუსისათვის მიმართვის უბრალო ფაქტიც კი საკმარისია, რომ დავინახოთ უკან დაბრუნების შიში. ამ საკითხის თაობაზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გლუკ-ის ზემოხსენებული სახელმძღვანელო, §§ 37-41.

2.2.2.2 ობიექტური ელემენტი: „საფუძვლიანი“

არის თუ არა შიში „საფუძვლიანი“, უნდა გაირკვეს განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში არსებული

სიტუაციისა და მისი პერსონალური გარემოების გათვალისწინებით. გადაწყვეტილების მიმღებმა დეტალურად უნდა განიხილოს განმცხადებლის წარმოშობა, ანკეტა და გამოცდილება. ოჯახის წევრების და/ან მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთა გამოცდილებაც არსებითია. შემდეგ განმცხადებლის უფლებამოსილება და მისი შიში უნდა შეფასდეს წარმოშობის ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ ობიექტურ ინფორმაციასთან ერთად. ამ დროს წარმოშობის ქვეყნის შესახებ სანდო ინფორმაცია შეუცვლელი წყაროა.

თავშესაფრის მაძიებლებს არ მოეთხოვებათ ამტკიცონ თავიანთი შიში „გონივრულ ეჭვზე მეტად“, ან ის, რომ ზიანის მიყენების შიში „უფრო მეტად შესაძლებელია, ვიდრე – შეუძლებელი“. საქმის შემსწავლელმა განმცხადებლის შიში საფუძვლიანად უნდა ჩათვალოს, თუ არსებობს **რეალური შესაძლებლობა**, რომ განმცხადებელს შეიძლება ემუქრობოდა გარკვეული ფორმის ზიანის მიყენება იმ შემთხვევაში, თუ დაბრუნდება თავის წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში. საკითხები ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცესში მტკიცების სტანდარტებისა და ტვირთის შესახებ განხილულია ქვემოთ, იხ.: 5.1.2.

საზოგადოდ, 1951 წლის კონვენციის თანახმად, ლტოლვილთა დაცვაზე უფლებამოსილება მოითხოვს, რომ დევნის შიში არსებობდეს აწმყოში ან მომავალში. თუ განმცხადებელი იდევნებოდა წარსულში, ეს ნიშნავს, რომ მას შეიძლება კვლავაც ემუქრობოდა მსგავსი საფრთხე. მიუხედავად ამისა, პირი, რომელიც ადრე არ იდევნებოდა, შეიძლება აკმაყოფილებდეს ლტოლვილის სტატუსს, თუ ის თავიდან იცილებს დევნას მომავალში და, ამასთანავე, აკმაყოფილებს უფლებამოსილების ყველა სხვა კრიტერიუმს. გადაწყვეტილების მიმღებმა კონკრეტული საქმეების მიხედვით უნდა განიხილოს, განმცხადებლისათვის მიყენებული შესაძლო ზიანის საშიშროება მომდინარეობს სახელმწიფოს თუ სხვა აქტორებისგან (ე.წ. „არასახელმწიფო შემსრულებლები“); შეუძლია ან სურს თუ არა სახელმწიფოს, დაიცვას პირი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის ფარგლებში; ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში განმცხადებლის შიში არ ჩაითვლება საფუძვლიანად (იხ.: ქვემოთ 2.2.4 და 2.2.5).

თუმცა შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც

წარმოშობის ქვეყანაში არსებული ვითარება მთლიანად შეიცვალა და განმცხადებელი, რომელიც ადრე იქ იდევნებოდა, დაბრუნების შემთხვევაში აღარ აღმოჩნდება დევნის საფრთხის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ პირი აღარ მოითხოვს ლტოლვილის სტატუსს, შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც უპირიანი იქნებოდა პირის ლტოლვილად აღიარება წარსული დევნის შედეგად წარმოშობილი მთელი რიგი სარწმუნო არგუმენტების გამო. მაგალითად, როდესაც დევნა იყო განსაკუთრებით სასტიკი და განმცხადებელი ჯერაც იმდენად ტრავმირებულია ფსიქოლოგიურად, რომ შეუძლებლად მიაჩნია უკან დაბრუნება.

როდესაც განმცხადებელს ხელთ აქვს საკუთარი მოქალაქეობის ქვეყნის **პასპორტი**, ამან შეიძლება წარმოშვას გარკვეული კითხვები მისი დევნის საფუძვლიანობის თაობაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ და მხოლოდ პასპორტის ქონა ყოველთვის არ უნდა იქნას განხილული, როგორც შიშის არარსებობის მაჩვენებელი, რადგან ზოგჯერ პასპორტის აღება არის წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის დატოვების მოსამზადებელი ნაბიჯი. თუმცა, როდესაც განმცხადებელი დაბეჯითებით მოითხოვს იმ ქვეყნის მოქმედი პასპორტის შენარჩუნებას, რომლის დაცვით სარგებლობაც არ სურს ან არ შეუძლია, ამან შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს „საფუძვლიანი შიშის“ არსებობა. განმცხადებელსა და მისი წარმოშობის ქვეყნის საკონსულოს შორის კონტაქტი შეიძლება ასევე იყოს ასეთი შიშის არარსებობის მაჩვენებელი, თუმცა ეს არ გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც საქმე ეხება მხოლოდ ადმინისტრაციულ დახმარებას (იხ.: ქვემოთ 2.2.5).

განმცხადებლის დევნის შიშის ობიექტური ელემენტების თაობაზე უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ გლუკ-ის სახელმძღვანელოს *გვ 42-50* და გლუკ-ის *განმარტებითი ბარათი ლტოლვილთა განცხადებებში მტკიცების ტვირთისა და სტანდარტების შესახებ*, 1998 წლის 16 დეკემბერი.

2.2.3 დევნა

2.2.3.1 „დევნის“ არსი

განმცხადებლის საფუძვლიანი შიში დევნას უნდა უკავშირდებოდეს. „დევნის“ ცნება არ არის განმარტებული 1951 წლის კონვენციაში, თუმცა კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დევნაა **სიცოცხლის ან ფიზიკური თავისუფლების ხელყოფა**, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა სხვა სერიოზული დარღვევები. 1951 წლის კონვენციის შესავალი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც გვაძლევს ანალიზისთვის საჭირო ჩარჩოებს, ამიტომაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ცოდნა და გაგება მნიშვნელოვანი იარაღია გადაწყვეტილების მიმღებთათვის, რათა სწორად შეაფასონ, კონკრეტული ქმედება შეიძლება განისაზღვროს თუ არა როგორც დევნა.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ დევნისგან თავშესაფრის ინსტიტუტის დაარსება წინ უსწრებდა ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარებას. ადამიანის უფლებათა არსებული სტანდარტებიდან მრავალი მას შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც 1951 წლის კონვენცია გაფორმდა და დღესაც აგრძელებს განვითარებას. შესაბამისად, დევნის ანალიზი უნდა ემყარებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს, მაგრამ ის გაუმართლებლად შეავიწროვებდა ჩარჩოებს, თუ განსაზღვრავდა დევნას მხოლოდ ადამიანის უფლებათა არსებული კოდიფიცირებული სტანდარტების მიხედვით. მაგალითად, შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვი ჯარისკაცების ჩართვის აკრძალვა მხოლოდ 2000 წელს მიიღეს 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის სახით, თუმცა სანამ ეს ქმედება საერთაშორისო სამართალში განიმარტებოდა როგორც ადამიანის უფლებათა განსაზღვრული სტანდარტი, ის შეფასდა როგორც დევნა.

ამიტომაც „დევნის“ ცნება არ შემოფარგლება მხოლოდ ადამიანის უფლებათა დარღვევით. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, ის ასევე მოიცავს სისტემატური ან განმეორებადი ხასიათის მქონე სხვა სახის სერიოზული ზიანის მიყენების ფაქტს ან აუტანელ, გაუსაძლის მდგომარეობას. უფრო დეტალურად იხილეთ გლუპ-ის *სახელმძღვანელო*, §§ 51-53.

2.2.3.2 დასაცავი უფლებების მაგალითები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი იცავს ყველა პიროვნების უფლებათა მნიშვნელოვან ნაწილს. ადამიანის უფლებათა 1948 წლის საყოველთაო დეკლარაცია ადგენს უნივერსალური ხასიათის ფუნდამენტური უფლებების ჩამონათვალს, ხოლო 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტებმა მათ სამართლებრივად სავალდებულო ფორმა მიანიჭეს. ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების სხვა სერიები აეწყო და განვითარდა ამ სტანდარტებზე, რათა სხვა სპეციფიკური კატეგორიების უფლებებიც მოეცვა.

როდესაც განისაზღვრება, განეკუთვნება თუ არა დევნას კონკრეტული ქმედება, გადაწყვეტილების მიმღებმა მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ კანონიერად შეზღუდონ განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებები, რომელთაც „შეუზღუდავი“ (*non-derogable*) ეწოდებათ. ასეთი უფლებებია:

- სიცოცხლის უფლება;
- წამების ან სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან დაცვის უფლება;
- მონობისა და იძულებითი შრომისგან დაცვის უფლება;
- კანონის წინაშე სამართალსუბიექტად აღიარების უფლება;
- აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება.

სხვა უფლებებით სარგებლობა შეიძლება შეიზღუდოს ოფიციალურად გამოცხადებული საგანგებო სიტუაციის პერიოდში, მაგრამ მხოლოდ იმ დოზით, რომელიც აუცილებელი და პროპორციულია და დისკრიმინაციის ელემენტებს არ შეიცავს. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა სამართალი განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ აღიარებს, რომ ასეთი შეზღუდვები შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი უშვებს რიგი უფლებების შეზღუდვას იმ საფუძველზე, რომლებიც სპეციალურად გაწერილია

შესაბამის დებულებებში. მაგალითად, ეს ეხება გადაადგილების თავისუფლებას; რწმენისა და რელიგიური აღმსარებლობის გამოხატვის თავისუფლებას; აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას; შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას; უკანონოდ დაკავებისა ან დაპატიმრებისგან დაცვას; პირად და ოჯახურ ცხოვრებაში უკანონო ჩარევისგან დაცვის უფლებას.

სხვა უფლებებით სარგებლობა არ მოითხოვს პირდაპირი ვალდებულებების წარმოქმნას, მაგრამ სახელმწიფოებს თავიანთი მიზნების მისაღწევად პროგრესული მუშაობა მოეთხოვებათ. ეს ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს (მაგალითად, შრომის, საკვების, ტანსაცმლის, განსახლების, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, დაწყებითი განათლების უფლება). ამასთან, იქაც კი, სადაც სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ზემოთხსენებული ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა, ამ უფლებების ხელმისაწვდომობისათვის დაუშვებელია საზოგადოების ჯგუფების დისკრიმინება.

2.2.3.3 „დევნის“ საზღვრები

ადამიანის უფლებთა დარღვევა, დისკრიმინაცია ან შევიწროება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ შემთხვევა განმცხადებლის დევნად განიხილოს. ზოგადად დევნას შეადგენს შეუზღუდავი უფლებების სერიოზული დარღვევები. სხვა უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევებიც იქნება განხილული როგორც დევნა, თუ მათ აქვთ სისტემატური და განმეორებადი ხასიათი.

დისკრიმინაციამ შეიძლება გამოიწვიოს დევნა, თუ ის დაკავშირებულია დაცულ უფლებებთან (როგორც არის, მაგალითად, აღმსარებლობის თავისუფლება) ან თუ გააჩნია განმეორებადი ხასიათი. დევნის ფაქტი დადასტურებულად ჩაითვლება, თუ განმცხადებლის მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობა – მაგალითად, გადარჩენის ძირითადი საშუალებების ხელმისაწვდომობა - არის მკაცრად შეზღუდული. უფრო მეტიც, დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებანი, რომლებსაც ერთჯერადი სახე აქვთ, არ გაუტოლდება დევნას. მათ შეიძლება განმცხადებლის გაუსაძლის სიტუაციაში ყოფნის დასადასტურებელი ევექტი გააჩნდეთ. ეს ჩაითვლებოდა დევნად „დაგროვილი საფუძვლებით“ (“cumulative grounds”).

როდესაც ფასდება, განმცხადებლის მიმართ ფაქტობრივად გატარებული ან მოსალოდნელი ზომები შეადგენს თუ არა დევნას, გადაწყვეტილების მიმღებმა ისინი განმცხადებლის შეხედულებების, განცდებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ჭრილში უნდა განიხილოს. ამ ანალიზის დროს სუბიექტური ელემენტი არის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან ერთსა და იმავე ქმედებას ადამიანებზე შეიძლება სხვადასხვა ეფექტი ჰქონდეს მათი წარსულის, გამოცდილებისა და სისუსტეების გათვალისწინებით. თითოეულ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა განსაზღვროს, ამ კონკრეტულ გარემოებებში დევნის ჩარჩოები დაცულია თუ არა. იხილეთ გლუკ-ის *სახელმძღვანელო*, §§ 53-55.

2.2.3.4 დევნა თუ სისხლის სამართლებრივი დევნა?

როდესაც განმცხადებლის მიერ წარმოშობის ქვეყანაში განცდილი დევნა უფრო მეტად სისხლის სამართლებრივია, მას არ აქვს საერთაშორისო დაცვის უფლება როგორც ლტოლვილს და მისი თხოვნა არ დაკმაყოფილდება. არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია პირს თავისუფლება კანონიერად შეუზღუდოს (მაგალითად, დაკავება სისხლის სამართლებრივი ბრალდებით ან სასჯელის სახით დაპატიმრება ბრალდებულად ცნობის შემდეგ), რაც არ წარმოშობს ლტოლვილის სტატუსზე განაცხადის წარდგენის საფუძველს.

ამასთან, თუ განმცხადებელი, რომელსაც წარმოშობის ქვეყანა უპირებს სისხლის სამართლებრივ დევნას ან დასჯას დანაშაულისთვის, აცხადებს, რომ მას დევნიან, გადაწყვეტილების მიმღებმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს ყველა გარემოება და დაადგინოს, ხომ არ ხდება ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის ან სხვა პროცედურების დევნის იარაღად გამოყენება. ასეთი შემთხვევებია, მაგალითად, როდესაც წარმოშობის ქვეყნის კანონი დანაშაულად აცხადებს ქმედებას, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებით, როგორც არის გამოხატვის თავისუფლება და ამიტომ ის თავისი არსით დევნის საფუძველია; როდესაც წარმოშობის ქვეყნის სისხლის სამართლებრივი პროცედურები სამართლიანობისა და მართლმსაჯულების ძირითადი სტანდარტების ნაკლებობას განიცდის; როდესაც

სასამართლო დევნის შედეგად მიღებული სასჯელი შეიძლება იყოს გადამეტებული, ანუ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით შეუფერებლად მკაცრი.

ზოგჯერ არსებობს ალბათობა, რომ პირს, რომელსაც შეიძლება ემუქრებოდეს სისხლის სამართლებრივი დევნა, წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში დევნის საფრთხე დაემუქროს. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია დევნის საკითხიდან დაწყებული განაცხადის მთლიანობაში შეფასება. თუ დადგენილია, რომ განმცხადებელს კონვენციის საფუძვლების თანახმად გააჩნია დევნის კარგად დასაბუთებული შიში (იხ.: ქვემოთ 2.2.4), გადაწყვეტილების მიმღებმა ისიც უნდა განიხილოს, პირის მიერ ჩადენილი დანაშაული ხომ არ ექცევა 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულებების ჩარჩოში (იხ.: ქვემოთ მე-3 თავი). ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ გლუკ-ის *სახელმძღვანელო*, §§ 56-60.

2.2.3.5 გარემოებები, რომლებიც არ ითვლება დევნად

პირები, რომლებიც გამოექცნენ სტიქიურ უბედურებებს, არ არიან ლტოლვილები, თუ რა თქმა უნდა, არ გააჩნიათ დევნის საფუძვლიანი შიში ლტოლვილის 1951 კონვენციის განმარტებაში ჩამოთვლილი მიზეზებიდან ერთ-ერთის გამო (იხ.: ქვემოთ 2.2.4). ისევე, როგორც არ არიან ლტოლვილები პირები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნები დატოვეს მხოლოდ ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, სერიოზული ეკონომიკური შეზღუდვები, რაც პირს არსებობისათვის საჭირო ნივთების შექენის ყველა შესაძლებლობას ართმევს, შეიძლება ჩაითვალოს დევნად. დამატებითი ინფორმაცია გარემოებებზე, როდესაც კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებული ეკონომიკური ზომები შეიძლება წარმოადგენდეს დევნას, იხილეთ გლუკ-ის *სახელმძღვანელო*, §§ 62-64.

ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტება არ ვრცელდება პირზე, რომელიც იძულებულია გაექცეს შეიარაღებული კონფლიქტის **განურჩეველ შედეგებს** ან ადამიანის ჩარევით გამოწვეულ სხვა უბედურებებს, მათ შორის, მაგალითად, უცხოელთა ბატონობას, ინტერვენციას, ოკუპაციას ან კოლონიზაციას. ასეთი პირებს შეუძლიათ იყვნენ ლტოლვილები მხოლოდ

ლტოლვილის უფრო ფართო განმარტების მიხედვით, რომელიც მისაღებია ლტოლვილთა რიგი რეგიონული ინსტრუმენტების და გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის საფუძველზე (იხ.: ზემოთ 1.2.4), მაგრამ 1951 წლის კონვენცია შეიძლება გავრცელდეს სამოქალაქო ომის ვითარებაში, თუ პირს საფრთხე ემუქრება, მაგალითად, ეთნიკური ჯგუფის წევრობის გამო, როგორც ეს განმარტებულია ქვევით 2.3.4.

2.2.4 1951 წლის კონვენციის საფუძველები

ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტება ადგენს, რომ ლტოლვილის სტატუსი პირმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იღვენება 1A(2) მუხლში ჩამოთვლილი **ხუთი საფუძველიდან** ერთ-ერთის გამო. ეს ხშირად განიხილება როგორც კავშირის მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილებელია, თუ კონვენციისეული საფუძველი დევნის მნიშვნელოვანი ფაქტორია. არ არის საჭირო ის იყოს ერთადერთი ან თუნდაც ძირითადი მიზეზი. ასევე, არ არის აუცილებელი დადგინდეს დევნის მოტივები: არის თუ არა დევნის განზრახვა შეუსაბამო, თუ მიღებული ზომების შედეგები კონკრეტული პირისთვის დევნას უტოლდება და თუ არსებობს კავშირი კონვენციისეულ საფუძველთან.

პრაქტიკაში შესაძლებელია ერთდროულად არსებობდეს ერთ კონვენციისეულ საფუძველზე მეტი. მაგალითად, თუ კონკრეტული რელიგიური, ეთნიკური ან სოციალური ჯგუფის წევრი ამავე დროს არის პოლიტიკური ოპონენტიც. დევნის შიშსა და კონვენციის შესაბამის საფუძველს შორის კავშირი მაშინ მყარდება, როცა ხელისუფლება შეცდომით აკუთვნებს ადამიანს კონკრეტულ რწმენას (მაგალითად, რელიგიურს ან პოლიტიკურს) ან გარკვეულ მახასიათებელს (მაგალითად, ჰომოსექსუალურ ორიენტაციას). ნეიტრალიტეტიც შეიძლება იყოს თავშესაფრის განაცხადის საფუძველი. მაგალითად, სამოქალაქო ომის ვითარებაში პირი, რომელიც არის ნეიტრალური, ორივე მხარემ შეიძლება ჩათვალოს პოლიტიკურ ოპონენტად, რასაც დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება მისი დევნა მოჰყვეს.

ზოგიერთ შემთხვევაში დევნა შეიძლება მომდინარეობდეს კერძო პირის ან „არასახელმწიფოებრივი აგენტისგან“. იმისათვის, რომ

დავადგინოთ შიში არის თუ არა საფუძვლიანი, აუცილებელია გამოვიკვლიოთ, სახელმწიფოს სურს და შეუძლია თუ არა უზრუნველყოს განმცხადებლის ეფექტური დაცვა (იხ.: ქვემოთ 2.2.5). ასეთ შემთხვევებში კავშირის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუ:

- სახელმწიფოს მხრიდან დაუცველობის მიზეზის მიუხედავად, დევნის მოტივი დაკავშირებულია კონვენციის საფუძველთან;

ან თუ

- დევნის მოტივი არ უკავშირდება კონვენციის საფუძველს, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან დაცვის სურვილის არქონა ან შეუძლებლობა გამომდინარეობს კონვენციის მიზეზებიდან.

„კონვენციისეული საფუძველები“, როგორც მათ უწოდებენ, საფუძვლიანად არის განხილული გლუკ-ის სახელმძღვანელოს შესაბამის პარაგრაფებში (§ 66-86), გლუკის *განმარტებით ბარათში ღტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის პირველ მუხლში, §§ 23-32*, გამოშვებულია 2001 წლის აპრილში და განსაკუთრებით, გლუკ-ის სამართლებრივი დაცვის სახელმძღვანელოში, რომელიც განხილულია შემდეგ ქვეთავში.

2.2.4.1 რასა

„რასის“ ცნება უფრო ფართოდ უნდა განვიხილოთ, ვიდრე ნებისმიერი სახის რეალური თუ აღქმადი განმასხვავებელი ეთნიკური მახასიათებელი. უმცირესობის ჯგუფები უფრო ხშირად არიან დევნის ობიექტები, ვიდრე უმრავლესობა, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება: მაგალითად, აპარტეიდი სამხრეთ აფრიკაში. რასობრივი უმრავლესობა იზარებოდა უმცირესობის მხრიდან; ქალი და კაცი „შერეულ“ ქორწინებაში, როდესაც მეუღლეები არიან სხვადასხვა ეთნიკური ან რასობრივი წარმოშობის, შეიძლება წააწყდნენ პრობლემებს, რომლებიც ზოგჯერ დევნის ტოლფასია. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავერკვეთ ძირითად სოციალურ კონტექსტში. რასობრივი დევნის სხვა ფორმაა მოქალაქეობის ჩამორთმევა და იმ უფლებების დაკარგვა, რომლებიც მას თან სდევს.

2.2.4.2 რელიგია

რელიგიის თავისუფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება. ის მოიცავს უფლებას, გქონდეს ან არ გქონდეს რელიგია, იყო რელიგიური და შეიცვალა რელიგია. „რელიგია“, როგორც 1951 წლის კონვენციის საფუძველი, ეხება არა მარტო დადგენილ რელიგიურ ინსტიტუტებს, არამედ მოიცავს აღმსარებლობის ნებისმიერ სისტემას, როგორც არის ღმერთის ან სამყაროს აღსასრულის რწმენა ან მნიშვნელობა, ან კაცობრიობის სულიერი ხვედრი. ლტოლვილის სტატუსზე ამ საფუძველით შეტანილი განაცხადები შეიძლება მოიცავდეს რელიგიური რწმენის ელემენტებს (ან აღმსარებლობის არქონის ფაქტს), რელიგიურობას ან რელიგიას, როგორც ცხოვრების გზას. რელიგია ხშირად მიიჩნევა შესაბამის საფუძველად, როდესაც ადამიანი აცხადებს, რომ დაემუქრება დევნის საფრთხე, თუკი უარს იტყვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლაზე (იხ.: ქვემოთ 2.3.2). რელიგიური საფუძველით დევნის მაგალითებია:

- რელიგიური მიმდევრობის თავისუფლების სერიოზული დარღვევები. მაგალითად, რელიგიური თემის წევრობის ან რელიგიური სწავლების აკრძალვა;
- სერიოზული დისკრიმინაცია ამა თუ იმ რელიგიური მიმდევრობის ან რელიგიური თემის წევრობის გამო;
- რელიგიის იძულებით შეცვლა ან თანხმობა ან რელიგიური მეთოდების გაზიარება იმ პირობით, რომ ასეთი ზომები საკმაოდ სერიოზულ გავლენას ახდენენ კონკრეტულ პირზე.

გახსოვდეთ, რომ გქონდეთ (ან არ გქონდეთ) რელიგია, არის აბსოლუტური და შეუზღუდავი უფლება, თუმცა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით დაშვებულია რელიგიის აგიტაციის უფლების გარკვეული შეზღუდვა. რელიგიური საფუძველით ლტოლვილის სტატუსისთვის განაცხადების შესწავლის დეტალური ინსტრუქცია შეგიძლიათ იხილოთ გლუპ-ის *საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელოში: რელიგიური საფუძველით წარდგენილი ლტოლვილის განაცხადება ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის IA(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის მიხედვით, 2004 წლის აპრილის გამოშვება (HCR/GIP/04/06).*

2.2.4.3 ეროვნება

„ეროვნება“ როგორც ლტოლვილის სტატუსის საფუძველი, გულისხმობს არა მარტო „მოქალაქეობას“, არამედ ადამიანთა ისეთ ერთობასაც, რომელიც განისაზღვრება რეალური ან აღქმული ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან ენობრივი იდენტობის მიხედვით, დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა ეს სხვაობა იურიდიულად გამყარებული.

2.2.4.4 გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება

კონვენციის ეს საფუძველი მაშინ გამოიყენება, როდესაც განმცხადებელი მიეკუთვნება პირთა ჯგუფს, რომელსაც დევნის რისკის გარდა აერთიანებს საერთო მახასიათებელი ან რომელიც საზოგადოების მიერ აღქმულია ჯგუფად. მახასიათებელი შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- **თანდაყოლილი** – როგორც არის სქესი, რასა, კასტა, ნათესაური კავშირი, ენობრივი კუთვნილება ან სექსუალური ორიენტაცია;
- **შეუცვლელი** – მაგალითად, როცა ის უკავშირდება პირის წარსულს, როგორცაა ყოფილი სამხედრო ოფიცერი, პროფკავშირის ყოფილი წევრი ან ყოფილი მიწათმფლობელი; ან
- **სხვა მხრივ მნიშვნელოვანი** პირის იდენტობის, მისი მორალური პრინციპების ან ადამიანის უფლებათა განხორციელებისათვის, რისი შეცვლაც ან უარყოფაც ნაკლებ მოსალოდნელია.

f

ჯგუფი უნდა განვასხვავოთ ადამიანთა სხვაგვარი ერთობისაგან ან იმიტომ, რომ ის თვლის თავს განსხვავებულად, ან იმიტომ რომ იგი ასეთად არის მიჩნეული დევნის განმხორციელებლის მიერ. მნიშვნელობა არა აქვს, ჯგუფის წევრები იცნობენ ერთმანეთს ან ურთიერკავშირში არიან თუ არა; არც ის არის აუცილებელი, რომ ეს იყოს პატარა ჯგუფი. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც „ქალები“ ზოგადად აღიარებული იქნენ, როგორც გარკვეული სოციალური ჯგუფი. გარკვეული სოციალური ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ოჯახი. მაგალითად, განაცხადი ლტოლვილის სტატუსისთვის შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ოჯახის წევრები პოლიტიკური აქტივისტების

ან ოპოზიციის მებრძოლების დევნის სამიზნე არიან, რათა ამგვარი წინების საშუალებით აიძულონ ეს უკანასკნელი, რომ დანებდნენ ან შეწყვიტონ თავიანთი საქმიანობა.

მოცემული კონვენციისეული საფუძვლის გამოყენების დეტალური ანალიზი მოცემულია გლუკ-ის *საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელოში: „გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება“ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის შესაბამისად, 2002 წლის 7 მაისის გამოშვება (HCR/GIP/02/02). 1951 წლის კონვენციის განსაზღვრებისეული გენდერული ნიშნით დევნის შესახებ, რომელიც ხშირად მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, რას წარმოადგენს განსაზღვრული სოციალური ჯგუფი, იხილეთ ქვემოთ 2.3.1.*

2.2.4.5 პოლიტიკური შეხედულება

„პოლიტიკური შეხედულების“ არსი, როგორც ლტოლვილად აღიარების საფუძველი, განხილული უნდა იყოს ფართო მნიშვნელობით. იგი უნდა მოიცავდეს ნებისმიერი აზრს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც ჩართულნი არიან სახელმწიფო, მთავრობა ან საზოგადოება. ეს, შესაძლოა, არ იყოს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიასთან ან აღიარებულ იდეოლოგიასთან დაკავშირებული და შეიძლება მოიცავდეს შეხედულებას გენდერულ როლებზე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს აქვს მთავრობისგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება, არ არის საფუძველი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნისთვის. მთავარია, განმცხადებელს აქვს თუ არა – ან მიჩნეულია, რომ აქვს – შეხედულება, რომლის მიმართაც ხელისუფლება ან საზოგადოება არ არის ტოლერანტული და ამ საფუძველით გააჩნია თუ არა მას დევნის საფუძვლიანი შიში.

პოლიტიკური შეხედულების გამო დევნამ შეიძლება სისხლის სამართლებრივი დევნის ფორმა მიიღოს (იხ.: ზემოთ 2.2.3.4). სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებაზე დაყრდნობილი თავშესაფრის განცხადების საფუძველიც შეიძლება პოლიტიკური შეხედულება იყოს (იხ.: ქვემოთ 2.3.2).

2.2.5 სახელმწიფო დაცვის არსებობა

ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრა ასევე განმარტავს, რომ ლტოლვილია პირი, რომელსაც არ შეუძლია ან (დევნის საფუძვლიანი შიშის გამო) არ სურს ისარგებლოს წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის დაცვით.

- **არ შეუძლია** ქვეყნის დაცვით სარგებლობა გულისხმობს გარემოებებს, რომლებიც პირის კონტროლს არ ექვემდებარებიან. მაგალითად, ქვეყანამ შეიძლება ვერ შეძლოს შესაბამისი დაცვის განხორციელება ომის, სამოქალაქო ომის ან სხვა სერიოზული საზოგადოებრივი მღელვარების პირობებში.
- **არ სურს** ისარგებლოს წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის დაცვით ნიშნავს, რომ პირი უარს ამბობს ამ ქვეყნის დაცვის მიღებაზე დევნის საფუძვლიანი შიშის გამო.

„სახელმწიფო დაცვის“ ელემენტი ტრადიციულად გაგებული იყო, როგორც სახელმწიფოს მხრიდან საკონსულო ან დიპლომატიური დაცვისთვის მიმართვა საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქის სახელით იმ უცხო ქვეყნის ხელისუფლების მიმართ, რომელშიც მოქალაქე აღმოჩნდა. ამან შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, მაგალითად დაპატიმრების შემთხვევაში ჩარევა ან სხვა ნებისმიერი სიტუაცია, როდესაც საჭიროა საზღვარგარეთ მყოფი პირის უფლებების დაცვა.

როგორც 2.2.2 პუნქტში აღინიშნა, თუ პირი ისარგებლებს ასეთი დაცვით, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მისი და სახელმწიფოს ურთიერთობა არ არის დარღვეული და რომ ასეთი პირს წარმოშობის ქვეყანაში დევნის საფუძვლიანი შიში არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, თავშესაფრის მაძიებელს ან ლტოლვილსა და წარმოშობის ქვეყნის საკონსულოს შორის კონტაქტი ყოველთვის არ უნდა განვიხილოთ, როგორც ასეთი შიშის არარსებობის ინდიკატორი – მაგალითად, პასპორტის ან გარკვეული ცნობის გაცემა შეიძლება ჩაითვალოს როგორც ადმინისტრაციული დახმარება და არა როგორც საკონსულო დაცვა. ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ გლჟუ-ის *სახელმძღვანელო*, §§ 47-50; §§ 97-100.

მოგვიანებით გაჩნდა 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოხსენიებული „სახელმწიფო დაცვის“ ახალი ინტერპრეტაცია, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებთაგან მოითხოვს გამოიკვირონ, წარმოშობის ქვეყანაში დაცვა არის თუ არა რეალურად შესაძლებელი. ამის ცალკე ელემენტად გაანალიზების ნაცვლად, შიდა დაცვის შესაძლებლობა უნდა განიხილებოდეს როგორც საფუძვლიანი შიშის არსებობის შეფასების ნაწილი (იხ.: 2.2.2.2). ეს განსაკუთრებით ეხება იმგვარ საქმეებს, რომლებშიც დევნის შიში დაკავშირებულია არასახელმწიფო აგენტების ქმედებებთან და ეგრეთწოდებული „შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივასთან.“

2.2.5.1 დევნის აგენტები

დევნის არსი ზოგადად ასოცირდება იმ ქვეყნის მთავრობასთან, საიდანაც განმცხადებელი გაიქცა. სახელმწიფო განხილულია როგორც წყარო, ანუ „დევნის აგენტი“, თუ დევნის ზომები მიღებულია მისი ორგანოების, მაგალითად უშიშროების სამსახურების, სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირების ან სამოქალაქო ადმინისტრატორების მიერ. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ვრცელდება ასევე ჯგუფებსა და პირებზე, რომლებიც ფორმალურად სამთავრო სტრუქტურების წაქეზებით ან თანხმობით მოქმედებენ (მაგალითად, სიკვდილის ბატალიონები, მილიცია ან გასამხედროებული ძალები).

ასევე, არის სიტუაციები, როდესაც დევნას ახორციელებენ „არასახელმწიფოებრივი“ მოქმედი პირები. მაგალითად, *დე ფაქტო* მთავრობა; პარტიზანები ან სეპარატისტები, რომლებიც არ წარმოადგენენ მთავრობას, მაგრამ შეიძლება აკონტროლებდნენ ქვეყნის ნაწილს. განმცხადებელი ასევე შეიძლება დევნის რისკის ქვეშ აღმოჩნდეს კერძო პირისგან, მაგალითად მისი ოჯახის ან საზოგადოების წევრების მხრიდან. ასეთ საქმეებში დევნის შიში საფუძვლიანი იქნება, თუ ხელისუფლებას არ შეუძლია ან არ სურს უზრუნველყოს პირის ეფექტური დაცვა (იხ.: გლუკ-ის *სახელმძღვანელო*, § 65; და ზემოთ 2.2.2.2 და 2.2.4 ქვეთავები).

როდესაც ხდება იმ განაცხადების შესწავლა, რომელთა თანახმადაც დევნას არასახელმწიფო აგენტები ახორციელებენ, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა

გადახედონ მოქმედ კანონმდებლობას, პოლიტიკას, მეთოდებს და ისე შეაფასონ, აქტიურად ჩაერევა თუ არა სახელმწიფო კონკრეტული პირის დაცვაში. შეიძლება მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს ზიანს და/ან დაუშვებელ მოპყრობას, რაც შეიძლება განმცხადებელს მიადგეს, მაგრამ ხელისუფლება არაფერს აკეთებს პრაქტიკაში ამის დასანერგად, რადგან არ არსებობს განხორციელების ვალდებულება ან რადგან სახელმწიფოს არ გააჩნია სათანადო ძალა და რესურსი სიტუაციაზე რეაგირებისათვის.

2.2.5.2 შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივა

თუ განმცხადებლის დევნის შიში შემოფარგლულია ქვეყნის კონკრეტული ნაწილით, რომლის გარეთაც საშიშროება ქრება, უნდა შეფასდეს, რეალურად შეუძლია თუ არა მას გადაადგილდეს ქვეყნის სხვა ნაწილში და იქ მიიღოს სახელმწიფოსგან დაცვა. ეს ცნობილია, როგორც „შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივა“. სადაც ამის საშუალება არსებობს, განმცხადებელს შეიძლება არ მიეცეს ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლება.

პრინციპში, ეს „შიდა გადაადგილების ალტერნატივა“ არსებითია მხოლოდ გარკვეული შეზღუდული გარემოებების დროს, როდესაც დევნის საშიშროება მოდის „არასახელმწიფო“ აგენტებისგან, როგორც არის, ვთქვათ, პარტიზანთა დაჯგუფება, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის ნაწილს. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა შიდა გადაადგილების ალტერნატივა, პირველად საჭიროა მოხდეს ფაქტორების მნიშვნელობის ანალიზი; უნდა გამოირკვეს, განსაზღვრული ადგილი არის თუ არა განმცხადებლისთვის ფაქტობრივად უსაფრთხო და სამართლებრივად მიღწევადი და გადაადგილების შემდეგ ხომ არ დაემუქრება დევნის (იგივე ან ახალი) საშიშროება სახელმწიფო ან არასახელმწიფო აგენტებისგან. როდესაც სახელმწიფო თვითონ არის დევნის განმახორციელებელი, შიდა გადაადგილების ალტერნატივა არ არის საიმედო, რადგან სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება მოქმედებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

იქ, სადაც არსებობს შიდა გადაადგილების ალტერნატივა, ანალიზის მეორე ეტაპი ეხება მის

მიზანშეწონილობას. ამ დროს უნდა განისაზღვროს, კონკრეტულ პირს შეუძლია თუ არა ამ ადგილას დაფუძნება და ახალი ცხოვრების აწყობა განსაკუთრებული სირთულის გარეშე. ეს საჭიროებს ხანგრძლივ განსჯას. ამ დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნას გადაადგილების მიზეზები და, შესაბამისად, ისიც, შემოთავაზებული ადგილი რამდენად უზრუნველყოფს ალტერნატივას მომავალში.

პრაქტიკაში შიდა გადაადგილების ალტერნატივის შეფასების საჭიროება ძალიან იშვიათად დგება. ამ საკითხის თაობაზე ინსტრუქცია შეიძლება მოიპოვოთ გლუკ-ის *საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელოში*: „შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივა“ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის მიხედვით, 2003 წლის 23 ივლისი გამოშვება (HCR/GIP/03/04).

ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრება - დადგენის კრიტერიუმები

1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის დადგენის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუ დასტურდება შემდეგი კრიტერიუმების არსებობა:

- ა. განმცხადებელი იმყოფება თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის გარეთ;
- ბ. აქვს საფუძვლიანი შიში; ეს არის უკან დაბრუნების სუბიექტური შიში, რასაც გააჩნია ობიექტური საფუძვლები და არის რეალური შესაძლებლობა, რომ განმცხადებელს მიაღებება გარკვეული სახის ზიანი წარმოშობის ან საცხოვრებელ ქვეყანაში და ამის გამო არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის დაცვით.
- გ. ზიანის საშიშროება გულისხმობს დევნას, ანუ ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს ან სხვა სახის სერიოზულ ზიანს.
- დ. განმცხადებელს გააჩნია დევნის შიში 1951 წლის კონვენციის საფუძვლების გამო (რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, პოლიტიკური შეხედულება).

2.3 განსაკუთრებული საკითხები

2.3.1 გენდერული დევნა

ტრადიციულად, 1951 წლის კონვენციის ინტერპრეტაცია მამრობითი სქესის პირებთან მიმართებით ხდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ ზიანი, რომელიც მოხდა „კერძო სფეროში“, მაგალითად, ოჯახურ ძალადობას, გაუპატიურებას ან მდედრობითი გენიტალიების დამახინჯებას, ყოველთვის არ აღიარებდნენ დევნად ან არ უკავშირდებდნენ 1951 წლის კონვენციის საფუძვლებს. შედეგად, ქალების მიერ განსხვავებული პოლიტიკური ან რელიგიური აზრის გამოსატყაობა, მაგალითად, საქციელით და არა უშუალო დაპირისპირების გზით, მათთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის მნიშვნელოვნად არ იყო მიჩნეული. მიუხედავად ამისა, 1980-იანი წლების შუა ხანებიდან გახშირდა შემთხვევები, როდესაც განმცხადებლის სქესი ლტოლვილის სტატუსის შესახებ მის განაცხადზე გავლენას ახდენდა.

„სქესს“ ბიოლოგია განმარტავს, როგორც მამრობითს ან მდედრობითს, „გენდერი“ კი ეხება სოციალურ და კულტურულ იდენტურობას, სტატუსს, როლს და პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრებათ პირებს მათი სქესის საფუძველზე და იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება ურთიერთობის ფორმირება კაცებსა და ქალებს შორის. განმცხადებლის გენდერი შეიძლება ეხებოდეს:

- დევნის ფორმას (მაგალითად, სექსუალური ძალადობა და კაცის ან ქალის გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ქალის გენიტალიების დამახინჯება, სექსუალური ექსპლოატაციის ან იძულებითი პროსტიტუციის მიზნით ტრეფიკინგი, გამოსასყიდი და ქორწინებასთან დაკავშირებული სხვა ზარალი, დისკრიმინაციული კანონმდებლობა ან პრაქტიკა); და/ან
- მიზეზებს, რომელთა გამოც ხორციელდება დევნა (მაგალითად, ჰომოსექსუალის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებული იყოს ძალადობა ან სასტიკი მოპყრობა; დისკრიმინაცია მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, ან ქალი შეიძლება დაუცველი იყოს ოჯახის ან საზოგადოების მხრიდან დასჯისაგან მდედრობითი სქესის წარმომადგენლისთვის დაწესებული ქცევის კოდექსის დაუმორჩილებლობის გამო).

ქალის მიერ განცდილი დევნის ყველა შემთხვევა არ უკავშირდება გენდერს. მრავალ საქმეში ქალმა შეიძლება

განიცადოს ისეთივე დევნა და იმავე მიზეზით, როგორც მამაკაცმა. ამასთან, გენდერული დევნა მხოლოდ ქალების წინააღმდეგ არ ხორციელდება: გენდერული დევნის თაობაზე განაცხადი შეიძლება შეიტანოს როგორც კაცმა, ისე – ქალმა. ამ საკითხის დეტალურ არსებით ანალიზს და პროცედურებს წარმოადგენს გლუკ-ის *სახელმძღვანელო საერთაშორისო დაცვის შესახებ: გენდერული დევნა ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და 1967 წლის ოქმის მიხედვით*, 2002 წლის 7 მაისის გამოშვება (HCR/GIP/02/01).

2.3.2 განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მიღების თაობაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების გამო

ზოგადად მიღებულია, რომ სახელმწიფოებმა შეიძლება მოსთხოვონ თავიანთ მოქალაქეებს, გაიარონ ვადიანი სამხედრო სამსახური. ეს არის ალიარებული გამონაკლისი იძულებითი შრომის აკრძალვიდან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-8 მუხლისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების მიხედვით. ამგვარად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის იძულებით შესრულების ან ამ უკანასკნელის არგავლის გამო სისხლის სამართლებრივი დევნის ან სასჯელის შიში, როგორც ასეთი, დამოუკიდებლად არ წარმოშობს დევნის საფუძვლიან შიშს ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განმარტების მიხედვით. თუმცა ასეთმა შიშმა შეიძლება მოგვცეს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის საფუძველი ისეთ ვითარებაში, როდესაც განმცხადებლის მიმართ დამოკიდებულება დევნის ტოლფასია და არსებობს კავშირი 1951 წლის კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველთან. სამხედრო სამსახურზე უარმა შეიძლება მიიღოს შემდეგი სახე:

- **თავის არიდება:** განმცხადებელი გაიქცა ან საზღვარგარეთ დარჩა, რომ თავიდან აეცილებინა სამხედრო სამსახურში გაწვევა, ან უკვე მიიღო გაწვევა და შესრულებას აარიდა თავი;
- **დეზერტირება:** განმცხადებელი უკვე იყო სამხედრო სამსახურში და გაიქცა ან უნებართვოდ დატოვა ნაწილი.

როდესაც ვადგენთ ზემოთ აღწერილ ვითარებაში დევნის

საფუძვლიანი შიში გააჩნდა თუ არა განმცხადებელს, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა განსაზღვროს მისი იძულებით უკან დაბრუნების სავარაუდო შედეგები. ეს მოითხოვს განმცხადებლის ისტორიისა და მონაცემების სრულად გაანალიზებას და წარმოშობის ქვეყანაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესწავლას, მათ შორის ალტერნატიული სამსახურის არსებობისაც (იხ.: ქვემოთ 2.3.2.2).

2.3.2.1 სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებული დევნა

ვითარებები, როდესაც სამხედრო სამსახურის ვალდებულება ან სასჯელი მისი გაუვლელობისთვის შეიძლება უტოლდებოდეს დევნას:

- **სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება უტოლდება დევნას, როდესაც სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ კანონის გამოყენება კონკრეტული განმცხადებლის მიმართ არის შეუწყნარებელი მისი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ან როდესაც ერთადერთი გზა ამ სიტუაციიდან თავის დაღწევისა არის წარმოშობის ქვეყნიდან გაქცევა. ასეთ შემთხვევებს ხშირად ვხვდებით კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლების შელახვის დროს (უფრო დეტალურად განხილულია ქვევით 2.3.2.2), თუმცა დევნა შეიძლება მოჰყვეს სხვა გარემოებებს და იმას, თუ როგორ აისახება კონკრეტულ პირზე სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება (მაგალითად, სამსახურის ხანგრძლივობა, სამედიცინო მიზეზები), ან სამხედრო სავალდებულო სამსახურის დისკრიმინაციის მიზნით გამოყენება (მაგალითად, კონკრეტული ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური ჯგუფების მიმართ); თუ კონკრეტულ პირზე ზემოქმედება სავსებით სერიოზულია, მაგალითად, თუ ამის გამო მას მკაცრად შეეზღუდება გადარჩენის ძირითადი საშუალებების ხელმისაწვდომობა ან აღმოჩნდება გაუსაძლის მდგომარეობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო სამსახურის გავლის მოთხოვნა უტოლდება დევნას, როდესაც გაწვევა თავისთავად შეიძლება იყოს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, როგორც არის, მაგალითად, 15 წლამდე ასაკის ბავშვების გაწვევა.**

- **სამხედრო სამსახურის პირობებით** გამოწვეული მდგომარეობა განიხილება ადამიანის უფლებათა სტანდარტების სერიოზულ დარღვევად, რაც უტოლდება დევნას (მაგალითად, პირობები რომლებიც უტოლდება დამამცირებელ და სასტიკ მოპყრობას; გადაჭარბებული ხანგრძლივობის ან გაურკვეველი სამსახური; ან პირობები, რომლებიც ხელს უშლის რელიგიურ მსახურებას და ამიტომ კონკრეტულ პირს აგდებს გაუსაძლის მდგომარეობაში).
- **სასჯელი სამხედრო სამსახურის მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის** უტოლდება დევნას იმიტომ, რომ სამხედრო სამსახურის ვალდებულება თვითონ არის დევნა; ან იმიტომ, რომ შეფარდებული სასჯელი არის გადაჭარბებული ან შეუფერებლად მკაცრი გაწვევის სხვა თავის ამრიდებლებსა თუ დეზერტირებთან შედარებით და იწვევს ისეთ სერიოზულ ზიანს, რომელიც შეიძლება უტოლდებოდეს დევნას.

როდესაც სამხედრო სამსახურის ვალდებულება ან სასჯელი მისი შეუსრულებლობისთვის უტოლდება დევნას, ეს წარმოშობს ლტოლვილის სტატუსის განაცხადისთვის მიზეზს, თუ არსებობს კავშირი 1951 წლის კონვენციის საფუძვლებთან.

2.3.2.2 პირები, რომლებიც უარს ამბობენ სამხედრო სამსახურის გავლაზე იდეოლოგიური მოსაზრებების გამო

განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, პირმა, რომელიც უარს ამბობს სამხედრო სამსახურის გავლაზე იდეოლოგიური მოსაზრებების გამო, შეიძლება ლტოლვილის სტატუსზე საფუძვლიანი განაცხადი წარმოადგინოს. იდეოლოგიური მიზეზით უარი სამხედრო სამსახურის გავლაზე ხშირად ეფუძნება რწმენას ან პოლიტიკური მოტივს პაციფიზმის ან განმცხადებლის წარმოშობის ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ წარმოებული საომარი კონფლიქტის განსაკუთრებული ხასიათის გამო. როდესაც პირის განცხადება ეფუძნება სამხედრო სამსახურის გავლაზე იდეოლოგიური მოსაზრებების გამო უარს, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა შეაფასონ:

- განმცხადებლის რელიგიური, მორალური ან პოლიტიკური რწმენა არის თუ არა ნამდვილი და ადეკვატურად ძლიერი (ეს საჭიროებს განმცხადებლის პირადი, სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური მონაცემებისა და წარმოშობის სრულ გამოკვლევას);
- სამხედრო სამსახური ითხოვდა თუ არა განმცხადებლის ჩართულობას მისი რწმენისდა მიუხედავად; და
- არის თუ არა ალტერნატიული სამსახურის შესაძლებლობა, როგორცაა სოციალური სამსახური, რომელიც შეესაბამება განმცხადებლის რწმენას და რომელიც არ არის უზომოდ ხანგრძლივი და დამსჯელი ხასიათის (ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში პირს ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება).

როგორც ყველა საქმეში, ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭიროა არსებობდეს კავშირი დევნის შიშსა და კონვენციის საფუძვლებს შორის. უმეტეს საქმეებში, რომლებშიც ფიგურირებს დევნის საფუძვლიანი შიში იდეოლოგიური მოსაზრებების, პოლიტიკური შეხედულების და/ან რელიგიის გამო, სამხედრო სამსახურის გავლაზე უარი ზოგადად შეიძლება იყოს კონვენციის შესაბამისი საფუძველი. ამ საკითხთან დაკავშირებით შემდგომი განმარტებები იხილეთ: გლუკის *სახელმძღვანელოში*, §§ 167-171 და გლუკის *რეკომენდაციებში რელიგიური საფუძვლის მქონე ლტოლვილთა განცხადებების შესახებ*, 2004 წლის 28 აპრილის გამოშვება.

2.3.3 ადგილზე (*sur place*) ლტოლვილები

როგორც ზემოთ (2.2.1) აღინიშნა, დევნის საფუძვლიანი შიში შეიძლება წარმოიშვას მას **შემდეგ**, რაც განმცხადებელმა დატოვა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანა, წარმოშობის ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ან მასპინძელ ქვეყანაში განმცხადებლის საქმიანობის შედეგად (იხილეთ გლუკის სახელმძღვანელო, § 83, §§ 94-96). ასეთ სიტუაციებში ლტოლვილის სტატუსის მისაღებად გაკეთებული განაცხადები იწოდება, როგორც ადგილზე “*sur place*” განცხადებები. ისინი შეიძლება ეფუძნებოდეს:

- ვითარებას, რომელთანაც განმცხადებელს არ აქვს

უშუალო შეხება; მაგალითად, გადატრიალება, მთავრობის შეცვლა, სამთავრობო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილება, აჯანყება ან შეიარაღებული შეტაკების ესკალაცია, ან თავშესაფრის მაძიებლების შესახებ წარმოშობის ქვეყნის თანამდებობის პირების ინფორმირებულობა; ან

- განმცხადებლის ქმედება გამგზავრების შემდეგ, მაგალითად:
 - პოლიტიკური აქტივობა, როგორც არის წარმოშობის ქვეყნის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციებში მონაწილეობა, ღია ჩართულობა სხვა ანტისამთავრობო ღონისძიებებში (მაგალითად, დევნილ ოპოზიციურ ჯგუფებში გაწევრიანება, საჯარო გამოსვლები, სტატიების წერა და გამოქვეყნება, ან ლტოლვილებთან ან წარმოშობის ქვეყნის მთავრობის სხვა ცნობილ ოპონენტებთან მჭიდროდ დაკავშირება); ან
 - წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან დაუშვებელი რელიგიის მიღება; ან
 - საზღვარგარეთ უნებართვო ყოფნა, როდესაც ეს ისჯება მკაცრი სანქციებით.

პრინციპში, “*sur place*” განაცხადის შესწავლა უნდა მოხდეს იმავე საფუძვლით, როგორც ლტოლვილის სტატუსისა. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გააანალიზოს, არის თუ არა დაკმაყოფილებული 1A(2) მუხლით გათვალისწინებული განსაზღვრების თითოეული ელემენტი. თუ განმცხადებელი ამტკიცებს, რომ დევნის ეშინია თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ან რელიგიური რწმენის გამო, უნდა გაირკვეს:

- განმცხადებლის წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებისთვის მისი შეხედულებები და ქმედებები ცნობილი თუ გახდა ან მალე თუ გახდება; და
- თუ არსებობს ალბათობა, რომ დაბრუნების შემთხვევაში განმცხადებლის მიმართ განხორციელდება დევნა 1951 წლის კონვენციის საფუძვლის გამო.

თუ ეს გარემოებები დადასტურდება, განმცხადებელი უფლებამოსილია მიიღოს ლტოლვილის სტატუსი. ეს ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც განმცხადებელი ღიად არ გამოხატავს პოლიტიკურ შეხედულებებს ან რწმენას, მაგრამ მათი გამოხატვის

უბრალო ფაქტიც კი წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების მიერ შეიძლება განხილული იქნას როგორც მტრული ქმედება და გახდეს დევნის საფუძველი. 1951 წლის კონვენციაში არ არის „პატიოსანი განზრახვის“ მოთხოვნა, თუმცა გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გამოიძიოს 1A(2) მუხლით გათვალისწინებული განსაზღვრების თითოეული ელემენტის არსებობა საქმეებში, რომლებშიც მასპინძელ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებში განმცხადებელი წინასწარი განზრახვით იღებდა მონაწილეობას, რათა უკან დაბრუნების შემთხვევაში შექმნოდა დევნის საფრთხე, რაც გახდებოდა მისი ლტოლვილის განსაზღვრებაში მოქცევის საფუძველი. თუ თავშესაფრის განაცხადის გასამყარებლად ჩადენილი ავანტურისტული ხასიათის საქმიანობა შეიტყო წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებამ, განმცხადებლის ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს მცირედი ყურადღება და არ გახდეს დევნის საფუძველიანი შიშის საბაბი, თუმცა თუ ასე მოხდა და ამან გამოიწვია დევნა, კონკრეტულმა პირმა შეიძლება მიიღოს ლტოლვილის სტატუსი, თუ არსებობს განსაზღვრების სხვა ელემენტებიც.

2.3.4 შეიარაღებულ კონფლიქტს გამოქცეული პირები

1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრება ვრცელდება როგორც მშვიდობიან, ისე საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათის საომარი მოქმედებების პერიოდზე. მიუხედავად იმისა, რომ 1951 კონვენცია პირდაპირ არ გულისხმობს მათ, ვინც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანა საომარი კონფლიქტის გამო, ასეთი პირები შეიძლება უფლებამოსილნი გახდნენ მიიღონ ლტოლვილის სტატუსი, თუ გააჩნიათ დევნის საფუძველიანი შიში კონვენციის ერთი ან მეტი საფუძველის გამო. საერთოდ კი 1951 წლის კონვენცია მეორე მსოფლიო ომის შედეგად მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავდა.

ამის გარდა, მრავალი მათგანი, ვინც დღეს გაურბის საომარ კონფლიქტებს, ნამდვილად ექცევა 1951 წლის კონვენციისეულ ლტოლვილის განსაზღვრებაში, რადგან ეს კონფლიქტები წარმოშობილია ეთნიკური, რელიგიური ან პოლიტიკური განსხვავებების ნიადაგზე და

მიმართულია კონკრეტული ჯგუფების მიმართ. მაგალითად, საომარი კამპანია მიზნად ისახავს კონკრეტული ჯგუფის წევრების განადგურებას ან გაძევებას ტერიტორიიდან, რომლის კონტროლიც სურს სხვა ჯგუფს. ისინი, ვინც ამ გარემოებების გამო გაიქცა, სერიოზული რისკის ქვეშ არიან თავიანთი ეთნიკური წარმოშობის ან რელიგიის გამო. არ არის სავალდებულო, განმცხადებელი რაიმე თვალსაზრისით გამოირჩეოდეს ან პირადად იყოს სამიზნე, ისევე როგორც არ ითხოვენ, რომ მან პირადად განიცადოს სხვებისგან განსხვავებული რისკი ან ზემოქმედება. ასევე, არაარსებითია, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჯგუფი დიდია თუ მცირე – მთელ საზოგადოებას შეიძლება ემუქრებოდეს დევნის რისკი და ზარალი კონვენციის მიზეზებით და ფაქტი, რომ საზოგადოების ყველა წევრი თანაბრად არის დაზარალებული, არაფრით ზღუდავს კონკრეტული პირის განაცხადის ლეგიტიმურობას.

შემდეგი სიტუაცია, რომელმაც შეიძლება საფუძველი დაუდოს 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის უფლებაუნარიანობას, მოიცავს საქმეებს, რომლებშიც დევნა დაკავშირებულია შეიარაღებულ კონფლიქტთან (მაგალითად, ბავშვების იძულებითი გაწვევა) და იმათაც, რომლებშიც დევნა მიმდინარეობდა შეიარაღებული კონფლიქტისგან დამოუკიდებლად. მაგალითად, პირი შეიძლება იძულებული გახდეს გაექცეს დევნას იმ მიზეზების გამო, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო კონფლიქტთან (მაგალითად, ქალი, რომელსაც ემუქრება იძულებითი ქორწინება ან გენიტალიების დამახინჯება).

ამისგან განსხვავებით, ქალები, მამაკაცები, გოგონები და ვაჟები, რომლებიც საომარ კონფლიქტს კონვენციის თანახმად აღიარებული დევნის რომელიმე ელემენტის გარეშე გამოექცნენ, არ არიან ლტოლვილები 1951 წლის კონვენციის მიხედვით, თუმცა მათ შეიძლება მიიღონ ლტოლვილის სტატუსი ლტოლვილის შესაბამისი რეგიონული დოკუმენტის და გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის გაფართოებული განსაზღვრების (იხილეთ ზემოთ 1.2.2 და 1.2.4) და/ან მასპინძელი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

ერთ ქვეყანაში წარმოებული საომარი კონფლიქტი ხშირად იწვევს ადამიანების ფართომასშტაბიან გადაადგილებას მეზობელ ან სხვა ქვეყნებში.

მასპინძელმა ქვეყანამ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ლტოლვილებში შერეული არიან მებრძოლები. როგორც ზემოთ (1.5.2 პუნქტი) განიმარტა, მასობრივი შემოსვლის დროს ლტოლვილის სტატუსის აღიარება ჯგუფის ყველა წევრისთვის ხშირად ხდება „prima facie” პრინციპით იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ ისინი აკმაყოფილებენ ლტოლვილის განსაზღვრების დამდგენ შესაბამის კრიტერიუმებს. ლტოლვილის სტატუსისთვის სავარაუდო „prima facie” პრინციპის დაშვება არ ითვალისწინებს მებრძოლებს.

- აქტიური მებრძოლები ვერ იქნებიან ლტოლვილები, რადგან მათი საქმიანობა შეუსაბამოა ლტოლვილის სტატუსთან.
- ყოფილი მეომრები, რომლებმაც თავშესაფრის შესახებ განაცხადი წარმოადგინეს, შეიძლება დაიშვან ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურებზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ მათ ნამდვილად და საბოლოოდ თქვეს უარი სამხედრო ცხოვრებაზე და განიხილებიან როგორც სამოქალაქო პირები. მათი განაცხადების შესწავლა უნდა მოხდეს ლტოლვილის სტატუსის დადგენის ინდივიდუალური პროცედურით. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირის საბრძოლო წარსული არ არის ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის საფუძველი, თუმცა აუცილებელი იქნება საომარი კონფლიქტის დროს მის მიერ ჩადენილი ქმედებების დეტალური გამოკვლევა 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის კრიტერიუმებთან მიმართებით (ასევე იხილეთ გამორიცხვის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ 3.4 თავში).

გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა იცოდნენ, რომ განმცხადებლის წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში არსებული საომარი კონფლიქტის სიტუაციაში შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივა მიუღებელი იქნება. ამ საკითხთან დაკავშირებული გლჟკ-ის რეკომენდაციები ნათლად განმარტავს, რომ განმცხადებლის დაბრუნების შესაძლებლობა მისი წარმოშობის ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში განხილული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირი შეიძლება დაბრუნდეს უსაფრთხო და დაცულ სიტუაციაში, სადაც ის არ დაზარალებულია ან არ იქნება შიშის ქვეშ. ეს გარემოება უნდა იყოს მყარი და არა

მოხვედებით ან პროგნოზირებადი. უმეტეს შემთხვევებში, ქვეყნები, რომლებშიც საომარი კონფლიქტები მიმდინარეობს, ვერ იქნება უსაფრთხო შიდა გადაადგილებისათვის, განსაკუთრებით მოძრავი ფრონტების შემთხვევაში, რამაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას რეგიონს, რომელიც მანამდე უსაფრთხოდ ითვლებოდა (იხ.: ზემოთ 2.2.5.2).

ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრების დადგენის კრიტერიუმები

- ეს ეხება ელემენტებს, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრად პოზიტიურ საფუძველს ქმნიან და რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს პირმა, რათა იგი ლტოლვილად იქნას აღიარებული. ისინი 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში არის მოცემული.
- 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული დადგენის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ არსებობს შემდეგი კრიტერიუმები:
 - განმცხადებელი იმყოფება თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის გარეთ;
 - გააჩნია საფუძვლიანი შიში, ანუ უკან დაბრუნების სუბიექტური შიში, რასაც აქვს ობიექტური საფუძველი და ამიტომ დიდია ალბათობა, რომ განმცხადებელი შეიძლება დაშავდეს წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში და ამის გამო არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცვით;
 - ზიანის შიში უტოლდება დევნას; იგულისხმება ადამიანის უფლებათა მნიშვნელოვანი დარღვევები ან სხვა სახის სერიოზული ზიანი; და
 - განმცხადებელი იდევნება 1951 წლის კონვენციაში მოცემული ერთი ან მეტი საფუძვლის გამო (რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, პოლიტიკური შეხედულება).
- როდესაც დევნა მომდინარეობს ინდივიდისგან ან არასახელისუფლებო ერთეულისგან (ე.წ. „არასახელმწიფო აგენტები“), განმცხადებლის დევნის შიში იქნება საფუძვლიანი, თუ ხელისუფლებას არ სურს ან არ შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური დაცვა.

გენდერული დევნა

- განმცხადებლის გენდერმა (ე.ი. სოციალური ან კულტურული იდენტობა, სტატუსი, ბიოლოგიური სქესის საფუძველზე განსაზღვრული როლი და პასუხისმგებლობა) შეიძლება განაპირობოს:
 - დევნის ფორმა; და/ან
 - დევნის მიზეზები.

სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული დევნა

- სავალდებულო სამხედრო სამსახურის იძულებითი გავლის ან გაუგებლობის გამო სისხლის სამართლებრივი დევნის ან დასჯის შიში გარკვეულ გარემოებათა არსებობისას იძლევა ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის მიზეზს, თუ არსებობს კავშირი 1951 წლის კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველთან. ეს შეიძლება

მოიცავდეს სიტუაციებს, როდესაც:

- სამხედრო სამსახურის გაგლის ვალდებულება უტოლდება დევნას, რადგან ის კონკრეტულ განმცხადებელს გაუსაძლის სიტუაციაში აგდებს;
- სამხედრო სამსახური ქმნის იმგვარ დამოკიდებულებას, რომელიც განაპირობებს დევნას;
- სამხედრო სამსახურის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის გამო დასჯა უტოლდება დევნას.

ადგილზე (sur place) ლტოლვილები

- პირი ლტოლვილი შეიძლება გახდეს მას შემდეგ, რაც მან დატოვა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანა (ადგილზე ლტოლვილები), თუ დევნის საფუძვლიანი შიში 1951 წლის კონვენციის ერთ ან მეტ საფუძველს უკავშირდება:
 - წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და/ან
 - კონკრეტული პირის გამგზავრების შემდგომ ქმედებებს, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისმა მოსაზრებებმა და/ან საქციელმა დაბრუნების შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს მისი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან საპასუხო დევნა.

საომარ კონფლიქტს გამოქცეული პირები

- საომარ კონფლიქტს გამოქცეული პირები შეიძლება მოექცნენ ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეულ განსაზღვრებაში, თუ მათ გააჩნიათ დევნის საფუძვლიანი შიში კონვენციის ერთი ან მეტი საფუძვლის გამო. მაგალითად, ეთნიკური წარმომავლობის ან რელიგიის მიზეზით.
- პირები, რომლებიც საომარ კონფლიქტს გამოექცნენ კონვენციის საფუძვლებთან დაკავშირებული დევნის ელემენტების გარეშე, 1951 წლის კონვენციის მიხედვით არ არიან ლტოლვილები, მაგრამ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს შესაბამისი რეგიონული დოკუმენტების და/ან მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობისა და გლუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატისეული ლტოლვილის გაფართოებული განსაზღვრების საფუძველზე.
- მოქმედი მებრძოლები ვერ იქნებიან ლტოლვილები, რადგან მათი ქმედება ლტოლვილის სტატუსთან შეუსაბამოა. ყოფილი მებრძოლები შეიძლება დაიშვან სტატუსის დადგენის პროცედურებზე მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ მათ ნამდვილად და საბოლოოდ თქვეს უარი სამხედრო საქმიანობაზე.

ძირითადი საკითხავი

გლუკ-ის *სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურებსა და კრიტერიუმების შესახებ* (1979 წლის განახლებული გამოშვება 1992 წ.).

გლუკ-ის *საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო: ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის შესაბამისი ლტოლვილის განცხადება რელიგიური საფუძვლით*, 2004 წლის 28 აპრილის გამოშვება (HCR/GIP/04/06).

გლუკ-ის *საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო: „შიდა გადაადგილების ან გადასახლების ალტერნატივა“ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის მიხედვით*, 2003 წლის 23 ივლისი გამოშვება (HCR/GIP/03/04).

გლუკ-ის *საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო: „გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება“ ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის შესაბამისად*, 2002 წლის 7 მაისის გამოშვება (HCR/GIP/02/02).

გლუკ-ის *სახელმძღვანელო საერთაშორისო დაცვის შესახებ: გენდერული დევნა ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და 1967 წლის ოქმის მიხედვით*, 2002 წლის 7 მაისის გამოშვება (HCR/GIP/02/01).

გლუკ-ი, *ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის პირველი მუხლის განმარტება*, 2001წ. აპრილი.

გლუკ-ი, *განმარტებითი ბარათი ლტოლვილის განაცხადში მტკიცების მოვალეობის და სტანდარტების შესახებ*, 1998 წ. 16 დეკემბერი.

გლუკ-ი, *მოსაზრება დევნის აგენტების შესახებ*, 1995 წ. 14 მარტი.

ადმასრულებელი კომიტეტის დასკვნა № 94 (LIII) – 2002 თავშესაფრის სამოქალაქო და ჰუმანიტარული ხასიათის შესახებ.

თავი 2 – სავარჯიშოები

ეს საკითხები აქტუალურია როგორც თავშესაფრის მაძიებელთათვის ისე ლტოლვილის სტატუსის განმსაზღვრელთათვის და უფრო ნათელია, როდესაც ილუსტრირებულია პრაქტიკული მაგალითებით. პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც მოჰყვება ამ მიმოხილვას, მიზნად ისახავს გვიჩვენოს, თუ რა პრობლემებს და დილემებს შეიძლება შევეჯახოთ უფლებრივი კრიტერიუმების განსაზღვრის დროს. გაითვალისწინეთ: ნავარაუდებია, რომ არც ერთ სავარჯიშოში გამოორიცხვის საკითხი არ წამოიწევა (გამორიცხვის შესახებ ვისაუბრებთ მე-3 თავში).

მიმოხილვა:

1. ამ განცხადებებიდან რომელი არ არის სწორი?

- ა. უმეტეს შემთხვევებში თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტი საკმარისია, რომ განვსაზღვროთ სუბიექტური შიში.
- ბ. განმცხადებლის შიში საფუძვლიანია, თუ არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ განმცხადებელს მიაღებება გარკვეული ფორმის ზიანი ან შეექმნება პრობლემები, თუ დაბრუნდება თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში.
- გ. დევნამ შეიძლება მიიღოს ადამიანის უფლებათა დარღვევების და ასევე სხვა სახის სერიოზული ზიანისა და გაუსაძლისი მდგომარეობის ფორმა.
- დ. თუ დადგენილია, რომ პირს გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში, ეს ნიშნავს, რომ ის აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის დადგენის კრიტერიუმებს.

2. ამ განცხადებებიდან რომელია სწორი?

- ა. კონვენციისეული საფუძველი „რასა“ შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ უმცირესობის ჯგუფზე.
- ბ. კონვენციისეული საფუძველი „რელიგია“ არ შეიძლება გავრცელდეს პირზე, თუ მას ნამდვილად არ სჯერა იმ რელიგიისა, რომლის მიმდევრადაც ითვლება.
- გ. ქვეყანაში კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ყველა მამაკაცი შეიძლება იყოს კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრი.
- დ. თავისთავად გენდერული როლების შესახებ შეხედულების არსებობამ არ შეიძლება წარმოშვას პოლიტიკური შეხედულების გამო დევნის საფუძველი.

3. რომელია სწორი პასუხი შემდეგ შეკითხვაზე: სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლაზე უარი წარმოშობს თუ არა თავშესაფრის განაცხადის რეალურ საფუძველს?

- ა. დიახ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ეს ეფუძნება გულწრფელ შეხედულებას, რომ ომის ნებისმიერი ფორმა არის შეცდომა.
- ბ. დიახ, თუ სამხედრო სამსახურის შესრულების ვალდებულება ან დასჯა შეუსრულობისათვის უტოლდება დევნას, რომელიც დაკავშირებულია 1951 წლის კონვენციის საფუძველთან.
- გ. ყოველთვის.
- დ. არასოდეს.

4. გენდერული ასპექტი ეხება მხოლოდ ქალების მიერ შეტანილ განცხადებებს. ეს დებულება **სწორია თუ მცდარი?** გთხოვთ, დაასაბუთოთ.
5. ოჯახურმა ძალადობამ შეიძლება საფუძველი დაუდოს 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული ლტოლვილის სტატუსის შესახებ განაცხადს მხოლოდ მაშინ, თუ დამნაშავე არის სახელმწიფო სტრუქტურის თანამდებობის პირი (მაგალითად, პოლიციელი). ეს დებულება **სწორია თუ მცდარი?** გთხოვთ, დაასაბუთოთ.
6. თავშესაფრის მაძიებელმა მიმართა თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის საკონსულოს, რათა მიეღო საკუთარი ვაჟის დაბადების მოწმობა. თქვენი აზრით, შემდეგი დებულებებიდან, რომელი **არ არის სწორი**:
 - ა. როდესაც თავშესაფრის მაძიებელს და მისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის საკონსულოს შორის ურთიერთობა ეხება მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ დახმარებას, ეს არ უნდა იქნას გაგებულ იმგვარად, რომ განაცხადი დევნის საფუძველიანი შიშის შესახებ არის გაზვიადებული.
 - ბ. როდესაც თავშესაფრის მაძიებელს სისტემატური კონტაქტი აქვს თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის საკონსულოსთან, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მას არ გააჩნია დევნის საფუძველიანი შიში, მაგრამ აუცილებელია დადგინდეს კავშირის სახე და მიზანი.
 - გ. თუ წარმოშობის ქვეყანას არ შეუძლია განმცხადებლის დაცვა საგანგებო მდგომარეობის, სამოქალაქო ომის ან საზოგადოებრივი წესრიგის სხვა სერიოზული დარღვევების გამო, კავშირი თავშესაფრის მაძიებელსა და საზღვარგარეთის დიპლომატიურ კორპუსს შორის არ ეწინააღმდეგება ლტოლვილის სტატუსზე გაკეთებულ განაცხადს, თუ ლტოლვილის განსაზღვრების სხვა დანარჩენი ელემენტები დამაკმაყოფილებელია.
 - დ. საზღვარგარეთ მყოფი პირის მხრიდან წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის ხელისუფლებასთან ნებისმიერი სახის კავშირი ნიშნავს, რომ განმცხადებელს არ გააჩნია დევნის საფუძველიანი შიში.
7. როდესაც განვსაზღვრავთ, არსებობს თუ არა შიდა გადაადგილების ალტერნატივა, ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც უნდა იქნას განხილული, არის სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ ადგილზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ეს დებულება **სწორია თუ მცდარი?** გთხოვთ, დაასაბუთოთ.
8. შეიძლება განიხილებოდეს პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხი მაშინაც კი, თუ მან თავისი ქვეყანა არ დატოვა დევნასთან დაკავშირებული შიშის მიზეზით. ეს დებულება **სწორია თუ მცდარი?** გთხოვთ, დაასაბუთოთ.

9. ამ განცხადებებიდან რომელი არ არის სწორი?

- ა. პირები, რომლებიც საომარ კონფლიქტს გამოექცნენ კონვენციისეული საფუძვლების დევენი ელემენტების გარეშე, არ არიან ლტოლვილები 1951 წლის კონვენციის მიხედვით, თუმცა ისინი შეიძლება განიხილებოდნენ ლტოლვილის სტატუსზე ლტოლვილთა შესახებ რეგიონული დოკუმენტების და გლუკის მანდატის ლტოლვილის გაფართოებული განსაზღვრების ფარგლებში, და/ან მასპინძელი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.
- ბ. მასობრივი შემოსვლის სიტუაციაში საომარ კონფლიქტს გამოქცეულებს შეიძლება მეზობლები შეერიონ, მაგრამ მხოლოდ სამოქალაქო პირებმა შეიძლება მიიღონ ლტოლვილის სტატუსი „პრიმა ფაცეი“ საფუძველით.
- გ. თუ თავშესაფრის მაძიებელი აცხადებს, რომ ის იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა იქ მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის გამო, აუცილებელი არ არის მისი განაცხადის სიღრმისეული შესწავლა: ასეთი პირები არასოდეს განიხილებიან ლტოლვილის სტატუსზე 1951 წლის კონვენციის ფარგლებში.
- დ. როდესაც განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტი კვლავ მიმდინარეობს, შიდა გადაადგილების ალტერნატივის შესაძლებლობა, როგორც წესი, არ არის მნიშვნელოვანი.

<p>საქმე გ</p> <p>მონა (45 წლის), მედლა, წარმოშობით რივერლანდიდან არის. თავისი ქვეყანა სამი წლის წინ დატოვა საზღვარგარეთ უკეთესი სამუშაოს მოძიების მიზნით და წარმატებასაც მიაღწია. ბატავიაში მან კარგი სამსახური იპოვა.</p> <p>შარშან რივერლანდში საომარი კონფლიქტი დაიწყო. მეზობელი ქვეყნის სამხედრო ძალები რივერლანდში შეიჭრნენ და მას შემდეგ ბრძოლით ცდილობენ დაამკვიდრონ იმ ეთნიკურ ჯგუფზე კონტროლი, რომელსაც მონა ეკუთვნის. საომარი კონფლიქტის შედეგად რივერლანდის უსაფრთხოების ძალებმა, რომლებსაც სხვა ეთნიკური ჯგუფი აკონტროლებს, დაიწყეს მონას ეთნიკური ჯგუფის წევრების უეცარი დაკავება და დაპატიმრება. არსებობს მონაცემები, რომ ასეთ დაპატიმრებს წამება და სიკვდილიანობა მოჰყვა.</p> <p>მონას რივერლანდში ცხოვრების დროს არასოდეს შექმნია უსაფრთხოების თვალსაზრისით რაიმე პრობლემა, თუმცა მას სჯერა, რომ მისთვის უფრო უსაფრთხოა ბატავიაში თავშესაფრის მოპოვება და შესაბამის ადმინისტრაციულ სტრუქტურებს ლტოლვილად აღიარებისთვის მიმართა, სადაც განმარტა, რომ დაბრუნების ეშინია. ბატავია 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის მონაწილე არის, მაგრამ ლტოლვილთა შესახებ სხვა დანარჩენი რეგიონული დოკუმენტებისა – არა.</p>	
1. არის თუ არა მონა ლტოლვილი?	
რომელი დოკუმენტი შეიცავს ლტოლვილის შესაბამის განსაზღვრებას?	
ჩამოთვალეთ დადგენის საჭირო ელემენტები და განმარტეთ, დაკმაყოფილებულია თუ არა თითოეული მათგანი.	
ა	
ბ	
გ	
დ	
არის თუ არა მონა ლტოლვილი?	დიახ/არა
<p>2. ბატავიის თავშესაფრის ადმინისტრაციამ უარი განუცხადა მონას, რადგან ის არ აკმაყოფილებდა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებს მაშინ, როცა მან დატოვა რივერლანდი, ხოლო იქ ცხოვრების პერიოდში არასოდეს ჰქონია პრობლემები უსაფრთხოების თვალსაზრისით.</p> <p>თქვენ რომ მონას იურიდიული მრჩეველი ბრძანდებოდეთ, ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის რომელ არგუმენტებს გამოიყენებდით?</p>	

<p>საკმე დ</p> <p>ბაშირი (19 წლის) ობერონის მოქალაქეა. განეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს. 15 წლის წინ ობერონის მთავრობამ მისი ეთნიკური ჯგუფის წევრებს ჩამოართვა მოქალაქეობა და კუთვნილი მიწა. ხელისუფლებამ შეაჩერა უმცირესობის ჯგუფის წევრებისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, თუმცა ისინი აღიარეს „უცხოელებად“ ან „არარეგისტრირებულებად“ და ამ საფუძველით მათ ობერონში დარჩენის უფლება მიეცათ.</p> <p>ობერონი არ არის წარმატებული ქვეყანა და ბაშირის ეთნიკური ჯგუფის წევრები შეზღუდულნი არიან შრომის ბაზარზე. მათ არა აქვთ არც საჯარო განათლების მიღებისა და არც პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების შექმნის უფლება. ეთნიკური ჯგუფის ის წევრები, რომლებიც ხმამაღლა საუბრობდნენ და მოითხოვდნენ ჯგუფის წევრთა ადამიანის უფლებების პატივისცემას, დააპატიმრეს და სასტიკად მოექცნენ.</p> <p>ყველა ამ მიზეზის გამო ბაშირი თვლიდა, რომ მას ობერონში მომავალი არ გააჩნდა. მან გადაკვეთა მეზობელი ტიტანიის საზღვარი და შეიტანა განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. ტიტანიის თავმჯდომარის ხელისუფლებამ უარი თქვა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ „გარემოებები, რომლებზეც ბაშირმა თავისი განცხადება დააფუძნა, ანუ ის, რომ მას მომავალი არ ექნება ობერონში, არ არის გათვალისწინებული 1951 წლის კონვენციის მიერ და არ იძლევა საფუძველს ლტოლვილის სტატუსის მისანიჭებლად.“</p>	
<p>1. ეთანხმებით თუ არა ტიტანიის ხელისუფლების არგუმენტებს? გთხოვთ დააკონკრეტოთ.</p>	
<p>2. აკმაყოფილებს თუ არა ბაშირი ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრების დადგენის კრიტერიუმებს? ჩამოთვალეთ ლტოლვილის განსაზღვრების ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:</p>	
ა	
ბ	
გ	
დ	
არის თუ არა ბაშირი ლტოლვილი?	დიახ/არა

საკმე ე

სიღვია (23 წლის) ალფასტანის მოქალაქეა; ქვეყნის, რომლის ეკონომიკაც ორგანიზებულ დამნაშავეთა მიერ კონტროლდება. უკანასკნელ წლებში ადგილობრივი მაფიის ერთმა ნაწილმა დაიწყო ახალგაზრდა ქალების საზღვარგარეთ, კერძოდ, ბეტასტანში სექსუალური ექსპლოატაციის გაწევის მიზნით გაგზავნა. ქალების უმეტესობა ალფანსტანის პატარა ქალაქებიდან და სოფლებიდან არიან. მათ საზღვარგარეთ აგზავნიდნენ იმ დაპირებით, რომ უცხო ქვეყანაში კარგად ანაზღაურებადი სამსახური ელოდათ ფაბრიკებში და კონტრაქტებს აფორმებდნენ მაფიის მიერ დაფუძნებულ ადგილობრივ სამსახურებთან. ხელისუფლების ზოგიერთმა თანამდებობის პირმა სცადა ასეთი სამსახურების დახურვა და მათი საქმიანობის აღკვეთა, მაგრამ პოლიციასა და საჯარო ადმინისტრაციაში ფართოდ გავრცელებული კორუფციის გამო ვერაფერს გახდა.

ბეტასტანში ზოგიერთი ქალი მკვლელებს გაექცა. ისინი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააკავა და დააბრუნა ალფასტანში, სადაც დაუმორჩილებლობის გამო მაფიამ ისინი დახოცა. თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე მათი განაცხადები ბეტასტანში არ დააკმაყოფილეს, რადგან თავშესაფრის ადმინისტრაციის აზრით, ქალებმა ნებაყოფლობით მოაწერეს ხელი საზღვარგარეთ გამგზავრებაზე და ყველა შემთხვევაში ისინი დანაშაულის მსხვერპლნი არიან. მაფიის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ალფასტანის მედია არ ახმოვანებდა ამ მკვლელობებს, მაგრამ საზღვარგარეთ არსებულმა ადამიანის უფლებათა დამცველმა ცნობილმა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს რიგი ანგარიშებისა, რომლებშიც გამოხატეს შეშფოთება. ამ ანგარიშებში ასევე იყო საუბარი კორუფციის შედეგად ალფასტანში გამეფებული უკანონობის მაგალითებზე.

ამჟამად სიღვია დაპატიმრებულია, ელოდება ალფასტანში დეპორტაციას. მან გააკეთა თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე განაცხადი, რომელშიც ადასტურებს, რომ არ სურს უკან დაბრუნება, რადგან მაფია კვლავ აიძულებს დაუბრუნდეს პროსტიტუციას და პოლიცია ვერაფრით დაეხმარება.

ბეტასტანი 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყანაა. თქვენ ხართ თავშესაფრის ხელისუფლების წარმომადგენელი და სიღვიას საქმის განხილვა თქვენ დაგეგვალათ.

1. თქვენი აზრით, სიღვია იმსახურებს თუ არა ლტოლვილის სტატუსს?

რომელი დოკუმენტი მოიცავს ლტოლვილის შესაბამის განსაზღვრებას?	
---	--

ჩამოთვალეთ ლტოლვილის განსაზღვრების ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:

ა		
ბ		
გ		
დ		

არის თუ არა სიღვია ლტოლვილი?	დიახ/არა
------------------------------	----------

2. სიღვიამ გააფორმა ხელშეკრულება მის ქალაქში მაფიის მიერ დაარსებულ სამსახურთან. არის თუ არა ეს მნიშვნელოვანი მისთვის ლტოლვილის სტატუსის დაშვებისთვის? რატომ? ეთანხმებით თუ არა თქვენი კოლეგების მიერ ანალოგიურ საქმეებზე ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებს? გთხოვთ, განმარტოთ.

საკმე ვ

მილანი (37 წლის) ფერმერია ვერდანადან. ის არის რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი. მისი რელიგია ოფიციალურად არ იკრძალება, თუმცა მთავრობა, რომელიც მკაცრად აკონტროლებს ოპოზიციას, ხანდახან კრძალავს ცერემონიებს, რათა თავიდან აიცილოს პოლიტიკური უთანხმოების გამოხატვა. ამგვარი ვითარებაა ვერდანას დედაქალაქში. ხოლო, მილანის სოფელში მისი რელიგიური უმცირესობის წევრებს ყოველთვის შეეძლოთ რიტუალების უპრობლემოდ ჩატარება. მილანი რელიგიური თემის აქტიური წევრია, მაგრამ მას არ აინტერესებს პოლიტიკა.

რამდენიმე თვის წინ პოლიტიკური ოპოზიციის ჯგუფმა დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ეს დაჯგუფება არ არის დაკავშირებული არც ერთ რელიგიურ ჯგუფთან. მალე ამ დაჯგუფებამ დახმარება მიიღო მეზობელი ქვეყნის, ბენტანას, შეიარაღებული ძალებისგან და ინტენსიური ბრძოლა დაიწყო ვერდანას სხვადასხვა რეგიონში. მილანის სოფელს, რომელიც სტრატეგიული უღელტეხილის მახლობლად მდებარეობდა, ორივე მხრიდან ესხმოდნენ თავს. მილანმა თავის გადარჩენის მიზნით დატოვა სოფელი და გადაკვეთა ამარილოს, ასევე ვერდანას მეზობელი ქვეყნის, საზღვარი.

ჩასვლისთანავე მილანს გაესაუბრა ამარილოს თავშესაფრის ხელისუფლების კომისარი. ეს ქვეყანა 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის წევრია და მის ადგილობრივ კანონმდებლობაში აისახა 1984 წლის კართაგენის დეკლარაციის ლტოლვილის გაფართოებული განსაზღვრება. მილანმა განმარტა, რატომ დატოვა თავისი ქვეყანა.

1. თქვენი აზრით, მილანს ეკუთვნის თუ არა ლტოლვილის სტატუსი?

რომელ დოკუმენტშია მოცემული ლტოლვილის შესაბამისი განსაზღვრება?

ჩამოთვალეთ ლტოლვილის განსაზღვრების ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:

ა		
ბ		
გ		
დ		

არის თუ არა დაკმაყოფილებული 1951 წლის კონვენციის დადგენის კრიტერიუმები? დიახ/არა

არის თუ არა მილანი ლტოლვილი ამარილოში მოქმედი ლტოლვილის გაფართოებული განსაზღვრების მნიშვნელობით? დიახ/არა

საქმე ზ	
<p>ლექი (22 წლის) მარსიას მოქალაქეა. ქვეყნის, რომელშიც ერთპარტიული სისტემაა. რაკი ბავშვობაშივე დაობლდა, ლექი მიიღეს პედაგოგიურ ინსტიტუტში მიუხედავად იმისა, რომ არც ის და არც მისი ნამდვილი ოჯახი არ იყო მმართველი პარტიის წევრი. ლექს მოსწონდა ინსტიტუტში სიარული. საზოგადოდ, მარსიაში ცხოვრება ძალიან ძნელი იყო და ხალხი შიმშილისა და სხვადასხვა ავადმყოფობისგან იღუპებოდა.</p> <p>ინსტიტუტის დამთავრებამდე 6 თვით ადრე სტუდენტებს აცნობეს, თუ სად უნდა ემუშავათ მომავალში. ლექი გაანაწილეს ქვეყნის შორეულ რეგიონში. მას არ უნდოდა იქ წასვლა, რადგან იცოდა, რომ ქვეყნის იმ ნაწილში ეკონომიკური და ჯანდაცვის პირობები ძალიან არასტაბილური იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა წასულიყო მარსიიდან, რათა სადმე სხვაგან დაეწყო ნორმალური ცხოვრება. ლექმა არალეგალურად, დოკუმენტების გარეშე, გადაკვეთა მეზობელი ქვეყნის, სატურნიას, საზღვარი, სადაც თავშესაფარი მოითხოვა. ლექმა განაცხადა, რომ მას არ უნდა მარსიაში დაბრუნება, რადგან ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა არ მისცემს საშუალებას იპოვოს უკეთესი სამსახური და ირჩინოს თავი.</p> <p>მარსიას სისხლის სამართლის კოდექსი სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს იმ პირისთვის, ვინც ოფიციალური ნებართვის გარეშე დატოვებს ქვეყნის ტერიტორიას. უფრო მეტიც, ასეთ ადამიანებს ხელისუფლება განიხილავს როგორც პოლიტიკურ დამნაშავეებს. მათ, ვისაც გავლენიან პოლიტიკურ წრეებთან არაფერი აკავშირებდათ, სიკვდილით სჯიდნენ ლაღატისთვის, თუნდაც არასოდეს ყოფილიყვნენ პოლიტიკურად აქტიურები. ასეთი პრაქტიკა გაკრიტიკებულია ადამიანის უფლებათა რიგ ანგარიშებში და არაერთხელ გახდა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის გაკიცხვის საგანი.</p> <p>სატურნია 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყანაა. ადგილობრივ კანონმდებლობაში აისახა ლტოლვილის 1951 წლის კონვენციისეული განსაზღვრება. სატურნიაში ფუნქციონირებს გლუკ-ის ოფისი.</p>	
1. არის თუ არა ლექი ლტოლვილი?	
რომელ დოკუმენტშია მოცემული ლტოლვილის შესაბამისი განსაზღვრება?	
ჩამოთვალეთ დადგენის ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:	
ა	
ბ	
კ	
დ	
არის თუ არა ლექი ლტოლვილი?	დიახ/არა
2. შეუძლია თუ არა გლუკ-ს ამ საქმეში ჩარევა? გთხოვთ, დაასაბუთოთ.	

მეორე თავის სავარჯიშოების პასუხები

მიმოხილვა:

- 1 დ 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრება მოითხოვს, რომ მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს გააჩნდეს დევნის საფუძვლიანი შიში, რომელიც დაკავშირებულია პირველი A(2) მუხლის ერთ ან მეტ საფუძველთან. ეს არის: რასა, რელიგია, ეროვნება, განსაზღვრული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება ან პოლიტიკური შეხედულება.

- 2 გ სოციალური ჯგუფი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც გააჩნია საერთო მახასიათებელი, გარდა იმ რისკისა, რომ შეიძლება დაექვემდებარონ დევნას, რაც მათ განასხვავებს დანარჩენი საზოგადოებისგან ან ვინც საზოგადოების მიერ აღიქმება როგორც ჯგუფი. ერთი ასეთი მახასიათებელი, რაც თანდაყოლილია არის სქესი (მდედრობითი ან მამრობითი). გარდა საერთო მახასიათებლისა, მაგალითად მამრობითი სქესი, დამატებით შეიძლება გამოიყოს ქვეჯგუფები ან პირები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო შეუცვლელი ფაქტი, მაგალითად არიან ერთი ასაკის, სადაც 18-დან 45 წლამდე. „მამაკაცები ამ ასაკობრივი ჯგუფის ფარგლებში“ ხელისუფლების ან საზოგადოების მიერ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც განსაზღვრული სოციალური ჯგუფი, რომელიც არსებობს იმისდა მიუხედავად განიცდიან თუ არა ისინი დევნას.

- 3 ბ სამხედრო სავალდებულო სამსახურის იძულებითი გავლის ან მისთვის თავის არიდების ემთხვევაში დევნის ან დასჯის ალბათობა თავისთავად არ აღძრავს დევნის საფუძვლიან შიშს. თუმცა, ეს შეიძლება რეალური იყოს, თუ უკავშირდება 1951 წლის კონვენციის საფუძვლებს, როცა სამხედრო სამსახურის გავლის ვალდებულება თავისთავად უტოლდება დევნას; თუკი სამხედრო სამსახურის პირობები ითვალისწინებს დისკრიმინაციულ მოპყრობას ან სხვაგვარად არღვევს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, ან როდესაც კონკრეტული პირი დაისჯება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუვლელობის გამო, რაც თავისთავად არის დევნა, ან როდესაც სასჯელი არის გადაჭარბებული, არაპროპორციული ან სხვაგვარად არ შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

- 4 მცდარია გენდერი განეკუთვნება სოციალურ ან კულტურულ იდენტურობას, სტატუსს, როლს და პასუხისმგებლობას, რაც ადამიანებს მათი სქესის – მამრობითი თუ მდედრობითი - გამო ეკუთვნით. ამგვარად, პირის სქესი ასევე შეიძლება იყოს მიზეზი დევნის ან დევნის იმ ფორმის, რაც მან შეიძლება განიცადოს.

- 5 მცდარია** კერძო სფეროში ჩადენილი ძალადობის აქტი შეიძლება გახდეს საფუძველი ლტოლვილის სტატუსის განაცხადისთვის 1951 წლის კონვენციის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებელია შემდეგი კრიტერიუმები: განმცხადებელს გააჩნია შიში ქმედებებისა, რომელიც იმდენად სერიოზულია, რომ შეიძლება გაუტოლდეს დევნას და ხელისუფლებას არ სურს ან არ შეუძლია აღკვეთოს ისინი; დევნის მიზეზი დაკავშირებულია 1951 წლის კონვენციის საფუძველბთან ან სახელმწიფოს მხრიდან დაცვის განხორციელების შეუძლებლობა დაკავშირებულია კონვენციისეულ მიზეზებთან.
- 6 დ** თუ თავშესაფრის მაძიებელს საზღვარაგარეთ მისი წარმოშობის ქვეყნის საკონსულოსთან ან დიპლომატიურ სამსახურებთან გააჩნია კავშირი, ეს შეიძლება აღქმული იყოს, როგორც დევნის საფუძველიანი შიშის არარსებობა, თუმცა ეს ყოველთვის არ არის ასე. მაგალითად, პასპორტის ან სხვა დოკუმენტის გაცემის მოთხოვნა შეიძლება ჩაითავლოს ადმინისტრაციულ დახმარებად და არა განმცხადებლის ნებად, საკონსულოს მეშვეობით მიიღოს წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების დაცვა.
- 7 მცდარია** არსებობს მთელი რიგი პირობებისა, რაც უნდა იყოს დაცული, რომ მოხდეს შიდა გადაადგილების ალტერნატივის გამოყენება. დასაწყისისთვის შიდა გადაადგილების ალტერნატივა გამოყენებადია მხოლოდ მაშინ, როდესაც დევნა მომდინარეობს არასახელმწიფო აგენტებისგან. ქვეყნებში, რომლებშიც პრაქტიკულად შეიძლება უსაფრთხო და კანონიერად მიღწევადი ადგილი არსებობდეს, ასევე უნდა განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა, რომ პირი იქ დამკვიდრდეს და მისდოს ნორმალურ ცხოვრებას. საკითხის თაობაზე დეტალურ რეკომენდაციებს შეიცავს გლუკ-ის სახელმძღვანელო „შიდა გადაადგილების ალტერნატივა“, გამოიცა 2003 წლის 23 ივლისს.
- 8 სწორია** 1951 წლის კონვენციის პირველი A(2) მუხლის ერთი ან მეტი საფუძველის გამო დევნის საფუძველიანი შიში შეიძლება წარმოიშვას, როდესაც პირი იმყოფება თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყნის გარეთ – პირი შეიძლება გახდეს „ადგილზე“ (*“sur place”*) ლტოლვილი. ეს შეიძლება მოხდეს იმ მოვლენების შედეგად, რომლებიც ქვეყანაში განვითარდა პირის გამგზავრების შემდეგ და მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ან საზღვარგარეთ მისი საქმიანობის შედეგად, თუ ეს ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა და არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ დაბრუნების შემთხვევაში მას ამისათვის პასუხს აგებინებენ.
- 9 ბ** ზოგიერთი ფიქრობს, რომ ომს ან სამოქალაქო კონფლიქტს გამოქცეული პირები არ შეიძლება იყვნენ ლტოლვილები 1951 წლის კონვენციის მიხედვით, რადგან ეს უკანასკნელი არ ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს. ეს უდავოდ მცდარი შეხედულებაა. ნებისმიერი პირი, რომელიც ექცევა 1951 წლის კონვენციის

ლტოლვილის განსაზღვრებაში, არის ლტოლვილი და არ აქვს მნიშვნელობა გამოექცა თუ არა იგი შეიარაღებულ კონფლიქტს. მათი დევნის შიში შესაძლებელია არ უკავშირდებოდეს შეიარაღებულ კონფლიქტს და როგორც თავშესაფრის ნებისმიერი განაცხადის დროს, აუცილებელია დადგინდეს, არის თუ ის საფუძვლიანი და უკავშირდება თუ არა კონვენციის საფუძვლებს. როდესაც ეს კრიტერიუმები არ არსებობს, პირი შეიძლება განიხილებოდეს ლტოლვილის სტატუსზე ამ უკანასკნელის ფართო განსაზღვრების ფარგლებში (მაგალითად, ლტოლვილთა რეგიონული და/ან ეროვნული კანონმდებლობის და გლჟუკ-ის საერთაშორისო დაცვის მანდატის საფუძველზე). ხშირად, პირები რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტს გამოექცნენ, თავშესაფრის ქვეყანაში დიდი რაოდენობით შედიან. ასეთ სიტუაციებში, თავშესაფრის ქვეყნისა და გლჟუკ-ისთვის მისაღებია მთლიანი ჯგუფის აღიარება ლტოლვილებად „პრიმა ფაციე“ პრინციპის საფუძველზე.

საქმე გ

1. არის თუ არა მონა ლტოლვილი?	
რომელი დოკუმენტი შეიცავს ლტოლვილის შესაბამის განსაზღვრებას?	1951 წ. კონვენცია, რადგან ბატავია მისი წევრია.
ჩამოთვალეთ დადგენის საჭირო ელემენტები და განმარტეთ თითოეული მათგანი დაკმაყოფილებელია თუ არა.	
ა	წარმოშობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ ყოფნა
ბ	საფუძვლიანი შიში
გ	დევნა
	დიახ. ეს ელემენტი არსებობს.
	მონამ ითხოვა თავშესაფარი. განცხადებაში მან განმარტა, რომ მას უკან დაბრუნების ეშინია. შესაბამისად, დასტურდება “შიშის” სუბიექტური ელემენტი. არსებობს ანგარიშები მონას ეთნიკური ჯგუფის წევრების დაკავების, დაპატიმრების, წამებისა და მკვლელობის შესახებ. ეს ადამიანები შემთხვევით იყვნენ არჩეულები უშიშროების ძალების მიერ, თუმცა ასეთი ინციდენტები გახშირდა და მიიღო მასობრივი ხასიათი. ორი ელემენტის გაერთიანებით ნათელი გახდება, რომ არსებობს საფუძვლიანი შესაძლებლობა, რომ რივერლანდში დაბრუნების შემთხვევაში მონას ასეთივე საფრთხე დაემუქრება უშიშროების ძალების მხრიდან. ამიტომაც მისი შიში საფუძვლიანია.
	დიახ. ეს ელემენტი არსებობს: უკანონო დაკავება, დაპატიმრება, წამება და მკვლელობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სერიოზული დარღვევებია. ისინი უტოლდება დევნას.

<p>დ</p>	<p>1951 წლის კონვენციის საფუძველი</p>	<p>დიახ. მონას საქმეში დევნის საშიშროება დაკავშირებულია მის ეთნიკურ წარმომავლობასთან; მონას და იმ ეთნიკურ ჯგუფს შორის, რომელიც ახლა მართავს ქვეყანას, რივერლანდის კონტროლისთვის შეიარაღებული კონფლიქტი. ამგვარად, შესაბამისი კონვენციისეული საფუძველებია: რასა, ეროვნება და პოლიტიკური შეხედულება.</p>
<p>არის თუ არა მონა ლტოლვილი?</p>	<p>დიახ. მონა აკმაყოფილებს ლტოლვილის განსაზღვრების დადგენის კრიტერიუმებს. როგორც უკვე აღინიშნა ამ თავის სავარჯიშოების შესავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამორიცხვის საკითხი არ დადგება (გამორიცხვა განიხილება მე-3 თავში).</p>	
<p>2. რა არგუმენტებია ბატავიას ხელისუფლების უარყოფითი გადაწყვეტილების წინააღმდეგ?</p>		
<p>ფაქტი, რომ რივერლანდის დატოვებისას მონა არ აკმაყოფილებდა ლტოლვილის განსაზღვრების კრიტერიუმებს, არ ნიშნავს, რომ ამჟამად ის ვერ ისარგებლებს ლტოლვილის სტატუსით. მის საქმეში გარემოებები, რაც მის ამჟამინდელ საფუძველიან შიშს ადასტურებს, წარმოშობის ქვეყანაში მისი გამგზავრების შემდეგ დადგა. ის ლტოლვილი გახდა უკვე ბატავიაში “sur place” განაცხადით.</p> <p>ფაქტი, რომ რივერლანდში ცხოვრების განმავლობაში მას არასოდეს ჰქონია უსაფრთხოების პრობლემები, არ არის არსებითი ლტოლვილის სტატუსზე მისი ამჟამინდელი უფლებამოსილებისთვის. ანალიზი, განმცხადებელი ექცევა თუ არა ლტოლვილის სტატუსის ფარგლებში, მოიცავს შემდგომს: ზოგადი წესის თანახმად უნდა დადგინდეს, არსებობს თუ არა გონივრული შესაძლებლობა, რომ კონკრეტული პირის მიმართ განხორციელდება კონვენციისეულ საფუძველთან დაკავშირებული დევნა თუ იგი დაბრუნდება წარმოშობის ქვეყანაში ამჟამად ან მომავალში. წარსული დევნა ასეთი რისკის არსებობის ზოგადი მაჩვენებელია, მაგრამ პირის დევნის შიში შეიძლება იყოს საფუძველიანი მაშინაც კი, თუ მას ადრე არ განუცდია ასეთი დამოკიდებულება (იხ.: 45-ე პარაგრაფი გლუკ-ის სახელმძღვანელოში).</p>		

საქმე დ

1. ეთანხმებით თუ არა ტიტანის ხელისუფლების არგუმენტებს? გთხოვთ დაასაბუთოთ.	
<p>არა. ჩანს ტიტანის ხელისუფლებამ საქმე ზედაპირულად გააანალიზა: მათ ყურადღება მიაქციეს მხოლოდ ბაშირის სიტყვებს, რომ “მას არ გააჩნია მომავალი ობერონში” – და მისი განცხადების მიზეზების შესწავლის გარეშე დაასკვნეს, რომ მსგავსი რამ არ არის გათვალისწინებული 1951 წლის კონვენციით. შესაბამისად, თავშესაფრის ხელისუფლებას არ შეეძლო განესაზღვრა, აკმაყოფილებს თუ არა ბაშირი ლტოლვილის განსაზღვრის კრიტერიუმებს.</p>	
2 აკმაყოფილებს თუ არა ბაშირი 1951 წლის კონვენციისეულ ლტოლვილის განსაზღვრების დადგენის კრიტერიუმებს? ჩამოთვალეთ ლტოლვილის განსაზღვრის ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:	
ა	<p>წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყნის გარეთ ყოფნა</p> <p>დიახ. ეს ელემენტი არსებობს.</p>
ბ	<p>საფუძვლიანი შიში</p> <p>დიახ. საგაღდებულო სუბიექტური ელემენტი (“შიში”) არსებობს: ბაშირმა გააკეთა თავშესაფრის განაცხადი. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში ბაშირის ეთნიკური უმცირესობის წევრთა მიმართ ობერონის მთავრობის დამოკიდებულება კარგად არის დოკუმენტირებული. ის მოიცავს ამ ეთნიკური ჯგუფის წევრთა სამოქალაქო და პოლიტიკური (მოქალაქეობის ჩამორთმევა; პოლიტიკური პარტიების და სხვა ასოციაციების აკრძალვა; გამოხატვის თავისუფლების სარგებლობისათვის დაპატიმრება და არაადამიანური მოპრობა) და სოციალური და ეკონომიკური უფლებების სერიოზულ დარღვევებს. ხელისუფლებამ პირადად ბაშირის უფლებებიც სერიოზულად შეზღუდა. ცხადია, რომ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ ობერონში დაბრუნების შემთხვევაში მის მიმართ უწინდელი დამოკიდებულება გაგრძელდება. ამრიგად, ობიექტური ელემენტიც არსებობს. ბაშირს გააჩნია საფუძვლიანი შიში.</p>
გ	<p>ღვენა</p> <p>დიახ. ეს ელემენტიც არსებობს: ბაშირის ეთნიკური ჯგუფის წევრები განიცდიან დისკრიმინაციას, რაც აისახება მათ მიერ ადამიანის რიგ უფლებათა გამოყენებაზე და უტოლდება ღვენას ან ინდივიდუალური, ან საერთო საფუძველით.</p>
დ	<p>1951 წლის კონვენციის საფუძველი</p> <p>დიახ. ბაშირის ღვენის შიში უკავშირდება მის ეთნიკურ წარმომავლობას. კონვენციაში შესაბამისი საფუძველებია რასა და ეროვნება.</p>

<p>არის თუ არა ბაშირი ლტოლვილი?</p>	<p>დიახ. ბაშირი აკმაყოფილებს ლტოლვილის განსაზღვრების დადგენის კრიტერიუმებს. როგორც უკვე აღინიშნა ამ თავის სავარჯიშოების შესავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამორიცხვის საკითხი არ დადგება (გამორიცხვა განიხილება მე-3 თავში).</p>
-------------------------------------	--

საქმე ე

<p>1 თქვენი აზრით, სიღვია იმსახურებს თუ არა ლტოლვილის სტატუსს?</p>	
<p>რომელი დოკუმენტი შეიცავს ლტოლვილის შესაბამის განსაზღვრებას?</p>	<p>1951 წ. კონვენცია, რადგან ბეტასტანის მისი წევრია.</p>
<p>ჩამოთვალეთ დადგენისათვის საჭირო ელემენტები და განმარტეთ თითოეული მათგანი დაკმაყოფილებელია თუ არა.</p>	
<p>ა</p>	<p>წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყნის გარეთ ყოფნა დიახ. ეს ელემენტი არსებობს.</p>
<p>ბ</p>	<p>საფუძვლიანი შიში დიახ. სუბიექტური ელემენტი („შიში“) არსებობს: სიღვიამ მიმართა ბეტასტანის ხელისუფლებას თავშესაფრის მინიჭების თხოვნით და განაცხადა უკან დაბრუნების შიშის თაობაზე. თავის განცხადებაში სიღვიამ გამოთქვა შიში, რომ დაბრუნების შემთხვევაში ისევე იძულებით ჩართავდნენ პროსტიტუციაში. სარწმუნო წყაროების ინფორმაციით, უკან დაბრუნების შემდეგ შესაძლებელია მაფიამ ის მოკლას. წარმოშობის ქვეყნის შესახებ სანდო ინფორმაციის საფუძველზე, არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ ალფასტანში ჩასვლის შემთხვევაში მისი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდება. ამგვარად, სიღვიას საქმეში არსებობს ობიექტური ელემენტიც, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება წარმოშობის ქვეყანაში მოქმედი კრიმინალური ორგანიზაციის მხრიდან. თუმცა, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა, მაგრამ უსაფრთხოების ძალებსა და სამოქალაქო ადმინისტრაციაში ფართოდ გავრცელებული კორუფციის გამო, მას არ შეუძლია მაფიისგან დაიცვას ქალები. აღნიშნულის შესაბამისად, სიღვიას გააჩნია საფუძვლიანი შიში.</p>

ბ	დევნა	დიახ. ეს ელემენტი არსებობს: მკვლელობა დევნის ტოლფასია.
დ	1951წლის კონვენციის საფუძველი	დიახ. სიღვიას საქმეში, დევნის შიში არ უკავშირდება რასას, რელიგიას, ეროვნებას ან პოლიტიკურ შეხედულებას, თუმცა ის დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ სიღვია მიეკუთვნება კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც: „ქალები, რომლებიც იძულებით ჩართეს პროსტიტუციაში და რომლებმაც შეძლეს გაქცევა“
	არის თუ არა სიღვია ლტოლვილი?	დიახ. სიღვია აკმაყოფილებს ლტოლვილის ცნების დამდგენ კრიტერიუმებს. როგორც უკვე აღინიშნა ამ თავის საგარჯიშოების შესავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამორიცხვის საკითხი არ დადგება (გამორიცხვა განიხილება მე-3 თავში).
<p>2 (ა) სიღვიას მიერ ოფისთან კონტრაქტის გაფორმებას აქვს თუ არა არსებითი მნიშვნელობა მის უფლებამოსილებაზე, მოიპოვოს ლტოლვილის სტატუსი?</p> <p>(ბ) ეთანხმებით თუ არა თქვენი კოლეგების მიერ ანალოგიურ საქმეებზე აღრე მიღებულ გადაწყვეტილებებს?</p>		
<p>ა არა. ეს არ არის მნიშვნელოვანი. როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, სიღვიას გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში კონვენციისეული მიზეზის გამო, რაც ეფუძნება გონიერულ შესაძლებლობას, რომ ალფასტანში დაბრუნების შემთხვევაში მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. მნიშვნელობა არ აქვს, საზღვარგარეთ წასვლაზე მან ხელი ნებაყოფლობით მოაწერა თუ არა.</p> <p>ბ არა. იმის ნაცვლად, რომ ყურადღება გაემახვილებინათ ქალების მიერ კონტრაქტის ნებაყოფლობით გაფორმებაზე, განმხილველებს უნდა გამოერკვიათ, ალფასტანში დაბრუნების შემთხვევაში ემუქრებოდათ თუ არა მათ დევნის საფრთხე.</p>		

საქმე 3

1. თქვენის აზრით, მილანს ეკუთვნის თუ არა ლტოლვილის სტატუსი?	
რომელ დოკუმენტშია მოცემული ლტოლვილის შესაბამისი განსაზღვრება?	პირველ ადგილზეა 1951 წ. კონვენცია, რადგან ამარილო მისი წევრია. თუ მიხნეულია იქნება, რომ მილანი არ ექცევა 1951 წლის კონვენციისეულ ლტოლვილის განსაზღვრების კრიტერიუმებში, ამარილოს ხელიფლებამ უნდა განიხილოს, ხომ არ ჯდება იგი ლტოლვილის უფრო ფართო განსაზღვრებაში, რომელიც მოცემულია 1984 წლის კართაგენის დეკლარაციაში, რომელიც არის მათი ეროვნული კანონმდებლობის ნაწილი.
ჩამოთვალეთ ლტოლვილის განსაზღვრების ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:	
ა	წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყნის გარეთ ყოფნა
ბ	საფუძვლიანი შიში
გ	დევნა
დ	1951 წლის კონვენციის საფუძველი
არის თუ არა დაკმაყოფილებული 1951 წლის კონვენციის დადგენის კრიტერიუმები?	არა

არის თუ არა მილანი ლტოლვილი ამარილოში მოქმედი ლტოლვილის გაფართოებული განსაზღვრების მნიშვნელობით?

დიახ.
 ამარილოს მიერ ეროვნულ კანონმდებლობაში გათვალისწინებული 1984 წლის კართაგენის დეკლარაციის ლტოლვილის ფართო განსაზღვრების მიხედვით, ლტოლვილის განსაზღვრება მოიცავს „პირებს, რომლებიც გაიქცნენ თავიანთი ქვეყნიდან, რადგან მათ სიცოცხლეს, უსაფრთხოებასა და თავისუფლებას ემუქრებოდა ძალადობა, უცხოური აგრესია, შიდა კონფლიქტები, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები ან სხვა გარემოებები, რომლებიც სერიოზულად არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს“.
 ლტოლვილის ეს ფართო განსაზღვრება ეფუძნება განურჩეველი მოპყრობის შედეგად წარმოქმნილ ობიექტურ საფრთხეს და არა დევნის საშიშროებას გამორჩეულ ან დისკრიმინაციულ საფუძველზე.

მილანის საქმეში ფართო განსაზღვრების კრიტერიუმები არსებობს. ამარილოს თავშესაფრის კანონმდებლობის მიხედვით, ის აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებს. ის ასევე ექცევა გლუკ-ის მანდატის ლტოლვილის გაფართოებული განსაზღვრების ფარგლებში და ამიტომ, როგორც ლტოლვილი, არის მისი მზრუნველობის ქვეშ.

როგორც უკვე აღინიშნა ამ თავის სავარჯიშოების შესავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამორიცხვის საკითხი არ დადგება (გამორიცხვა განიხილება მე-3 თავში).

საკმე 8

1. არის თუ არა ლეკი ლტოლვილი?	
რომელ დოკუმენტშია მოცემული ლტოლვილის შესაბამისი განსაზღვრება?	1951 წ. კონვენცია, რომლის წევრიც არის სატურნია.
ჩამოთვალეთ დადგენის ელემენტები და განიხილეთ თითოეული მათგანის შესატყვისობა:	
ა	წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყნის გარეთ ყოფნა
ბ	საფუძვლიანი შიში
	<p>ლეკმა განაცხადა, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში მას საფრთხე დაემუქრება: მას მიაჩნდა, რომ ეკონომიკური პირობები შეუძლებელს გახდიდა მის ცხოვრებას. ამრიგად, ამ მოთხოვნის სუბიექტური ელემენტი („შიში“) წარმოდგენილია, თუმცა სამსახურის მოძებნის შეუძლებლობა არ არის ერთადერთი საფრთხე, რომელიც მას დაემუქრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას თვითონ ეს არ უთქვამს, მარსიაში არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ არსებობს გონივრული შესაძლებლობა, რომ ქვეყნის არალეგალურად დატოვებისთვის მარსიის მართლმსაჯულება მას სამუდამო პატიმრობას მიუსჯის. გარდა ამისა, ლეკს განიხილავენ როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს და პოლიტიკური კავშირების არქონის გამო, არსებობს გონივრული შესაძლებლობა, რომ დალატისთვის მას სიკვდილით დასჯიან. ზემოთ ნათქვამის ფონზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლეკს გაჩნია ზიანის საფუძვლიანი შიში.</p>

<p>ბ</p>	<p>დენა</p>	<p>აღსანიშნავია, რომ წარმოშობის ქვეყანაში გამეფებული საერთო ეკონომიკური სიტუაციის გამო სამსახურის შოვნის შეუძლებლობა არ უტოლდება დენას გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის იმდენად სერიოზულია, რომ პირს უსპობს არსებობის საშუალებას.</p> <p>თუმცა, მარსიაში დაბრუნების შემთხვევაში ლეკის გაასამართლებენ ქვეყნის უკანონოდ დატოვების გამო. ეს წარმოშობს შესაძლებლობას, რომ ის გაურბის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და არა დენას. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მიხედვით, მარსიაში დაბრუნების შემთხვევაში სასჯელი, რომელიც შეიძლება მას განესაზღვროს, დენის ტოლფასია:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სამუდამო პატიმრობა შეუსაბამო სასჯელია ქვეყნის უკანონოდ დატოვებისთვის – და ის ჩაითვლება ლეკის უფლების - არ იქნეს უკანონოდ დაპატიმრებული – დარღვევად. ▪ იმავე დანაშაულისთვის მისჯილი უმაღლესი ზომა ასევე დაარღვევდა ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ გარანტიებს: არსებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სიკვდილით დასჯა დასაშვებია მხოლოდ ძალიან მძიმე დანაშაულისთვის.
<p>დ</p>	<p>1951 წლის კონვენციის საფუძველი</p>	<p>დიახ.</p> <p>ლეკის საქმეში საერთაშორისო სტანდარტებით დაცული მისი სიცოცხლის უფლების დარღვევა - სიკვდილით დასჯის საფრთხე - უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ იგი ჩათვალია პოლიტიკურ ოპონენტად, რადგან არაღებულად დატოვა ქვეყანა. მარსიას სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ადგენს სამუდამო პატიმრობას ყველასთვის, ვინც არაღებულად დატოვა ქვეყანა, ასევე გამოხატავს მთავრობის დამოკიდებულებას, რომ ყველა, ვინც ქვეყანა ნებართვის გარეშე დატოვა, პოლიტიკური ოპონენტია. ამგვარად, კონვენციის შესაბამისი საფუძველი არის პირობითი პოლიტიკური შეხედულება. ეს მისაღებია მიუხედავად იმისა, რომ ლეკი არასოდეს ყოფილა მარსიაში პოლიტიკურად აქტიური.</p>

	<p>სამუდამო პატიმრობის საფრთხეს რაც შეეხება, ლეკი ასევე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის წევრი, რომელიც შეიძლება დადგინდეს ისეთი მუდმივი მახასიათებლის საფუძველზე, როგორიც არის: „პირები, რომლებმაც მარსია დატოვეს ოფიციალური ნებართვის გარეშე“.</p>
<p>არის თუ არა ლეკი ლტოლვილი?</p>	<p>დიახ. ლეკი აკმაყოფილებს ლტოლვილის განსაზღვრების დადგენის კრიტერიუმებს. როგორც უკვე აღინიშნა ამ თავის საგარჯიშოების შესავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ გამორიცხვის საკითხი არ დადგება (გამორიცხვა განიხილება მე-3 თავში).</p>
<p>2. შეუძლია თუ არა გლუკ-ს ამ საქმეში ჩარევა? გთხოვთ დაასაბუთოთ.</p>	
<p>სატურნია არის 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის წევრი ქვეყანა. მას ეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე გაკეთებული თავშესაფრის განაცხადების განხილვისა და მას გააჩნია თავშესაფრის ეროვნული კანონმდებლობა. გლუკ-ის 1950 წლის სტატუტის მე-8 პარაგრაფისა და 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, გლუკ-ი პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს სატურნიას ამ კონვენციის აღსრულების თაობაზე. გარკვეული გარემოებების გამო, შესაძლებელია საჭირო გახდეს გლუკ-ის მიერ საერთაშორისო დაცვის მანდატის გამოყენება მისი 1950 წლის სტატუტის და გენერალური ასამბლეის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შემდგომი რეზოლუციების საფუძველზე. ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია საქმეში, არ საუბრობს სატურნიაში არსებული თავშესაფრის პროცედურების შეუსაბამობაზე 1951 წლის კონვენციის მოთხოვნებთან. ამგვარად, ამ საქმეში არ არის გლუკ-ის ჩართულობის აუცილებლობის რაიმე მაჩვენებელი.</p>	

თავი 3

დადგენის კრიტერიუმები – გამორიცხვა



ძირითადი მიზნები

გაერკვეთ ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის კონცეფციის არსში

გაეცნოთ იმ სიტუაციებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ხდება პირის გამორიცხვა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებიდან

შეისწავლოთ, თუ როგორ უნდა მოხდეს გამომრიცხავი გარემოების ანალიზი მაშინ, როდესაც საქმე ეხება 1951 წლის კონვენციის 1F მუხლს

წინამდებარე თავი ეძღვნება გამორიცხვის საკითხს, ანუ იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პირებს უარი უნდა ეთქვათ 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვაზე მიუხედავად იმისა, რომ ისინი აკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციაში მითითებულ ლტოლვილად მიჩნევის კრიტერიუმებს. თავში მოკლედ არის ახსნილი, თუ რა შემთხვევაში შეიძლება წამოიწიოს წინა პლანზე აღნიშნული პრობლემა. ასევე, მოცემულია სქემა, რომელსაც უნდა მისდიონ გადაწყვეტილების მიმღებებმა იმის განსაზღვრისას, უნდა გამოირიცხონ თუ არა პირები ლტოლვილის საერთაშორისო დაცვიდან იმ მიზეზით, რომ გლუკ-ის გარდა გაეროს სხვა სააგენტო იცავს ან დახმარებას უწევს მათ ან თუ მიჩნეულია, რომ პირები არ იმსახურებენ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვას სერიოზული კრიმინალური წარსულის გამო. წინამდებარე თავი ასევე ეხება გამორიცხვის შედეგების საკითხსაც.

3.1 შესავალი

ლტოლვილის განსაზღვრების იმ პოზიტიური ელემენტების მითითების გარდა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა პირს მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი, 1951 წლის კონვენცია ასევე ადგენს, რომ პირთა გარკვეულ კატეგორიებზე არ ვრცელდება კონვენციის დებულებებით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვა. ასეთი პირობები განსაზღვრულია 1951 წლის კონვენციის 1D, 1E და 1F მუხლებში. მათ **გამომრიცხავი დებულებები** ეწოდებათ, თუმცა როგორც 3.2 თავშია მოცემული, 1D მუხლი მოქმედებს როგორც დამდგენი, ასევე როგორც გამომრიცხავი დებულება. 1950 წლის სტატუტის მე-7(ბ), (გ) და (დ) პუნქტი შეიცავს მსგავს, თუმცა არაიდენტურ დებულებებს, რომლებიც უნდა გავიგოთ 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულებების ჭრილში.

კონვენციის 1E და 1F მუხლების თანახმად „გამორიცხვა“ ნიშნავს, რომ პირი, რომელიც აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლით გათვალისწინებულ ლტოლვილად მიჩნევის კრიტერიუმებს, არ შეიძლება სარგებლობდეს ლტოლვილის სტატუსით, ვინაიდან ის არ საჭიროებს ან არ იმსახურებს ლტოლვილთათვის გათვალისწინებულ საერთაშორისო დაცვას. 1D მუხლი, მეორე მხრივ,

ვრცელდება ადამიანთა სპეციალურ კატეგორიაზე, რომლებიც სხვა ლტოლვილების მსგავსად საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას, მაგრამ მათ მიმართ უკვე გატარდა დაცვისა და დახმარების მისაღებად სხვა ზომები.

ადამიანის უფლებათა დაცვის დებულებების ყველა გამონაკლისის მსგავსად უნდა მოხდეს 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი პირობების ვიწრო ინტერპრეტაცია, თუმცა მათი გამოყენებისას საჭიროა სიფრთხილე. გამორიცხვის განხილვისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი პროცედურები, უნდა მოხდეს კონკრეტულ პირთან დაკავშირებული სპეციფიკური გარემოებების ზედმიწევნით შესწავლა და შესაბამისი კრიტერიუმების სრულყოფილი შეფასება. აღნიშნული წესი გამოიყენება გამომრიცხვის ყველა შემთხვევაში:

- დადგენის სტადიაზე, ანუ თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის პროცესში;
- იმ შემთხვევაში, როცა პროცესი შეიძლება დასრულდეს ლტოლვილის სტატუსის გაუქმებით. **გაუქმება** ნიშნავს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობას, ვინაიდან აღნიშნული სტატუსის მინიჭება არ უნდა მომხდარიყო, პირველ რიგში, იმ მიზეზით, რომ პირი არ აკმაყოფილებდა სტატუსის დადგენის კრიტერიუმებს ან თუ ამ პირის მიმართ საჭირო იყო გამომრიცხავი გარემოებების ამოქმედება დადგენის საწყის სტადიაზე;
- თუ პირი, რომელიც სათანადო წესის დაცვით იყო აღიარებული ლტოლვილად, სტატუსის მინიჭების შემდეგ ჩაიდენს ქმედებას, რომელიც ექცევა 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის (ა) და (გ) პუნქტებით გათვალისწინებული გამომრიცხავი გარემოებების ფარგლებში, ამას შესაძლოა მოჰყვეს ლტოლვილის სტატუსის **ჩამორთმევა**.

გამომრიცხვა უნდა განვასხვავოთ **შეწყვეტისგან**, რომელსაც ითვალისწინებს 1951 წლის კონვენციის 1C მუხლი და რომელიც გულისხმობს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტას იმ მიზეზით, რომ ის აღარ არის საჭირო ან გამართლებული. შეწყვეტა განხილულია ქვემოთ, მე-4 თავში.

გამორიცხვა ასევე უნდა განვასხვავოთ ლტოლვილის გასახლებისგან სხვა ქვეყანაში, გარდა იმ ქვეყნისა, სადაც მას დევნის შიში აქვს. აღნიშნული ქმედება შესაძლოა დასაშვები იყოს სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე. 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულია ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია დააბრუნოს ლტოლვილი თავისი წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში, როგორც *არგაძვევების* პრინციპის გამონაკლისი შემთხვევა (იხ.: ქვეთავი 1.6.1). თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში პირს ლტოლვილის სტატუსი უნარჩუნდება.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომრიცხავი გარემოებები ხშირად წარმოშობს რთულ და კომპლექსურ კითხვებს და ამ საკითხების მოგვარება უნდა მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარის მქონე გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ იმ მითითებების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია ამ თავში ნახსენებ დოკუმენტებში.

3.2 იმ პირების გამორიცხვა, რომელთაც არ ეკუთვნით 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული შეღავათები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლტოლვილთა გარკვეულ კატეგორიაზე არ ვრცელდება 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა იმ მიზეზით, რომ ისინი უკვე სარგებლობენ დაცვით ან მხარდაჭერით გაეროს სხვა სააგენტოებისგან, გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატისა. 1951 წლის კონვენციის ID მუხლში ნათქვამია:

“ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ამჟამად სარგებლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოების ან დაწესებულებების დაცვით ან დახმარებით, გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატისა.

თუკი ასეთი სახის დაცვა ან დახმარება რაიმე მიზეზით შეწყვეტილ იქნა მანამდე, ვიდრე ამ პირთა მდგომარეობა საბოლოოდ მოგვარდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური

ასამბლეის მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუციების კვალობაზე, ეს პირები ამ კონვენციის რეჟიმით ipso facto-თი სარგებლობენ.”

1951 წლის კონვენციის შექმნის პროცესში ID მუხლი შეიტანეს, რათა მომხდარიყო კონვენციის შეღავათების გავრცელების გამორიცხვა იმ ლტოლვილებზე, რომლებიც იღებდნენ დახმარებას ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილების დახმარებისა და დასაქმების გაეროს სააგენტოსგან (UNRWA). ესენი იყვნენ ის „პალესტინელი ლტოლვილები“, რომლებიც გადაადგილდნენ პალესტინის იმ რეგიონიდან, რომელიც 1948 წლის კონფლიქტის შედეგად გახდა ისრაელის ნაწილი. 1967 წლიდან UNRWA ეხმარება ლტოლვილთა მეორე ჯგუფს. კერძოდ, იმ პალესტინელებს, რომლებიც გადაადგილდნენ 1967 წლის არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის დროს ისრაელის მიერ ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიებიდან.

დღევანდელ კონექსტში, ორივე ჯგუფის – 1948 წლის „პალესტინელი ლტოლვილების“ და 1967 წლის „გადაადგილებული პირების“ წარმომადგენლები, ისევე როგორც მათი შთამომავლები, ხვდებიან ID მუხლის მოქმედების ქვეშ. თუ აღნიშნული პირები მოქცეულნი არიან UNRWA-ის ოპერაციების არეალში, მაშინ მათზე არ ვრცელდება 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული შეღავათები ID მუხლის თანახმად, რადგან ითვლება, რომ UNRWA უზრუნველყოფს მათ დაცვითა და დახმარებით. დღესდღეობით UNRWA ახორციელებს თავის საქმიანობას იორდანიაში, სირიაში, ლიბანში, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში.

ID მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს დამდგენ პირობას, რომლის მიხედვითაც 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმი ავტომატურად ვრცელდება „პალესტინელ ლტოლვილებსა“ და „გადაადგილებულ პირებზე“ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული სათანადო რეზოლუციის შესაბამისად მათი მდგომარეობის საბოლოოდ მოგვარებამდე რაიმე მიზეზით შეუწყდათ UNRWA-ის დაცვა და დახმარება. ეს ნიშნავს, რომ თუ პირი განეკუთვნება პალესტინელი ლტოლვილების აღნიშნულ ორ ჯგუფს, მასზე

ავტომატურად ვრცელდება 1951 წლის კონვენციის შეღავათები, როცა ის იმყოფება UNRWA-ის მოქმედების ფარგლებს გარეთ.

1D მუხლი ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც გააჩნიათ 1951 წლის კონვენციის 1A მუხლით გათვალისწინებული ლტოლვილის მახასიათებლები. შესაბამისად, როგორც კი დადგინდება, რომ პალესტინელი თავშესაფრის მაძიებელი ხვდება 1D მუხლის მოქმედების ფარგლებში იმ მიზეზით, რომ იგი მიეკუთვნება ლტოლვილთა განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული მუხლი, აღარ არის საჭირო 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლით გათვალისწინებული დამდგენი პირობების ანალიზი. თუმცა კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს იმის დადგენა, ხომ არ შესწევს პირს ლტოლვილის სტატუსი 1C მუხლის თანახმად (იხ.: თავი 4) ან ხომ არ ამოქმედდა მის მიმართ 1951 წლის კონვენციის 1E და 1F მუხლებით გათვალისწინებული გამომრიცხავი გარემოებები (იხ.: ქვეთავი 3.4).

პალესტინელი თავშესაფრის მაძიებლების საქმის განხილვისას გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ 2002 წლის ოქტომბერში გლუკის მიერ გამოცემული *კომენტარები პალესტინელი ლტოლვილების სტატუსთან მიმართებით 1951 წლის კონვენციის 1D მუხლის გამოყენების შესახებ*. აღნიშნული კომენტარები შეიცავს მითითებებს ზემოხსენებული საკითხების შესახებ, ისევე როგორც სხვა საჭირო ინფორმაციას, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია მსგავსი საქმეების ანალიზისას.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ პალესტინელი თავშესაფრის მაძიებლების განაცხადები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც 1948 წლის „პალესტინელ ლტოლვილთა“ და არც 1967 წლის „გადაადგილებულ პირთა“ ჯგუფს და, აქედან გამომდინარე, არ ექცევიან 1D მუხლის მოქმედების ქვეშ, განხილულ უნდა იქნან 1A(2) მუხლის მიხედვით.

3.3 იმ პირების გამორიცხვა, რომლებიც არ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას

1951 წლის კონვენციის მიხედვით, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის რეჟიმი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ბინადრობის ქვეყნის მოქალაქეების მსგავსი უფლებები. 1951 წლის კონვენციის 1E მუხლი განმარტავს:

“ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც მისი ბინადრობის ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება ცნობს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს.”

გამომრიცხავი გარემოება ამოქმედდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მუდმივად ცხოვრობს ქვეყანაში და თუ ამ ქვეყნის მიერ აღიარებული სტატუსის თანახმად, მას ენიჭება აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეების მსგავსი უფლებები და მოვალეობები. უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ სტატუსმა უზრუნველყოს გაძევებისგან დაცვა ისევე, როგორც ბინადრობის ქვეყანაში დაბრუნების, უკან შესვლის და დარჩენის უფლება. 1E მუხლი ძირითადად ეხება ორი სახის გარემოებას:

- როდესაც პირი შედის ქვეყანაში და შეაქვს განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით, თუმცა ის უკვე აკმაყოფილებს ამ ქვეყანაში იმგვარი სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს, რომელიც ახლოს არის მოქალაქეობასთან და რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეობის ძალზე მარტივად მიღების პერსპექტივას; ან
- როდესაც პიროვნება, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ქვეყანაში და სარგებლობს დე ფაქტო იმავე უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ ამ ქვეყნის მოქალაქეები, ტოვებს აღნიშნულ ქვეყანას და ითხოვს თავშესაფარს სხვა სახელმწიფოსგან. თუმცა, თუ აღნიშნულ პირს გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში იმ ქვეყანაში, რომელიც მან დატოვა, 1E მუხლი აღარ გამოიყენება.

3.4. იმ პირთა გამორიცხვა, რომლებიც „არ იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას“

3.4.1 გამომრიცხავი გარემოებები 1F მუხლის მიხედვით - ზოგადი მიმოხილვა

დებულება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი პირი არ იმსახურებს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვით გათვალისწინებულ შეღავათებს რიგი სერიოზული დანაშაულის გამო, ასახულია 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში, რომელიც განმარტავს, რომ:

ეს კონვენცია არ ვრცელდება იმ პირზე, რომლის მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მან:

- (ა) ჩაიდინა ქმედება, რომელიც ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით განისაზღვრა, როგორც დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ;*
- (ბ) ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიძღვნილ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მანამ, სანამ ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნებოდა მიღებული;*
- (გ) ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.*

აღნიშნული დებულების თანახმად, ზოგიერთი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ დამნაშავეები აღარ იმსახურებენ ლტოლვილებისთვის გათვალისწინებულ დაცვას. დებულების ძირითადი მიზანია, არ მისცეს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვით სარგებლობის საშუალება იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზარელი ქმედებები და სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებანი. ასევე, უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პირებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავშესაფრის ინსტიტუტი მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, უკიდურესი სიფრთხილის გამოვლენაა საჭირო, რათა 1F მუხლი ამოქმედდეს ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც ამ

კატეგორიაში ექცევიან.

ამავდროულად, გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანობმა უნდა გათვალისწინონ ის სერიოზული შედეგი, რომელიც შესაძლოა მოჰყვეს IF მუხლის გამოყენებას. გამორიცხვა ნიშნავს იმას, რომ პირს, რომელიც აკმაყოფილებს სტატუსის დასადგენ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, საჭიროებს საერთაშორისო დაცვას, უარს ეტყვიან ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. ამას, შესაძლოა, აღნიშნული პირისათვის მოჰყვეს ძალიან მძიმე შედეგები. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანობმა უნდა მოახდინონ გამომრიცხავი გარემოების შემცველი დებულების ვიწრო განმარტება და ასეთი განაცხადის განხილვისას გამოიჩინონ უკიდურესი სიფრთხილე.

IF მუხლი შეიცავს იმ ქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებსაც შესაძლოა მოჰყვეს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვა იმ მიზეზით, რომ პირი არ იმსახურებს ასეთ დაცვას. აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული გამორიცხვა შეიძლება ამოქმედდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედება აკმაყოფილებს დებულების ერთ ან მეტ ნაწილში მითითებულ კრიტერიუმებს.

აღნიშნული გამომრიცხავი გარემოების შესახებ დეტალური მითითებები და ინტერპრეტაცია მოცემულია 2003 წლის 4 სექტემბერს გამოცემულ *გლუკ-ის სახელმძღვანელოში საერთაშორისო დაცვის შესახებ: გამომრიცხავი გარემოებების დებულებების გამოყენება: ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის IF მუხლი (HCR/GIP/03/05)* და თანდართულ განმარტებით ბარათში.

3.4.2 1951 წლის კონვენციის IF მუხლის გამოყენება

დამდგენი გარემოების განხილვა, როგორც წესი, გამორიცხვამდე უნდა მოხდეს, რათა გადაწყვეტილების მიმღებს ჰქონდეს საშუალება, კომპლექსურად შეისწავლოს ის მიზეზებიც, რომლებიც ამართლებენ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას და ის ფაქტორებიც, რომლებიც დაკავშირებულია გამომრიცხვასთან. თითოეული საქმის ყველა ასპექტის სრულყოფილი შესწავლა საჭიროა მაშინაც, როცა IF მუხლის გამოყენება განიხილება პროცედურის შეწყვეტის ან

შეჩერების კონტექსტში ისეთი გარემოების ჩათვლით, როდესაც პირს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა პრიმა ფაციე (*prima facie*) საფუძველზე, მაგალითად, მასობრივი შემოდინების დროს (იხ.: ქვეთავები 1.5.2 და 2.3.4).

1F მუხლი გამოიყენება, თუ არსებობს „სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ“, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა ან მონაწილეობა მიიღო გამომრიცხავი დანაშაულის ჩადენაში. საჭიროა აშკარა და სანდო ინფორმაციის არსებობა იმისთვის, რომ დაკმაყოფილდეს „სერიოზული საფუძველის“ მოთხოვნა მაშინ, როცა არ არსებობს მტკიცების აუცილებლობა სისხლის სამართლის საქმეებში (მაგ.: „გონივრულ ეჭვს მიღმა“ საერთო სამართლის სისტემაში). აქ „შესაძლებლობათა ბალანსის“ ზედა ზღვარი მეტად დაბალია. ასევე, მცირე ეჭვის არსებობა არ არის საკმარისი გამომრიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მტკიცების ტვირთი, როგორც წესი, აკისრია გადაწყვეტილების მიმღებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფომ ან გლუკ-მა უნდა დაამტკიცონ, რომ არსებობს „სერიოზული საფუძველი“ ვარაუდისა, რომ პირი ექცევა 1F მუხლის მოქმედების ფარგლებში. აღნიშნული კი მოითხოვს განმცხადებლის მოქმედების ინდივიდუალურად შეფასებას იმის ჩათვლით, იყო თუ არა იგი რეპრესიული რეჟიმის ან ისეთი ჯგუფის წევრი, რომელიც სჩადის ან მხარს უჭერს ძალადობრივ ქმედებებს, ან იღებდა თუ არა იგი წარსულში მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, მტკიცების ტვირთი შესაძლოა გამართლებული იყოს. გამომრიცხვის შემთხვევების დროს მტკიცების აუცილებლობასა და ტვირთზე უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ გლუკ-ის *განმარტებითი ბარათი გამომრიცხვასთან დაკავშირებით*, §§ 105-111.

იმის დადგენისას, განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს ლტოლვილის განსაზღვრებით დაწესებულ დამდგენ პირობებს, ექცევა თუ არა 1F მუხლის მოქმედების ქვეშ და, მაშასადამე, უარი უნდა ეთქვას თუ არა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გამოიკვლიოს შემდეგი საკითხები:

საფეხური 1: დაწყებულია თუ არა გამორიცხვა?

საქმეების უმრავლესობის განხილვისას გამორიცხვის საკითხი არც წამოიჭრება, თუმცა, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ განმცხადებელს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს ისეთი ქმედება, რომელიც ხვდება 1F მუხლის მოქმედების სფეროში, აუცილებელია საქმის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის ზედმიწევნით შესწავლა. გამორიცხვის საკითხის განხილვა შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს თვითონ განმცხადებლის მონათხრობის საფუძველზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც მიუთითებს, რომ პირი შესაძლოა დაკავშირებული იყოს გამომრიცხავ ქმედებებთან.

საფეხური 2: არსებობს თუ არა საქმეში 1F მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებთანაც განმცხადებელს აქვს კავშირი?

როდესაც გამორიცხვის საკითხი დადგება დღის წესრიგში, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა განსაზღვროს ის ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს 1F მუხლის ამოქმედება. ფაქტები უნდა შეფასდეს 1F (ა), (ბ) და/ან (გ) მუხლით დაწესებული სამართლებრივი კრიტერიუმების ჭრილში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებით გათვალისწინებული გამორიცხვა შესაძლოა მოჰყვეს მხოლოდ იმ ქმედებებს, რომლებიც ჩამოთვლილია 1F მუხლში. ეს უკანასკნელი კი მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- **1F (ა) მუხლი – „დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ“**
საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის 1945 წლის ქარტიის მიხედვით („ლონდონის ქარტია“), **მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაული** მოიცავს „აგრესიული ომის ან საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების ან ვალდებულებების საწინააღმდეგო ომის დაგეგმვას, მომზადებას, წამოწყებას ან წარმოებას, ან ზემოხსენებულის მისაღწევად შეთქმულების ერთიან გეგმაში მონაწილეობას.“ აღნიშნული დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, ის შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირმა, რომელიც

წარმოადგენს სახელმწიფო ან მსგავს ორგანოს და ისიც მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში (იხილეთ გლუკ-ის განმარტებითი ბარათი გამორიცხვასთან დაკავშირებით, § 26-29).

- **1F (ა) მუხლი – „სამხედრო დანაშაული“**

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ზოგიერთი სერიოზული დარღვევა ფასდება როგორც **სამხედრო დანაშაული**. გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მხოლოდ ის ქმედება შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო დანაშაულად, რომელიც ჩადენილია ომიანობის დროს და რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტთან (ე.წ. „კავშირის“ აუცილებლობა). სხვადასხვა სამართლებრივი დებულება გამოიყენება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის კონფლიქტის - საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო - დროს, არის ჩადენილი ქმედება; აქედან გამომდინარე, გამორიცხვის საკითხის განხილვისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა სახის კონფლიქტთან გვაქვს საქმე. სამხედრო დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო პირების მიერ და წინააღმდეგ.

თავდაპირველად მიიჩნეოდა, რომ პირმა ან პირთა ჯგუფმა სამხედრო დანაშაული შესაძლოა ჩაიდინოს მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, თუმცა 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები შეიძლება იწვევდეს საერთაშორისო სამართლით პირის პირდაპირ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და, მაშასადამე, ასევე წარმოადგენდეს სამხედრო დანაშაულს. არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საწინააღმდეგო ქმედებები იმ დროს არ მიიჩნეოდა „სამხედრო დანაშაულად“, მაგრამ შესაძლებელი იყო მათი მოხვედრა 1F მუხლის სხვა კატეგორიის ფარგლებში.

იმის განსაზღვრისას, არის თუ არა კონკრეტული ქმედება სამხედრო დანაშაული, გადაწყვეტილების მიმღებები უნდა დაეყრდნონ იმ დეფინიციებს, რომლებიც მოცემულია 1949 წლის ქენევის ოთხ კონვენციასა და 1977 წლის დამატებით ოქმში; ასევე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს 1998 წლის რომის სტატუტის მე-8 მუხლში. სამხედრო დანაშაული მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა: სამოქალაქო პირების განზრახ მკვლელობა ან წამება, სამოქალაქო მოსახლეობაზე განურჩეველი შეტევების განხორციელება და სამოქალაქო პირისა თუ სამხედრო ტყვისათვის სამართლიანი და საერთო სასამართლო განხილვის უფლების განზრახ ჩამორთმევა. გამორიცხვის აღნიშნული მიზეზის შესახებ უფრო დაწვრილებითი სახელმძღვანელო ინფორმაციისათვის იხილეთ გლუკ-ის განმარტებითი ბარათი გამორიცხვის შესახებ, §§ 30-32.

- **1F (ა) მუხლი – „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“**

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - ეს არის არაპუნდირებული ქმედება (მაგ.: გენოციდი, მკვლელობა, გაუპატიურება, წამება) ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც შეირადებული კონფლიქტის, ასევე - მშვიდობიანობის დროს. ნებისმიერმა პირმა შეიძლება ჩაიდინოს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, თუ მისი ქმედება აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმს. შესაბამისი განმარტებები მოცემულია სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტში ისეთი დოკუმენტების ჩათვლით, როგორებიცაა: 1945 წლის ლონდონის ქარტია, 1948 წლის კონვენცია გენოციდის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, 1984 წლის კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის

წინააღმდეგ, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუტები და 1998 წლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი. უფრო ვრცელი ინფორმაციისათვის იხილეთ გლუკ-ის განმარტებითი ბარათი *გამორიცხვასთან დაკავშირებით*, §§ 33-36.

- 1F (ბ) მუხლი – „არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული ჩადენილი თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მანამ, სანამ პირი ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნებოდა მიღებული”

იმის განსაზღვრისას, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ქმედება „მძიმე დანაშაულად” გამორცხვის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა შეაფასონ დანაშაულის სიმძიმე საერთაშორისო სტანდარტების კვალობაზე. არის თუ არა დანაშაული „არაპოლიტიკური” ხასიათის 1F (ბ) მუხლის მიხედვით, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, კერძოდ: მოტივაციის, კონტექსტის და მეთოდის, ასევე მიზნებთან მიმართებით დანაშაულის პროპორციულობის ჩათვლით (იხ.: ქვეთავი 3.3.3.3).

1F მუხლის (ა) და (გ) პუნქტებისგან განსხვავებით, აღნიშნული გამომრიცხავი პირობა შეზღუდულია გეოგრაფიული და დროის ჩარჩოთი. ის დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია თავშესაფრის ქვეყანაში, ვერ გამოიწვევენ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვას 1F (ბ) მუხლის მიხედვით. ასეთი დანაშაულის შემთხვევაში რეაგირება უნდა მოხდეს მიმღები ქვეყნის ეროვნული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა შემთხვევაში, შესაძლოა ამოქმედდეს 32-ე მუხლით გათვალისწინებული გაძევება ან გამოყენებულ იქნას *არგადეგების* პრინციპის გამონაკლისი (იხ.: ზემოთ ქვეთავი 3.1). უფრო ვრცელი ინფორმაციისათვის 1F (ბ) მუხლის ინტერპრეტაციასა და გამოყენებასთან

დაკავშირებით იხილეთ გლუკ-ის განმარტებითი ბარათი გამორიცხვასთან დაკავშირებით, §§ 37-45.

- **1F (გ) მუხლი – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები“**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები და პრინციპები განმარტებულია *გაერო-ს* ქარტიის პირველ და მე-2 მუხლებში. აღნიშნული გამომრიცხავი გარემოება გამოიყენება ისეთი ქმედებების მიმართ, რომლებსაც თავიანთი სიმძიმისა და მნიშვნელობის გამო, შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ საერთაშორისო მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებზე ან გამოიწვიონ ადამიანის უფლებათა მძიმე და ხანგრძლივი დარღვევები. ზოგადად მხოლოდ სახელმწიფო და მსგავს ორგანოებში მომუშავე თანამდებობის პირებს შეუძლიათ ჩაიდინონ აღნიშნული სახის ქმედებები. უფრო ვრცელი ინფორმაციისათვის იმის შესახებ, თუ რა სახის ქმედებები შეიძლება მოექცეს 1F (გ) მუხლის მოქმედების არეალში, იხილეთ გლუკ-ის განმარტებითი ბარათი გამორიცხვასთან დაკავშირებით, §§ 46-49.

გადაწყვეტილების მიმღებებმა ასევე უნდა დაადგინონ, არსებობს თუ არა კავშირი განმცხადებელსა და გამომრიცხავ ქმედებებს შორის. ინფორმაცია განმცხადებლის ბიოგრაფიის შესახებ და/ან იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც მიუთითებს ასეთი კავშირის არსებობის ალბათობაზე, შესაძლოა მოპოვებულ იქნას თავად განმცხადებლისგან ან სხვა წყაროებიდან (მაგ.: ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ან სხვა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია განმცხადებლის ბიოგრაფიის და/ან განაცხადის ტიპისათვის). ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს სანდო და სარწმუნო. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის იმ ქმედებებთან დამაკავშირებელი ინფორმაცია, რომელიც ხვდება 1F მუხლის მოქმედების ფარგლებში მომდინარეობს წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებიდან (მაგალითად: ექსტრადიციის მოთხოვნა), გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე და ყურადღებით გამოიკვლიონ, განმცხადებელი სამართლებრივ პასუხისმგებლობას გაურბის თუ

დევნას. აღნიშნული საკითხი განხილულია 2.2.2.4-ე ქვეთავში.

საფეხური 3: დაეკისრა თუ არა განმცხადებელს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებებისთვის?

როგორც კი გაირკვევა, რომ განმცხადებელს კავშირი აქვს ისეთ ქმედებებთან, რომელთაც ხვდება IF მუხლის მოქმედების არეალში, გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა დაადგინოს, დაეკისრა თუ არა განმცხადებელს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებებისთვის. ასეთ შემთხვევასთან საქმე გვექნება, როდესაც არსებობს ნამდვილი და სანდო ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლოა დადგინდეს, რომ განმცხადებელმა თავად ჩაიდინა დანაშაული(ები) ან მონაწილეობა მიიღო სხვების მიერ ჩადენილ დანაშაულში დაგეგმვით, ბრძანების გაცემით, წაქეზებით ან მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს დახმარებაში, თანამონაწილეობასა ან ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობაში. მეტიც, გარკვეულ გარემოებებში, სამოქალაქო ან სამხედრო თანამდებობის პირებმა შეიძლება პასუხი აგონ მათი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვისაც.

გადაწყვეტილების მიმღებებმა ასევე უნდა დაადგინონ, ხომ არ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ განმცხადებელი მოქმედებდა განზრახვით (საკუთარ ქმედებასა და მის შედეგებთან მიმართებით) და ცოდნით (მისი ქმედების შესაბამისი გარემოებებისა და შედეგების შესახებ), რომელიც აუცილებელია აღნიშნული დანაშაულის(ების) ჩასადენად. ამას ეწოდება დანაშაულის სუბიექტური ელემენტი, ანუ *მენს რეა (mens rea)*.

იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს სუბიექტური ელემენტი (*mens rea*), არ დგება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხიც. სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნება, როცა საქმე გვექნება სულიერი ავადმყოფობის, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების, უნებლიე ინტოქსიკაციის ან არასრულწლოვნებიდან გამომდინარე შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების გამო ჩადენილ დანაშაულთან. უკანასკნელი განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ბავშვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენისას (იხ.: ქვეთავი 3.4.3.1).

ასევე, მნიშვნელოვანია გაირკვეს, აქვს თუ არა განმცხადებელს საფუძვლიანი გამართლება, ანუ ხომ არ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც გაათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან ჩაიდინა ან რომელშიც მონაწილეობა მიიღო. მაგალითად, გამართლება გამოიყენება მაშინ, როცა განმცხადებელი მოქმედებდა ზეწოლის ქვეშ, რომელიც პირადად მას ან სხვა პირს უქმნიდა გარდაუვალ და სერიოზულ საფრთხეს ან თავდაცვისას. გამორიცხვის საკითხის სრულყოფილი განხილვის ფარგლებში გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა განიხილონ იმ გარემოებათა არსებობის ალბათობა, რომელიც გამორიცხავდა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას მაშინაც კი, თუ თავად განმცხადებლის მხრიდან არ ყოფილა ამაზე მინიშნება.

სახელმძღვანელო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმების დაკმაყოფილებაა საჭირო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, შეგიძლიათ იხილოთ *გამორიცხვასთან დაკავშირებით გლუკ-ის განმარტებით ბარათში*, §§ 50-63; სახელმძღვანელო ინფორმაცია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძვლების შესახებ მოცემულია ამავე განმარტებით ბარათში, §§ 64-75.

საფეხური 4: პროპორციულობის შეფასება

თუ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ განმცხადებელი პირადად არის პასუხისმგებელი IF მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისთვის, გამორიცხვის საკითხის განხილვის ბოლო ეტაპა არის იმის შესწავლა, იქნება თუ არა გამორიცხვა პროპორციულობის ზოგად სამართლებრივი პრინციპის შესაბამისი. გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა შეაფასონ ჩადენილი დანაშაულის(ების) სიმძიმე იმ შესაძლო შედეგთან მიმართებით, რომელიც შეიძლება დადგეს კონკრეტული პირის გამორიცხვის შემთხვევაში, ანუ როგორ მოპყრობას დაექვემდებარება განმცხადებელი, თუ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარს ეტყვიან. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დაცვის ეფექტური მექანიზმების

არსებობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების ფარგლებში. თუ დადგინდა, რომ დანაშაულის სიმძიმე გადაწონის იმ რისკს, რომელიც წარმოიშობა ლტოლვილის სტატუსზე უარის თქმის შემთხვევაში, განმცხადებელი უნდა გამოირიცხოს. მეორე მხრივ, თუ ის განმცხადებელი, რომელიც პასუხისმგებელია უფრო ნაკლები სიმძიმის ქმედებებზე (მაგალითად, ჯარისკაცების მიერ ჩადენილი მარადიურობის ცალკეული შემთხვევები), დაბრუნების შემთხვევაში დაექვემდებარება სასტიკ დევნას, მაშინ გამოირიცხვა შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციულად (იხ.: გლუკ-ის განმარტებითი ბარათი გამოირიცხვასთან დაკავშირებით, §§ 76-78).

3.4.3 განსაკუთრებული საკითხები

3.4.3.1 გამოირიცხვა განმცხადებლის მიერ ბავშვობაში ჩადენილი ქმედებებისთვის

ზოგადად IF მუხლი შეიძლება გავრცელდეს იმ დანაშაულებრივ ქმედებებზეც, რომლებიც განმცხადებელმა ბავშვობაში, ანუ 18 წლის ასაკამდე ჩაიდინა, თუმცა, არსებობს რიგი სპეციფიკური საკითხებისა, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მსგავსი საქმეების განხილვისას.

პირველ რიგში, IF მუხლი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი ქმედების ჩადენის დროისათვის პირმა მიაღწია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ანუ იმ ასაკს, რომლის მიღწევამდეც ბავშვს არ შეუძლია დანაშაულის ჩადენა (განსხვავებით სრულწლოვანების ასაკისგან, როდესაც პირს ენიჭება სრულწლოვანის ყველა სამართლებრივი უფლება). არ არსებობს სავალდებულო საერთაშორისო წესი იმის შესახებ, თუ რომელი ასაკი უნდა იქნას მიჩნეული ზღვრულად, თუმცა ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-40 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს, დააწესონ მინიმალური ასაკი. თუ წარმოშობისა და თავშესაფრის ქვეყანაში დაწესებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასაკი, როგორც წესი, გამოიყენება ასაკის უფრო მაღალი ზღვარი.

თუ ბავშვმა მიაღწია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს, შემდეგი ნაბიჯი იქნება იმის

დადგენა, ჰქონდა თუ არა მას სათანადო გონებრივი განვითარება განსახილველი დანაშაულის(ების) ჩასადენად. აუცილებელია გაირკვეს, იყო თუ არა ბავშვი ზრდასრული საიმისოდ, რომ გაეცნობიერებინა საკუთარი ქმედების არსი და შედეგი. ბავშვს ჯარისკაცებთან დაკავშირებულ საქმეების შესწავლისას მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბავშვის ასაკი სამხედრო ჯგუფში გაწევრიანების დროს; გაწევრიანების მიზეზები (საკუთარი სურვილით თუ იძულებით); გაწევრიანებაზე უარის თქმის შედეგები; ჯგუფის წევრობის ხანგრძლივობა; ნარკოტიკების, ალკოჰოლის, მედიკამენტების იძულებითი მიღება; განათლებისა დონე და აღქმის უნარი; ტრავმის, შეურაცხყოფის და ცუდად მოპყრობის ფაქტები; დადებითი მისაბაძი მაგალითის არარსებობა და ა. შ. თუ ბავშვი არ არის სათანადოდ განვითარებული გონებრივად, არ წამოიჭრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხიც. რაც უფრო მცირეწლოვანია ბავშვი, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ მას არ ექნება სათანადო გონებრივი განვითარება. ბავშვის ზრდასრულობა და სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფაქტორი ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც პირის გამართლების საკითხის განხილვის, ისე - პროპორციულობის შეფასებისას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ გლჟუკ-ის *განმარტებითი ბარათი გამორიცხვასთან დაკავშირებით*, §§ 91-93).

3.4.3.2 გამორიცხვა მასობრივი შემოსვლის დროს

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამორიცხვა ყოველთვის მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას. 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი არასოდეს გამოიყენება ჯგუფურ საფუძველზე. ეს შეეხება როგორც ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალურად დადგენას, ასევე მასობრივი შემოსვლის სიტუაციებს, როდესაც ლტოლვილის სტატუსის დადგენა ხშირად ხდება პრიმა ფაციე (*prima facie*) საფუძველზე (იხ.: ზემოთ 1.5.2 და 2.3.4). თუ არსებობს ეჭვი, რომ ჯგუფის გარკვეულ წევრებზე შეიძლება გავრცელდეს 1F მუხლი, უნდა მოხდეს ლტოლვილის სტატუსისთვის მათი შესაბამისობის გადახედვა ინდივიდუალური

პროცედურის რეჟიმში, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც დამდგენი, ასევე გამომრიცხავი ასპექტები. კონკრეტული გარემოებებიდან გამდინარე, აღნიშნულ განხილვას შესაძლოა მოჰყვეს სტატუსის ჩამორთმევა ან შეწყვეტა (იხ.: ქვეთავი 3.1).

როგორც ზემოთ (იხ.: ქვეთავი 2.3.4) აღინიშნა, შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის ფაქტი თავისთავად არ ამართლებს გამომრიცხავი დებულების ამოქმედებას, მაგრამ ყოფილი მებრძოლების მიერ წარდგენილი თავშესაფრის განაცხადის განხილვა უნდა მოიცავდეს მათი ქმედების ძირფესვიან შესწავლას IF მუხლის ჭრილში.

3.4.3.3 გამორიცხვა და „ტერორიზმი“

გამორიცხვის საკითხი ხშირად წამოიჭრება ისეთ დანაშაულთან მიმართებით, როგორც არის „ტერორისტული“ აქტები. ხშირ შემთხვევაში არ არის საჭირო იმის განხილვა, შესაძლებელია თუ არა, რომ აღნიშნულმა აქტმა გამოიწვიოს გამორიცხვა; თუ პირი სავარაუდოდ ჩართული იყო „ტერორისტულ“ დანაშაულთა ჩადენაში, მაშინ მას ლეგიტიმურად გასამართლების შიში აქვს და არა დევნის, ის არ აკმაყოფილებს სტატუსის დადგენის კრიტერიუმს და ამის საფუძველზე მას უარი უნდა ეთქვას განაცხადზე (იხ.: ზემოთ 2.2.3.4), მაგრამ თუ დადგინდება, რომ პირს აქვს დევნის საფუძველიანი შიში იმ მიზეზების გამო, რომლებიც მითითებულია 1951 წლის კონვენციაში, აუცილებელია გამორიცხვის საკითხის შესწავლა.

მსგავსი შინაარსის საქმეების განხილვისას აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ პირებს, რომლებიც არ იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას, არ მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი. მეორე მხრივ, იმ პირის საქმის განხილვა, რომელიც მიეკუთვნება გარკვეულ ორგანიზაციას ან რომელიც ეჭვმიტანილია ტერორისტული აქტების ჩადენაში, უნდა მოხდეს სამართლიანი და ეფექტური პროცედურების დაცვით, რომლის დროსაც მოხდება კონკრეტული საქმის კონტექსტის და გარემოებების შეფასება IF მუხლში განსაზღვრული კრიტერიუმების ჭრილში იმის ჩათვლით, დაკმაყოფილებულია თუ არა აღნიშნული

დებულებით დაწესებული მტკიცების მოთხოვნა („ვარაუდის სერიოზული საფუძველი“).

1F მუხლი

გამოიყენება, თუ განსახილველი დანაშაული არის:

- **მძიმე:** ქმედება მიხნეულია მძიმე დანაშაულად იურისდიქციათა უმეტესობის მიხედვით.
- **„არაპოლიტიკური“:** გამომრიცხავი დებულების მიზნებისთვის დანაშაული მიიჩნევა არაპოლიტიკურად, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან დასტურდება ერთი ან რამდენიმე:
 - დანაშაული ჩადენილია უპირატესად განსხვავებული მოტივით (პიროვნული ან მოგების მიღების მიზნით);
 - არ არსებობს მკაფიო კავშირი დანაშაულსა და სავარაუდო პოლიტიკურ მიზნებს შორის;
 - ჩადენილი ქმედება სავარაუდო პოლიტიკური მიზნების არაპროპორციულია;
 - პოლიტიკური მიზანი არ შეესაბამება ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.
- ჩადენილია თავშესაფრის ქვეყნის ფარგლებს გარეთ; და
- ამ ქვეყანაში ლტოლვილად აღიარებამდე: სანამ დადგინდება განმცხადებლის ფიზიკური ყოფნა მიმღებ ქვეყანაში.

მსგავსი შემთხვევების დროს 1F მუხლის გამოყენების განხილვისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რამდენად შეესაბამება კონკრეტული პირის მიერ ჩადენილი ქმედება აღნიშნული დებულების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს და არ მოახდინონ ფოკუსირება „ტერორისტის“ იარლიყზე. ქმედებათა უმრავლესობა, რომელთაც „ტერორისტულ“ აქტებს უწოდებენ, ძირითადად 1951 წლის კონვენციის 1F(ბ) მუხლში მითითებული არაპოლიტიკური ხასიათის

დანაშაულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განურჩევლად ხდება სამოქალაქო მოსახლეობისთვის საფრთხის შექმნა ან ზიანის მიყენება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ასეთი ქმედებები პოლიტიკური მოტივით იყოს განპირობებული, მათ არ შეიძლება მოჰყვეს გამორიცხვა, რადგან ხშირად კავშირი დანაშაულსა და სავარაუდო პოლიტიკურ მიზანს შორის არ არის საკმარისად მჭიდრო და/ან გამოყენებული საშუალებები არ შეიძლება მივიჩნიოთ დასახული მიზნის პროპორციულად.

ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებები და გაეროს ინსტრუმენტები, რომლებიც ეხება ტერორიზმის გარკვეულ ასპექტებს, სულ უფრო და უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ აღნიშნული დანაშაული მათი მიზნებიდან გამომდინარე უნდა იყოს მიჩნეული არაპოლიტიკური ხასიათის დანაშაულად. ასეთი განსაზღვრება მნიშვნელოვანია დანაშაულის პოლიტიკური ელემენტის დადგენისათვის IF(ბ) მუხლის ჭრილში, მაგრამ გამოიწვევს თუ არა მოცემული დანაშაული(ები) გამორიცხვას, განხილულ უნდა იქნას სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით და იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია გამომრიცხავი დებულების ამოქმედებისთვის.

IF(გ) მუხლი – „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები“ – შესაძლოა მიესადაგებოდეს ტერორისტული აქტების შემცველ საქმეებს, თუ, მათ სიმძიმის, საერთაშორისო მნიშვნელობის და საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ზეგავლენის გამო ზიანი მოაქვთ საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული გამომრიცხავი დებულება შეიძლება გავრცელდეს იმ ჯგუფის ლიდერებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მსგავსი ქმედებებისთვის.

როგორც ყველა სხვა საქმეში, რომელიც მოიცავს IF მუხლს, ტერორისტული აქტების ნიადაგზე გამორიცხვის შეფასებისას აუცილებელია განმცხადებლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენა. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც პირის სახელი და გვარი მითითებულია ეჭვმიტანილ ტერორისტთა სიაში ან ის ჯგუფი, რომლის წევრიცაა აღნიშნული პიროვნება, არის აღიარებული ტერორისტულ ორგანიზაციად საერთაშორისო

საზოგადოებრიობის, რეგიონული ორგანოს ან სახელმწიფოს მიერ. ასეთი აღიარება, როგორც წესი, გამოიწვევს გამორიცხვის საკითხის განხილვის ინიცირებას, თუმცა ის თავისთავად არ წარმოადგენს IF მუხლის ამოქმედების საფუძველს და ასევე არ გულისხმობს გამომრიცხავი ქმედებებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ვარაუდს.

IF მუხლის გამოყენება იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც მიჩნეულია ტერორიზმად, განხილულია გლჟუკ-ის განმარტებით ბარათში გამორიცხვის შესახებ, იხ.: §§ 37–45, 49 და §§ 79–86.

3.5 გამორიცხვის შედეგები

თუ დადგინდება, რომ პირზე ვრცელდება გამომრიცხავი დებულება, ის ვერ იქნება აღიარებული ლტოლვილად და ვერ ისარგებლებს 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვით. აღნიშნული პირის მიმართ ამოქმედდება მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის ის მუხლები, რომლებიც გამოიყენება ამ ქვეყნის ტეროტორიაზე მყოფი არალტოლვილი უცხოელების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლითა და ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული *გაძევებისგან* დაცვა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა მიმართაც გამოყენებულია გამორიცხვა, სხვა საერთაშორისო სტანდარტები კვლავ მოქმედებს მათ მიმართ. კერძოდ, ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან ადამიანის უფლებათა სხვა მძიმე დარღვევას, დაცულია ადამიანის უფლებათა რიგი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებით, რომლებსაც მიუერთდა მიმღები ქვეყანა. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი კრძალავს ნებისმიერი პირის დაბრუნებას, თუ იგი დაექვემდებარება წამებას ან სხვა სასტიკ, არადამიანურ ან ღირსების შემლახავ ქმედებას. შესაბამისად, ეს წესი სავალდებულოა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის იმისდა მიუხედავად, მოახდინა თუ არა მან შესაბამისი ინსტრუმენტის რატიფიცირება (ასევე იხილეთ ზემოთ 1.6.1).

თუ მოხდა პირის გამორიცხვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ოჯახის წევრებიც თავისთავად გამოირიცხებიან. მათი სიტუაციის შესწავლა უნდა მოხდეს ინდივიდუალურ საფუძველზე. მათ მიენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი, თუ დადგინდება, რომ პიროვნულად გააჩნიათ დევნის საფუძველიანი შიში, რომელიც უკავშირდება კონვენციაში მითითებულ მიზეზებს, თუნდაც დევნის ეს შიში გამომდინარეობდეს იმ პირთან ნათესაობის ფაქტიდან, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა გამორიცხვა. ასეთ შემთხვევებში ის განმცხადებელი, რომელზეც გავრცელდა გამომრიცხავი დებულება, ვერ მოიპოვებს *გამომდინარე სტატუსს* (აღნიშნული გულისხმობს ოჯახის ერთიანობის საფუძველზე აღიარებული ლტოლვილის ოჯახის წევრის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირის ლტოლვილად აღიარებას). იმ განმცხადებლის ოჯახის წევრები და/ან კმაყოფაზე მყოფი პირები, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა გამორიცხვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაექვემდებარებიან გამორიცხვას, თუ ისინი თავად მოექცევიან გამომრიცხავი დებულების მოქმედების ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით იხ.: გლუკ-ის *განმარტებითი ბარათი გამორიცხვის შესახებ*, §§ 21–22 და §§ 94–95.

მოკლე მიმოხილვა

გამორიცხვა

- გამორიცხვა ნიშნავს, რომ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პირობებს, უარს ეტყვიან ლტოლვილთათვის გათვალისწინებულ საერთაშორისო დაცვაზე, თუ უკვე სარგებლობს გლუკ-ის გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოს დაცვით ან დახმარებით ან არ იმსახურებს ასეთ დაცვას.
- პირობები, რომელთა შემთხვევაშიც გამართლებულია გამორიცხვა ლტოლვილთათვის განკუთვნილი საერთაშორისო დაცვიდან, მოცემულია 1951 წლის კონვენციის 1D , 1E და 1F მუხლებში.
- ადამიანის უფლებათა დებულებების ყველა გამონაკლისის მსგავსად უნდა მოხდეს 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულებების ვიწრო განმარტება. გამომრიცხავი დებულების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს პროცედურული გარანტიები.
- იმ პირებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულება, არ მიენიჭებათ ლტოლვილის სტატუსი, თუმცა აღნიშნული პირები განაგრძობენ სხვა ინსტრუმენტებით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებით გარანტირებული დაცვით სარგებლობას.

1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულებები

პირები, რომლებსაც არ ეკუთვნით 1951 წლის კონვენციის შეღავათები (1D მუხლი) :

- 1D მუხლი გამოიყენება ლტოლვილთა განსაკუთრებული კატეგორიის მიმართ, რომლებზეც ვრცელდება გლუკ-ის გარდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოს დაცვა ან დახმარება.
- დღევანდელ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ იმ პალესტინელებზე, რომლებიც იქცნენ ლტოლვილებად 1948 წლის ან 1967 წლის არაბეთ-ისრაელის კონფლიქტების შედეგად და რომლებიც იღებენ (ან ეკუთვნით) ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილების დახმარების და დასაქმების გაეროს სააგენტოს (UNRWA) დაცვას ან დახმარებას, არ ვრცელდება 1951 წლის კონვენციის შეღავათები მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან აღნიშნული სააგენტოს მოქმედების არეალში.

პირები, რომლებიც არ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას (1E მუხლი):

- 1E მუხლი ეხება იმ პირებს, რომელთა მიმართაც მათი ადგილსამყოფელი ქვეყანა ცნობს ამ ქვეყნის მოქალაქეობასთან დაკავშირებულ უფლებებსა და მოვალეობებს და რომლებიც სინამდვილეში სარგებლობენ ამ უფლებებით.

პირები, რომლებიც არ იმსახურებენ საერთაშორისო დაცვას (1F მუხლი):

- 1F მუხლი გულისხმობს იმ პირთა გამორიცხვას, რომელთა მიმართაც არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მათ
 - ა. ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, სამხედრო დანაშაული ან დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო აქტებით მსგავსი ქმედებებისთვის მინიჭებული განსაზღვრების შესაბამისად;
 - ბ. ჩაიდინეს არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამ ქვეყანაში ლტოლვილად აღიარებამდე;
 - გ. ბრალი მიუძღვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.

1F მუხლით გათვალისწინებული გამორიცხვის ძირითადი ასპექტები

- 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის ძირითადი მიზანია არ მისცეს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვით სარგებლობის საშუალება იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზარელი ქმედებები და სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული; ასევე, უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პირებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავშესაფრის ინსტიტუტი მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.
- 1F მუხლი მოიცავს იმ ქმედებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ გამორიცხვა.
- 1F მუხლის გამოყენებისას აუცილებელია სიზუსტე და, ამავედროულად, უკიდურესი სიფრთხილე იმ მეტად სერიოზული შედეგების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს პირს გამორიცხვისას.
- გამორიცხვის საკითხის განხილვამდე, როგორც წესი, შესწავლილ უნდა იქნას დამდგენი პირობები.
- 1F მუხლის მიხედვით მტკიცების მოთხოვნის („სერიოზული საფუძველი ვარაუდისა“) დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სანდო მტკიცებულების არსებობა. მტკიცების ტვირთი, როგორც წესი, აკისრია გადაწყვეტილების მიმღებს, ანუ სახელმწიფოს ან გლუკ-ს.

1F მუხლის ანალიზის საფეხურები:

- 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამოყენების განხილვისას, გადაწყვეტილებების მიმღებებმა ანალიზი შემდეგი პუნქტების გამოყენებით უნდა განახორციელონ:
 1. დადგა თუ არა გამორიცხვის საკითხი? თუ ასეა,

2. დასტურდება თუ არა 1F მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებთანაც კავშირი აქვს განმცხადებელს? თუ დასტურდება, მაშინ:
 3. შესაძლოა თუ არა, რომ განმცხადებელმა პიროვნულად აგოს პასუხი განსახილველი დანაშაულისთვის? თუ აღნიშნული შესაძლებელია,
 4. იქნება თუ არა გამორიცხვა პროპორციული განმცხადებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის(ების) გამორიცხვის შესაძლო შედეგებთან შედარების თვალსაზრისით?
- 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამოყენების განხილვისას, გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გამოიყენონ ის მითითებები, რომლებიც მოცემულია 2003 წელს გამოცემულ გლუკ-ის *სახელმძღვანელოსა* და მისივე *განმარტებით ბარათში გამორიცხვის შესახებ*.

ძირითადი საკითხავი

გლუკ-ი, ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები და კრიტერიუმები (1972, რედაქტირებული 1992), §§ 144-180;

გლუკ-ი, განმარტებები 1951 წლის კონვენციის ID მუხლის გამოყენების შესახებ პალესტინელი ლტოლვილების სტატუსთან დაკავშირებით, 2002 წლის ოქტომბერი;

გლუკ-ი, ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო: გამომრიცხავი დებულებების გამოყენება: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი, გამოცემული 2003 წლის 4 სექტემბერს და თანდართული განმარტებითი ბარათი;

გლუკ-ი, განმარტებები ლტოლვილის სტატუსის შეწვევების შესახებ, 2004 წლის ნოემბერი;

თავი 3 – საგარჯიშოები

მიმოხილვა:

1. გამორიცხვა ნიშნავს პირისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმას იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნია დევნის საფუძველიანი შიში 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული მიზეზების გამო. ეს დებულება **სწორია თუ მცდარი?** დაასაბუთეთ.
2. 1F მუხლის გამომრიცხავი პირობა ძირითადად მიმდები ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დაცვას გულისხმობს. ეს დებულება **სწორია თუ მცდარი?** დაასაბუთეთ.
3. ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებათაგან რომელი არ ექცევა 1F მუხლის მოქმედების ფარგლებში?
 - ა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა სისტემატური წამება;
 - ბ სამხედრო ტყვეების დახოცვა;
 - გ თავშესაფრის ქვეყანაში მადაზის გაძარცვა;
 - დ აჯანყებულ მებრძოლთა შვილების შეპყრობა და მათი დასჯით მუქარა, თუკი აჯანყებულები არ დანებდებიან.
4. თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განაცხადის ჩაბარებისას, ქალბატონ X-ს სთხოვენ კითხვარის შევსებას. ის წერს: „ხუთიოდე წლის წინ ჩემს სამშობლოში მონაწილეობა მივიღე სამოქალაქო ომში. ვიყავი აჯანყებულთა ჯგუფის წევრი. ვცდილობდით ბოლო მოგვედო სამთავრობო ძალების მიერ ხალხზე განხორციელებული დაუნდობელი ზეწოლისთვის, მაგრამ წარმატებას ვერ მივაღწიეთ. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ჯარმა დაგვამარცხა. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ დაგუბრუნდი ჩემს საქმიანობას ფერმაში. ძალიან ბევრი მეგობარი დაგვკარგე. გადავწყვიტე აღარასოდეს მებრძოლა. მე ნორმალურად ვცხოვრობდი და ვმუშაობდი ფერმაში მანამ, სანამ სამიოდე თვის წინ მთავრობამ არ დაიწყო ყოფილ აჯანყებულთა დაშინება. როდესაც ჩემი ყოფილი თანამებრძოლი მოკლეს, გადავწყვიტე გავქცეულიყავი“. თქვენ დაგეგვალათ ამ საქმის განხილვა. როგორ მოიქცევით? (შემოხაზეთ **სწორი** პასუხი)
 - ა გადაწყვეტთ, რომ ქალბატონ X-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება დაუშვებელია, რაკი ის მებრძოლი იყო.
 - ბ 1F(ა) მუხლის საფუძველზე – სამხედრო დანაშაული - განახორციელებთ ქალბატონ X-ის გამორიცხვას.
 - გ გაეცნობით წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას და მიიღებთ გადაწყვეტილებას ქალბატონი X-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით მისი თავდაპირველი განაცხადისა და ყველა იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელსაც კი მოიპოვებთ.
 - დ გაეცნობით წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას ლტოლვილის სტატუსის დასადგენი გასაუბრების მოსამზადებლად და გაარკვევთ ქალბატონი X-ის როლსა და საქმიანობის ხასიათს კონფლიქტის დროს.

<p>5.</p> <p>ა</p> <p>ბ</p> <p>გ</p> <p>დ</p>	<p>ისეთი მოთხოვნისთვის, როგორც არის „სერიოზული საფუძველი ვარაუდისა“, რომ განმცხადებელმა ჩაიდინა 1F მუხლის მოქმედების ფარგლებში მოქცეული ქმედებები, უნდა არსებობდეს (შემოხაზეთ სწორი პასუხი):</p> <p>ა ეჭვი;</p> <p>ბ აშკარა და სანდო მტკიცებულება/ინფორმაცია;</p> <p>გ გონივრულ ვარაუდს მიღმა არსებული მტკიცებულება;</p> <p>დ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;</p>
<p>6.</p>	<p>ბატონმა Y-მა მონაწილეობა მიიღო ცნობილი ბიზნესმენის მკვლელობაში. კერძოდ, იგი მართავდა მანქანას, რომლითაც მკვლელები დანაშაულის ადგილიდან გაიქცნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ უსვრია დაზარალებულისათვის, შესაძლოა, მასზე 1F მუხლი გავრცელდეს. ამასთან, ბატონი Y რომ არ დამჯდარიყო საჭესთან, მას მეორე პირი შეეცვლიდა. ეს დებულება სწორია თუ მცდარი? დაასაბუთეთ.</p>
<p>7.</p> <p>ა</p> <p>ბ</p>	<p>1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულების გამოყენება ნიშნავს, რომ პირი (<i>შემოხაზეთ მცდარი პასუხი</i>):</p> <p>ა არ ექცევა გლუკის საერთაშორისო დაცვის მანდატის ფარგლებში;</p> <p>ბ უცხოელთა შესახებ მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დეპორტაციას;</p>
<p>გ</p> <p>დ</p>	<p>ა არ ეკუთვნის 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული დაცვა და დახმარება;</p> <p>ბ არ ეკუთვნის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და/ან რეგიონული ინსტრუმენტებით გარანტირებული დაცვა;</p>
<p>8.</p>	<p>1951 წლის 1F მუხლის გამოყენება არ შეიძლება განმცხადებლის მიერ ბავშვობაში ჩადენილ ქმედებებთან მიმართებით. ეს დებულება სწორია თუ მცდარი? დაასაბუთეთ.</p>
<p>9.</p> <p>ა</p> <p>ბ</p> <p>გ</p> <p>დ</p>	<p>ქვემოთ ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან რომელია მცდარი?</p> <p>ა „ტერორისტულად“ მიჩნეულ ქმედებებთან დაკავშირებით 1F მუხლის გამომრიცხავი დებულების გამოყენების განხილვისას გადაწყვეტილების მიმღებებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ქმედების ხასიათზე და არა „ტერორისტის“ იარლიყზე.</p> <p>ბ იმისდა მიუხედავად, რომ კანონმდებლობა ექსტრადიციის შესახებ ამა თუ იმ ქმედებას შეიძლება განსაზღვრავდეს როგორც „არაპოლიტიკურს“, წარმოადგენს თუ არა ეს ქმედება ლტოლვილის სტატუსის მინიჭებიდან გამომრიცხვის საფუძველს, უნდა შეფასდეს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული კრიტერიუმების მიხედვით.</p> <p>გ იქიდან გამდინარე, რომ 1F მუხლში პირდაპირ არ არის ნახსენები „ტერორისტული“ აქტები, ასეთ ქმედებებზე არ ვრცელდება გამომრიცხავი დებულებები.</p> <p>დ ტერორიზმთან დაკავშირებულ საქმეებში, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეში, შესაძლებელია 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამომრიცხავი დებულების გამოყენება, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ პირს ეკისრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ექცევა დებულების მოქმედების ფარგლებში.</p>

საქმე თ

სამხრეთამერიკელი ყოფილი დიქტატორი ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ჩავიდა სპეციალიზებული სამედიცინო მკურნალობის ჩასატარებლად. როდესაც ქვეყანაში მისი ყოფნის ამბავი გაიგეს, ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები გამოვიდნენ მისი დაკავებისა და გასამართლების მოთხოვნით, ვინაიდან თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე, სანამ აღნიშნული პირი მართავდა სახელმწიფოს, ქვეყნის უშიშროების ძალები პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენლებსა და მათ მომხრეებს გამუდმებით ესხმოდნენ თავს და აწამდებდნენ.

იმ ათი წლის განმავლობაში, რაც დიქტატორი გადადგა, მისმა სამშობლომ მნიშვნელოვანი ცვლილებები გაიცადა, კერძოდ, აღდგა დემოკრატიული მმართველობა. საქმის ასეთი გახმაურების გამო, ქვეყნის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დიქტატორის სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაიწყებოდა გამოძიება მის წარსულთან დაკავშირებით.

დიქტატორმა ეს რომ შეიტყო, სავადმყოფოდან გაუსვლელად მოითხოვა თავშესაფარი მიმღებ ქვეყანაში.

<p>დიქტატორის მიმართ უნდა გამოვიყენოთ თუ არა გამომრიცხავი დებულება? დაასაბუთეთ.</p>	
<p>1951 წლის კონვენციის რომელი დებულება(ები) მიესადაგება საქმეს?</p>	

საქმე ი

ერიკი რედლანდიის მოქალაქეა, რომელმაც მოითხოვა თავშესაფარი ბლულანდიაში. თავშესაფრის მიმნიჭებელ ორგანოში გასაუბრებისას ერიკმა განაცხადა, რომ ის იყო ორგანიზაციის წევრი, რომელიც ოპონირებას უწევდა რედლანდიის ავტორიტარულ მთავრობას და იღვწოდა დემოკრატიული ცვლილებების განხორციელებისთვის. მრავალწლიანი წარუმატებელი კამპანიის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ხელისუფლება ორგანიზაციის ზოგიერთ წევრს ავიწროვებდა და ემუქრებოდა, ორგანიზაციამ გადაწყვიტა შერჩევით დასხმოდა თავს პოლიციისა და სამხედრო შენობებს.

ერიკი პირადად იღებდა მონაწილეობას ოპერაციაში, რომლის დროსაც მან და ორგანიზაციის კიდევ სამმა წევრმა ააფეთქეს ნაღმი დედაქალაქის ერთ-ერთ საქმიან ქუჩაზე სამხედრო მანქანის ჩავლისას. ერიკმა ჯგუფის ორი სხვა წევრის მიერ დამონტაჟებული ნაღმის მავთულები შეაერთა, ხოლო მეოთხემ - ააფეთქა. ინციდენტის შედეგად სამი ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა, ხოლო ორი მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებიც აფეთქების მომენტში ახლოს აღმოჩნდნენ, გარდაიცვალა. ერიკმა განაცხადა, რომ ის წუხდა სამოქალაქო პირების დაღუპვის გამო. მომხდარი მან შეაფასა, როგორც უბედური და გარდაუვალი შემთხვევა. ეს იყო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ერთადერთი თავდასხმა.

ინციდენტის შემდგომ ხელისუფლების ორგანოებმა უმაღლეს დაიწყეს ორგანიზაციის წევრების დაპატიმრება. არსებობს ადამიანის უფლებათა დამცველი ცნობილი ორგანიზაციების ანგარიშები, რომლებშიც აღწერილია, რომ დაკავებულთაგან ზოგიერთი წამების შემდგომ უზო-უკვლოდ დაიკარგა. ერიკს ეშინოდა, რომ მასაც დაიჭერდნენ, ამიტომ გადაწყვიტა დაეტოვებინა ბლულანდია და მოეთხოვა თავშესაფარი. ბლულანდია არის 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის დამატებითი ოქმის ხელმომწერი. მან ასევე მოხდინა წამების წინააღმდეგ 1984 წლის კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა 1966 წლის საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება.

1. რა საკითხებს წარმოშობს მოცემული საქმე?

ჩამოთვალეთ საკითხები იმ თანმიმდევრობით, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მათი განხილვა	
---	--

2. ეკუთვნის თუ არა ერიკს ლტოლვილის სტატუსი?

აკმაყოფილებს თუ არა ერიკი ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პირობებს? ჩამოწერეთ ქვემოთ სათანადო კრიტერიუმები და მიუთითეთ, დაკმაყოფილებულია თუ არა ისინი.	
---	--

ა

ბ	
ბ	
დ	
დაკმაყოფილებულია დამდგენი პირობები?	დიახ/არა
წარმოიშობა თუ არა გამორიცხვის საკითხი მოცემულ საქმესთან დაკავშირებით? თუ დიახ, მიუთითეთ 1951 წლის კონვენციის შესაბამისი დებულება.	დიახ/არა
ჩამოთვალეთ გამორიცხვაზე მუშაობის საფეხურები და მითუთეთ ის საკითხები, რომელთა განხილვაც უნდა მოხდეს თითოეულ საფეხურზე.	
საფეხური 1	
საფეხური 2	
საფეხური 3	
საფეხური 4	
გამოიყენება თუ არა 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულება?	დიახ/არა

მესამე თავის სავარჯიშოების პასუხები

მიმოხილვა:

- 1 მცდარია** დადგინდა, რომ განმცხადებელს არ გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული მიზეზების გამო, ამიტომ მას უარი უნდა ეთქვას ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. აღნიშნული პირი არ აკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის დამდგენ კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი გამორიცხვის საკითხის განხილვა. 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულების თანახმად, ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება პირს, რომელიც აკმაყოფილებს დამდგენ პირობებს, მაგრამ იღებს დაცვას ან დახმარებას გლუკის გარდა გაეროს სხვა ორგანოსგან ან რომელიც არ საჭიროებს ან არ იმსახურებს ლტოლვილთათვის განკუთვნილ საერთაშორისო დაცვას.
- 2 მცდარია** 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის თანახმად, ზოგიერთი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ მისი ჩამდენი არ იმსახურებს ლტოლვილისათვის განკუთვნილ საერთაშორისო დაცვას. დებულების მიზანია, ჩამოართვას ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვით სარგებლობის საშუალება იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზარელი ქმედებები და სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული; ასევე, უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პირებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავშესაფრის ინსტიტუტი მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად. გამომრიცხავი გარემოებების შემცველი მუხლები არ ეხება ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებს. იმ შემთხვევაში, როცა ლტოლვილი საფრთხეს უქმნის მიმღები ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან თავად ამ ქვეყნის საზოგადოებას, გამოიყენება 1951 წლის კონვენციის სხვა დებულებები. ეს არის 32-ე მუხლი, რომელიც განიხილავს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია ლტოლვილის გასახლება იმ ქვეყანაში, სადაც მას არ ემუქრება დევნა და 33(2)-ე მუხლი, რომელიც მოიცავს იმ პირობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა დროსაც შესაძლებელია ლტოლვილის დაბრუნება წარმოშობის ან ყოფილი ბინადრობის ქვეყანაში.
- 3 ბ** თავშესაფრის ქვეყანაში მაღაზიის გაძარცვას არ ითვალისწინებს 1F მუხლი. ასეთ ქმედებას არ განიხილავენ არც 1F(ა) ან (გ) მუხლები, ის ასევე არ აკმაყოფილებს 1F(ბ) მუხლით დაწესებულ მოთხოვნებს; მაღაზიის გაძარცვა აშკარად არ უახლოვდება სიმძიმის იმ ზღვარს, რომელსაც მოითხოვს მოცემული დებულება. უფრო მეტიც, 1F(ბ) მუხლის მოქმედება შეზღუდულია როგორც გეოგრაფიული, ასევე დროის თვალსაზრისით: ქმედებები, რომლებიც თავშესაფრის მაძიებელმა მასპინძელ ქვეყანაში ჩაიდინა, არ აკმაყოფილებს

აღნიშნულ მოთხოვნებს. თუ თავშესაფრის მაძიებელმა ჩაიდინა ასეთი ქმედებები, მის მიმართ გამოყენებული იქნება მიმდებ ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის საპორცესო კანონმდებლობა, ხოლო ამ შეკითხვაში ჩამოთვლილი სხვა მაგალითები, როგორცაა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული (ა) და სამხედრო (ბ) და (დ) დანაშაულები წარმოადგენენ ისეთ ქმედებას, რომელიც ექცევა 1F მუხლის მოქმედების ფარგლებში.

4 დ

მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ ქალბატონი X აღარ არის მებრძოლი, ამიტომ მისი განაცხადის დაუშვებლად მიჩნევა არ შეიძლება (გაითვალისწინეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მინიშნებები ბრძოლაში მისი აქტიური ჩართულობის შესახებ, ამის დადგენა, როგორც წესი, მოითხოვს სათანადო პროცედურას განმცხადებელთან გასაუბრების ჩათვლით), თუმცა მის მიერ წარსულში შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე, აუცილებელია აღნიშნულ საქმესთან მიმართებით განხილულ იქნას 1F მუხლის გამოყენების საკითხი. ეს ყოველთვის მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას და პროცედურას, რომელიც გულისხმობს განმცხადებელთან პირად გასაუბრებას და აძლევს მას საშუალებას, წარმოადგინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია იმ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომელიც სტატუსის გამომრიცხავ ქმედებას გულისხმობს. მაშასადამე, გამომრიცხავი დებულების გამოყენება შემდგომი პროცედურების გარეშე ან მხოლოდ წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ შეესაბამება პროცესის სამართლიანად წარმართვის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, სწორად წარმართული ის პროცედურა იქნება, რომელიც მოცემულია პასუხში (დ). საქმის მასალების მომზადებისას განმხილველმა უნდა მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია. აუცილებელია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რას საქმიანობდა ქალბატონი X კონფლიქტის დროს. კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ის შეიძლება იყოს ან არ იყოს პიროვნულად პასუხისმგებელი იმ დანაშაულისთვის, რომელიც ექცევა 1F მუხლის მოქმედების არეალში. გადაწყვეტილების მიმდებმა უნდა დაადგინოს, ხომ არ ჩაუდენია ქალბატონ X-ს ან აჯნაყებულთა ჯგუფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმგვარი მძიმე დარღვევა, რომელიც „სამხედრო დანაშაულს“ უტოლდება და თუ ასეა, იყო თუ არა აღნიშნული ქალბატონი პიროვნულად პასუხისმგებელი ამ ქმედებაზე.

5 ბ

1951 წლის კონვენციის 1F მუხლით განსაზღვრული „სერიოზული მიზეზის“ არსებობის აუცილებლობის სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე ეს საჭიროა სისხლის სამართლებრივი

პასუხისმგებლობისთვის („გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული მტკიცებულება“ ჩვეულებითი სამართლის ქვეყნებში), მაგრამ უფრო მაღალი, ვიდრე შესაძლებლობათა ბალანსი ან უბრალო ეჭვი. აუცილებელია გაგვაჩნდეს სანდო წყაროსგან მოპოვებული ნათელი და ზუსტი ინფორმაცია. ეროვნული სასამართლოს ბრალდება, შესაძლოა, ვერ დააკმაყოფილოს მოცემული სტანდარტი, ვინაიდან იმ მტკიცებულების არსებობა, რომელსაც მოითხოვს ადგილობრივი კანონმდებლობა, შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი „სერიოზული მიზეზის“ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად (თუმცა ეს არ ეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისა და ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენებს).

6 სწორია

პირმა შესაძლოა პასუხი აგოს სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ მასში შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი და გააზრებული აქვს, რომ საკუთარი ქმედებით ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩადენას. წვლილის შეტანა შესაძლოა გამოიხატებოდეს პრაქტიკულ დახმარებაში, წახალისებასა თუ მორალურ მხარდაჭერაში და უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი როლი დანაშაულის ჩადენაში. იმ მანქანის მართვა, რომელშიც გაქცეული პატიმრები სხედან, ცალსახად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაა. იმის გათვალისწინებით, რომ მძღოლი აცნობიერებს, რომ ის ამით ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და არ არსებობს მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოები (მაგ.: თუ პირის სიცოცხლეს ემუქრებოდა გარდაუვალი საფრთხე და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გააჩნდეს გამართლების მყარი საფუძველი), აღნიშნული ქმედება ქმნის საფუძველს პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დადგენისათვის. შესაძლოა თუ არა, რომ სხვა პირს ემართა აღნიშნული მანქანა, არ არის მნიშვნელოვანი. გადაწყვეტი ამ შემთხვევაში ის არის, რომ პირის მიერ ჩადენილი დანაშაული აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასადგენად.

7 დ

პირი, რომელზეც ვრცელდება 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულება, ვერ იქნება ცნობილი ლტოლვილად და ვერ ისარგებლებს კონვენციით გათვალისწინებული დაცვით. აღნიშნული პირი ასევე ვერ მოხვდება გლუკ-ის მანდატის მფარველობის ქვეშ. მასპინძელ ქვეყანას შეუძლია, მაგრამ არ არის ვალდებული, მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი პირების დეპორტაციის შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული დაცვა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა გამომრიცხვაც მოხდა,

მაგრამ მათდამი მოპყრობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, კერძოდ კი ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესაბამის დებულებებს.

8 მცდარია

არ არის გამორიცხული, რომ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამოყენება მოხდეს 18 წლამდე ასაკის პირთა მიმართ, თუმცა გადაწყვეტილების მიმღებმა კარგად უნდა შეისწავლოს, მიაღწიეს თუ არა პირებმა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს და თუ ეს ასეა, გააჩნიათ თუ არა მათ დანაშაულის ჩადენისათვის აუცილებელი გონებრივი განვითარება. ასევე, საჭიროა დადგინდეს, ხომ არ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. მას შემდეგ, რაც დადგინდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია პროპორციულობის შეფასება, რომლის დროსაც ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვთან დაკავშირებული გარემოებები და მისი მოწყვლადობა.

9 გ

მიუხედავად იმის, რომ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში არ არის აღნიშნული „ტერორისტული“ აქტები და დღესდღეობით არ არსებობს „ტერორიზმის“ საყოველთაოდ მიღებული განმარტება; იმ აქტების უმრავლესობა, რომლებიც მიჩნეულია ტერორისტულად, ექცევა აღნიშნული მუხლში მითითებული გამომრიცხავი დებულებების მოქმედების არეალში. კერძოდ, პოლიტიკური მოტივაციის გარეშე ჩადენილ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც მიმართულნი არიან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ და იწვევენ ან ქმნიან მშვიდობიანი მოსახლეობისთვის განურჩეველი ზიანის მიყენების საფრთხეს, როგორც წესი, აუცილებლად შეეხებათ 1951 წლის კონვენციის 1F (ბ) მუხლი.

1 უნდა განხორციელდეს თუ არა დიქტატორის გამორიცხვა?		
<p>მსგავსი საქმეების განხილვისას ადამიანს შეიძლება უმაღლესად გაუხნდეს დადებითი პასუხის გაცემის სურვილი. ამ დიქტატორის მსგავსი პირი, რომელიც მართავდა ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი დარღვევებით ცნობილ რეჟიმს, თითქოს არ უნდა იმსახურებდეს ლტოლვილთათვის განკუთვნილ საერთაშორისო დაცვას. მიუხედავად ამისა, „დიას“ არასწორი პასუხია მოცემულ შეკითხვაზე, ვინაიდან გამორიცხვის საკითხი შესაძლოა საერთოდ არ წამოიჭრას.</p> <p>პირველ რიგში, საჭიროა იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა დიქტატორს 1951 წლის კონვენციის მიხედვით განსაზღვრული დევნის საფუძველიანი შიში. თუ აღნიშნული არ დადგინდება, სწორი გადაწყვეტილება იქნება მისთვის თავშესაფრის მოთხოვნაზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ ის არ აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის დამდგენ პირობებს. 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი სხვაგვარად ექცევა ლტოლვილის განსაზღვრების ქვეშ.</p> <p>საქმეში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, საეჭვოა, დააკმაყოფილებდა თუ არა დიქტატორი 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის დამდგენ პირობებს. ლტოლვილის განსაზღვრების თითოეული შემადგენელი ნაწილის ანალიზისას საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:</p>		
ა	წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყნის გარეთ ყოფნა	მოცემული ელემენტი დაკმაყოფილებულია. დიქტატორი ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში იმყოფება.
ბ	საფუძველიანი შიში	<p>სუბიექტური ელემენტი („შიში“) დადასტურებულია: დიქტატორმა განცხადებით მიმართა მასპინძელ ქვეყანას.</p> <p>დიქტატორს ეშინია, რომ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში მას გაასამართლებენ და ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, მართლაც არსებობს საფუძველიანი ვარაუდი, რომ ეს სწორედ ასე მოხდება. საჭიროა დაადგინოთ, წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად არსებობს თუ არა საფუძველიანი ვარაუდი, რომ აღნიშნული პირი შესაძლოა აღმოჩნდეს სხვაგვარი საზიანო მოპყრობის საფრთხის წინაშე.</p>

<p>8</p>	<p>დევნა</p>	<p>თუ დიქტატორი დაბრუნდება, მას გაასამართლებენ ადამიანის უფლებათა იმ დარღვევებისათვის, რომლებიც მისი მმართველობის პერიოდში აღინიშნა. ეს ყველაფერი თავისი არსით ლეგიტიმური გასამართლება უფროა, ვიდრე დევნა. მითითებულია, რომ ქვეყანაში დამყარდა დემოკრატიული რეჟიმი. საჭიროა და დგინდეს, იქნება თუ არა დიქტატორის გასამართლება და სასჯელი სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი. ამ შემთხვევაში, დიქტატორი დაექვემდებარება არა დევნას, არამედ გასამართლების ლეგიტიმურ პროცედურას. სავარაუდოდ, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე მოცემულ სიტუაციაში და თუ ეს ასეა, საქმის შესწავლა სწორედ ამ ეტაპზე შეწყდება: დიქტატორი ვერ დააკმაყოფილებს ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პირობას.</p> <p>თუმცა ასევე საჭიროა იმის დადგენა, ხომ არ ემუქრება დიქტატორს სხვა მიზეზით გამოწვეული დევნა; მაგალითად, ხომ არ ემუქრება საფრთხე მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას გარკვეული ჯგუფების თუ კერძო პირების მხრიდან.</p> <p>თუ გაირკვევა, რომ დიქტატორი შესაძლოა აღმოჩნდეს დევნის მსხვერპლი, საჭირო იქნება იმის დადგენა, დაიცავს თუ არა მას სახელმწიფო. თუ ეს არ მოხდება. მაგალითად, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ დაამყარეს სრული კონტროლი უშიშროების ძალებსა თუ კერძო სუბიექტებზე, დიქტატორმა შესაძლოა დააკმაყოფილოს 1A(2) მუხლის დამდგენი კრიტერიუმები.</p>
----------	--------------	--

დ	1951 წლის კონვენციისეული საფუძველი	<p>თუ დადგინდება, რომ არსებობს საფუძველიანი ალბათობა იმისა, რომ დიქტატორი შესაძლოა ემსხვერპლოს ისეთ ქმედებას, რომელიც უტოლდება დევნას, აუცილებელია განისაზღვროს, დაკავშირებულია თუ არა აღნიშნული 1951 წლის კონვენციისეულ საფუძველებთან. პოლიტიკური შეხედულება შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ ასევე საყურადღებოა კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება; მაგალითად, თუ ის ან სხვა პირები, რომლებსაც მისი მმართველობის პერიოდში ეკავათ თანამდებობები სახელისუფლო ორგანოებში, როგორც „წინა რეჟიმის დროს მომხდარ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებელი პირები“, შურისძიების სამიზნედ იქცნენ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც აღნიშნული რეჟიმის მსხვერპლნი არიან.</p>
---	------------------------------------	---

2 1951 წლის კონვენციის რომელი დებულება(ები) იქნება მნიშვნელოვანი?

როგორც ზემოთ ითქვა, პირველ რიგში საჭიროა დიქტატორის მოთხოვნის განხილვა 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის ჭრილში. თუ დაადგენთ, რომ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ დამდგენ პირობებს, საჭირო გახდება იმის გაანალიზება, ხომ არ ვრცელდება მასზე 1F მუხლით გათვალისწინებული გამორიცხვა.

დიქტატორის მმართველობის პერიოდში უშიშროების ძალები სერიოზულად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, კერძოდ, აწამებდნენ და ხოცავდნენ ხალხს. მოცემული ქმედებები ექცევა 1F მუხლის შემდგომ კატეგორიებში:

1F(ა) მუხლი - დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ; აღნიშნული კატეგორია მოიცავს იმ არაადამიანურ ქმედებებს, რომლებიც არის მასშტაბური, სისტემატური და მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

1F(ბ) მუხლი - თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩადენილი არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული; აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის უშიშროების ძალების მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც არ უტოლდება კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს მაშინაც კი, თუ დამნაშავეების ქმედებას გააჩნდა პოლიტიკური მიზანი (მაგ.: ოპოზიციის გაჩუმება); ისინი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პოლიტიკური ხასიათის

ქმედება, ვინაიდან მათი მიზანი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს და ძირითად თვისუფლებებს.

1F(გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები; ადამიანის უფლებთა სერიოზული და სისტემატური დარღვევები მოექცევა მოცემული დებულების მოქმედების არეალში, რომელიც არსებითად გამოიყენება მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც უკავიათ თანამდებობა სახელმწიფო ან მსგავს სტრუქტურებში.

საჭიროა დადგინდეს, ეკისრება თუ არა დიქტატორს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა 1F მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისთვის, ანდა გაირკვეს, არსებობს თუ არა საფუძვლიანი ეჭვი ვარაუდისთვის, რომ პირმა თავად ჩაიდინა გამომრიცხავი სახის დანაშაული ან აკისრია პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენისათვის; მაგალითად, დანაშაულის დაგეგმვის, წაქეზების თუ შეკვეთის ან მმართველობის პერიოდში დაკავებული მაღალი თანამდებობის გამო. თუ დაადგენთ, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის განსაზღვრის კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია, პროპორციულობის საკითხის შეფასებისას გამართლებული იქნება დიქტატორის გამორიცხვა, რადგან მოცემულ საქმეში ჩადენილი დანაშაული აშკარად გადაწონის დევნის იმ საფრთხეს, რომელიც დიქტატორს ელოდება დაბრუნების შემთხვევაში.

1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ გლუკ-ის 2003 წლის განმარტებითი ბარათი გამორიცხვასთან დაკავშირებით.

საქმე 0

1 რომელი საკითხები წამოიწვეს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით?	
<p>უნდა დადგინდეს, ეკუთვნის თუ არა ერიკს ლტოლვილის სტატუსი 1951 წლის კონვენციის მიხედვით. ამისათვის საჭიროა ორი საკითხის განხილვა:</p> <p>I დაკმაყოფილებულია თუ არა 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის დამდგენი პირობები;</p> <p>II გამოიყენება თუ არა 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში მოცემული რომელიმე გამომრიცხავი დებულება;</p>	
2 ეკუთვნის თუ არა ერიკს ლტოლვილის სტატუსი?	
I	<p>აკმაყოფილებს თუ არა ერიკი ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის დამდგენ კრიტერიუმებს? დაასახელეთ შესაბამისი კრიტერიუმები და განიხილეთ, დასტურდება თუ არა ისინი მოცემულ საქმეში.</p>
ა	<p>წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ყოფნა</p> <p>დიახ. ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.</p>
ბ	<p>საფუძვლიანი შიში</p> <p>დიახ.</p> <p>სუბიექტური ელემენტი („შიში“) არსებობს; ერიკმა მოითხოვა თავშესაფარი ბლულანდიაში, რადგან მას დაკავების ეშინოდა.</p> <p>ერიკს ეშინია, რომ რედლანდიაში დაბრუნების შემთხვევაში მას დააკავებენ. არის თუ არა ეს შიში საფუძვლიანი, უნდა შეფასდეს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციიდან კი ჩანს, რომ არსებობს საფუძვლიანი შესაძლებლობა იმისა, რომ ერიკს დააპატიმრებენ და რომ ის შეიძლება აწამონ სახელმწიფო აგენტებმა რედლანდიაში დაბრუნების შემთხვევაში. ასევე არსებობს იმის საფრთხე, რომ ის შეიძლება უგზო-უკვლოდ გაქრეს. შესაბამისად, ობიექტური ელემენტიც დაკმაყოფილებულია.</p> <p>ამ ორი ელემენტის ერთობლიობის საფუძველზე ერიკის შიში შესაძლოა მივიჩნიოთ საფუძვლიანად.</p>

ბ	დევნა	<p>დიახ.</p> <p>დაპატიმრებასა და დაკავებასთან დაკავშირებით, რაც, სავარაუდოდ უსათუოდ მოხდება, აუცილებელია დადგინდეს, იქნება ეს სისხლის სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად თავისუფლების ლეგიტიმურად აღკვეთა თუ დევნა. როგორც თავად აღიარა, ერიკი მონაწილეობდა ერთ ძალადობრივ ინციდენტში, რომლის შედეგადაც ორი ადამიანი გარდაიცვალა და სამი მძიმედ დაშავდა. აქედან გამომდინარე, გამართლებული იქნება, თუ რედლანდიის ხელისუფლება მისი დაკავებისა და დაპატიმრების ბრძანებას გასცემს და ჩადენილი ქმედებისთვის გაასამართლებს.</p> <p>თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს საფუძვლიანი ალბათობა, რომ რედლანდიაში ერიკის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება წამებისა თუ შესაძლო გაუჩინარების გამო. აღნიშნული აშკარად უტოლდება დევნას.</p>
დ	1951 წლის კონვენციისეული საფუძვლები	დიახ. ერიკს დევნის საფუძვლიანი შიში აქვს, რომელიც მის პოლიტიკურ შეხედულებას უკავშირდება.
დაკმაყოფილებულია თუ არა დამდგენი პირობები?		დიახ
II წამოიჭრება თუ არა გამორიცხვის საკითხი მოცემულ საქმეში?		დიახ (იხილეთ კომენტარი ქვემოთ, საფეხური I)
თუ ეს ასეა, 1951 წლის კონვენციის რომელი დებულება იქნება მნიშვნელოვანი?		1951 წლის კონვენციის 1F მუხლი.
ჩამოთვალეთ გამორიცხვის განხილვის საფეხურები და მიუთითეთ, რომელი საკითხები უნდა იქნას განხილული თითოეულ მათგანზე:		

<p>საფეხური 1</p>	<p>დადგა თუ არა გამორიცხვის საკითხი?</p>	<p>დიახ. გამორიცხვის საკითხი წამოსწია ერიკის განცხადებამ იმის შესახებ, რომ პირადად იყო ჩართული ძალადობრივ ინციდენტში, რომლის შედეგადაც ორი ადამიანი გარდაიცვალა და სამი მძიმედ დაშავდა; ასევე, საყურადღებო იყო იმ ორგანიზაციის წევრობა, რომელიც ახორციელებდა ძალადობრივ აქტებს; ყოველივე ამას შესაძლოა მოჰყვეს გამორიცხვა. აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ერიკს შესაძლებელია ჩაედინა ისეთი ქმედებები, რომლებსაც ითვალისწინებს 1F მუხლი. შესაბამისად, აუცილებელია, გამორიცხვის საკითხის განხილვა.</p>
<p>საფეხური 2</p>	<p>დასტურდება თუ არა, რომ განმცხადებელს კავშირი ჰქონდა 1F მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებთან?</p>	<p>დიახ. განმცხადებლის მონაწილეობამ გადატვირთულ ქუჩაზე სამხედრო მანქანის აფეთქებაში, რის შედეგადაც გარდაიცვალა ორი მშვიდობიანი მოქალაქე, შესაძლოა მოცემულ საქმეში გამოიწვიოს გამორიცხვა. აღნიშნული ინციდენტი განხილულ უნდა იქნას 1F მუხლის შესაბამისი დებულების ჭრილში. საქმეში არ არსებობს მინიშნება იმის შესახებ, რომ მოცემული ინციდენტი შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოხდა. შესაბამისად, 1F(ა) მუხლი – სამხედრო დანაშაული, არ გამოგვადგება. ასევე, არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, არ გამოიყენება 1F(ა) მუხლში ჩამოთვლილი სხვა კატეგორიები: დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ; დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ. აღნიშნული ეხება 1F(გ) მუხლსაც - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებები - ვინაიდან არ არსებობს მინიშნება იმის შესახებ, რომ განსახილველმა ქმედებამ გავლენა იქონია საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე.</p>

		<p>დასადგენია, ექცევა თუ არა განსახილველი ქმედება 1F(ბ) მუხლის მოქმედების არემო, კერძოდ, არის თუ არა ის:</p> <p>მძიმე: ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების შედეგად ორი ადამიანის სიკვდილი და სამის ჯანმრთელობის მძიმედ დაზიანება იურისდიქციათა უმეტესობაში, თუ ყველაში არა, მიჩნეულია მძიმე დანაშაულად.</p> <p>არაპოლიტიკური ხასიათის: ჩანს, რომ ჩადენილ ქმედებებს არ გააჩნდა პოლიტიკური მოტივაცია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს აშკარა და პირდაპირი კავშირი დანაშაულს, მის სავარაუდო პოლიტიკურ მიზანსა და გამოყენებულ მეთოდებს შორის (ნაღმის აფეთქება დედაქალაქში ქმნიდა განურჩეველი ზიანის მიყენების საფრთხეს და შეიწირა კიდევაც ორი გამგლეელი), მოცემულმა ქმედებებმა ვერ დააკმაყოფილეს 1F(ბ) მუხლით დაწესებული უპირატესობისა და პროპორციულობის ტესტის მოთხოვნა, რათა დანაშაული მიჩნეული ყოფილიყო პოლიტიკურად. ასევე, დაკმაყოფილებულია აღნიშნული დებულების ორი დამატებითი პირობა (ჩადენილია თავშესაფრის მიმცემი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მანამ, სანამ პირი ამ ქვეყანაში ლტოლვილად იქნებოდა მიღებული).</p> <p>მაშასადამე, ორი მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობა და სამი ჯარისკაცისთვის მძიმე ზიანის მიყენება 1F(ბ) მუხლის მიხედვით არის არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული.</p>
--	--	--

<p>საფეხური 3</p>	<p>ეკისრება თუ არა განმცხადებელს პირადი პასუხისმგებლობა განსახილველი ქმედებისთვის?</p>	<p>დიახ. როგორც ჩანს, საკუთარი ქმედებით ერიკმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორი მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობასა და სამი ჯარისკაცისთვის სერიოზული ზიანის მიყენებაში; ასევე, დგინდება, რომ ის აცნობიერებდა, რომ მის ქმედებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა დანაშაულის ჩადენაზე. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ მას ეკისრება ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დახმარებისა თუ წაქეზების გამო. საქმის მასალებში არ ფიგურირებს იმგვარი ფაქტი, რომელიც გამორიცხავდა ერიკის პიროვნულ პასუხისმგებლობას (მაგ.: გონებრივი უუნარობა ან გამამართლებელი გარემოება), თუმცა თავშესაფრის მიმნიჭებელმა ორგანომ მაინც უნდა გამოიკვლოს მსგავსი ფაქტორების არსებობის შესაძლებლობა.</p>
<p>საფეხური 4</p>	<p>პროპორციულობის შეფასება</p>	<p>ის ქმედება, რომლის ჩადენისთვისაც ეკისრება ერიკს პასუხისმგებლობა, მძიმე დანაშაულია. გლუკ-ის განმარტებით ბარათში გამორიცხვის შესახებ (§78) აღნიშნულია, რომ თუ პირმა განზრახ ქმედებამ გამოიწვია მოქალაქეების სიკვდილი ან მძიმე ზიანი მიაყენა მათ მთავრობისა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, პროპორციულობის პრინციპის მის სასარგებლოდ გამოყენება არ მოხდება.</p>
<p>გამოყენება თუ არა 1951 წლის კონვენციის გამომრიცხავი დებულება?</p>		<p>დიახ, თუმცა ბლულანდიამ მოახდინა ადამიანის უფლებათა რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიცირება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერიკს არ ეკუთვნის ლტოლვილის სტატუსი, აღნიშნული დოკუმენტებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის თანახმად, იგი მაინც სარგებლობს დაცვით, არ დააბრუნონ იქ, სადაც წამება ემუქრება.</p>

თავი 4

ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა



ძირითადი მიზნები

გაიგოთ, რაში მდგომარეობს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის არსი

შეისწავლოთ ის გარემოებები, რომელთაც შესაძლოა მოჰყვეს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა

გააცნობიეროთ, თუ რა კავშირი აქვს შეწყვეტას ლტოლვილის სტატუსის დადგენასთან

მოცემულ თავში აღწერილია ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლოა პირს შეუწყდეს ლტოლვილის სტატუსი განზრახ ჩადენილი ქმედების ან მისი წარმოშობის ქვეყანაში მდგომარეობის საფუძვლიანი ცვლილების გამო.

4.1 შესავალი

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსი დროებითი მდგომარეობაა. როგორც კი ლტოლვილს გაუჩნდება შესაძლებლობა დაბრუნდეს და ხელახლა დამკვიდრდეს წარმოშობისა თუ ბინადრობის ქვეყანაში ან მოიპოვოს სრული დაცვა როგორც ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქემ, საერთაშორისო დაცვა აღარ არის გამართლებული ან აუცილებელი. თუ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თავშესაფრის ქვეყანამ ან გლუკ-მა უნდა გადაწყვიტოს, პირს შეუწყდება თუ არა ლტოლვილის სტატუსი. ის გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც დასაშვებია მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, ამომწურავად არის ჩამოთვლილი 1951 წლის კონვენციის 1C მუხლის ე.წ. „შეწყვეტის დებულებებში“. მსგავსი შეწყვეტის დებულებები მოცემულია 1950 წლის სტატუტის მე-6 A პარაგრაფშიც.

ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა მოითხოვს ფორმალურ გადაწყვეტას. ის გამოიხატება ლტოლვილის სტატუსის დაკარგვაში. იმის გათვალისწინებით, თუ რა სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს პირისთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტას, განსაკუთრებით კი 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში მოცემული *გაძევებისგან* დაცვის (იხ.: ზემოთ 1.6.1) მიღმა დარჩენა, მის ამოქმედებამდე ზედმიწევნით უნდა იქნას შეფასებული, დაკმაყოფილებულია თუ არა ყველა სათანადო კრიტერიუმი. უნდა მოხდეს შეწყვეტის დებულებების ვიწრო განმარტება, ასევე დაცული უნდა იყოს სათანადო პროცედურები იმის ჩათვლით, რომ პირს ჰქონდეს შეწყვეტის დებულების გამოყენების მიზანშეწონილობის ეჭვქვეშ დაყენების საშუალება.

4.2 გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა

1951 წლის კონვენციის 1C მუხლის შეწყვეტის დებულებები მოიცავენ ორი ტიპის სიტუაციას.

4.2.1 პირის კონკრეტულ ქმედებებზე დაფუძნებული შეწყვეტა

საერთაშორისო დაცვის საჭიროება შეიძლება ამოიწუროს, თუ ლტოლვილის განზრახ ქმედებამ გამოიწვია ისეთი ცვლილებები მის პირად მდგომარეობაში, რომ ის აღარ საჭიროებს საერთაშორისო დაცვას როგორც ლტოლვილი. მსგავსი გარემოებები ამომწურავად არის ჩამოყალიბებული 1C (1–4) მუხლში, რომელშიც ნათქვამია, რომ 1951 წლის კონვენცია აღარ ვრცელდება ლტოლვილზე, თუ

- “(1) მან კვლავ ისარგებლა ნებაყოფლობით თავისი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით; ან*
- (2) დაკარგა რა მოქალაქეობა, კვლავ ნებაყოფლობით შეიძინა იგი; ან*
- (3) მოიპოვა ახალი მოქალაქეობა და სარგებლობს თავისი ახალი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით; ან*
- (4) ნებაყოფლობით კვლავ დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც მან დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც იგი იმყოფებოდა დევნის შიშის გამო.”*

ასეთი სახის სტატუსის შეწყვეტის დებულებები გამოიყენება ინდივიდუალურ საფუძველზე. დამატებითი ინფორმაცია 1C(1–4) მუხლში გათვალისწინებული შეწყვეტის კრიტერიუმების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ გლუკ-ის სახელმძღვანელოში, §§ 111–134, ისევე როგორც 1999 წლის 26 აპრილის გლუკ-ის გამოცემაში: *შეწყვეტის დებულებები: მათი გამოყენების სახელმძღვანელო*.

4.2.2 გარემოებების არსებით ცვლილებაზე დამყარებული შეწყვეტა

1951 წლის კონვენციის 1C(5) და (6) მუხლის მიხედვით პირს შეუწყდება ლტოლვილის სტატუსი, თუ

(5) *“მან უარი ვეღარ თქვა მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე, რამდენადაც გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც იგი ლტოლვილად იყო ცნობილი, აღარ არსებობს;*

ამ პუნქტის დებულებები არ ვრცელდება იმ ლტოლვილებზე, რომლებიც ექცევიან ამავე მუხლის A(I) პუნქტის ზემოქმედების ქვეშ, თუ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ საფუძველიანი მიზეზი თავიანთი მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობაზე უარის სათქმელად ადრინდელი დევნიდან გამომდინარე.

(6) *პირს, როგორც მოქალაქეობის არმქონეს, შეუძლია დაბრუნდეს თავის ადრინდელი ბინადრობის ქვეყანაში, რადგან გარემოებანი, რომელთა საფუძველზეც იგი ლტოლვილად ცნეს, აღარ არსებობს.*

ამ პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ ლტოლვილთა მიმართ, რომლებიც ექცევიან ამავე მუხლის A (I) პუნქტის ზემოქმედების ქვეშ, თუ მათ შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთ ადრინდელი ბინადრობის ქვეყანაში დაბრუნებაზე უარის სათქმელად საფუძველიანი მიზეზი ადრინდელი დევნიდან გამომდინარე.

ასეთი სახის შეწყვეტის დებულებები გამოიყენება, თუ წარმოშობის ან ადრინდელი ბინადრობის ქვეყანაში არსებული ობიექტური გარემოებები არსებითად, მყარად და ხანგრძლივი დროით შეიცვალა. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს დევნის შიშის გამომწვევ მიზეზებზე, რომლებიც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას დაედო საფუძველად. 1C(5) და (6) მუხლებს, როგორც წესი, „შეწყვეტილი გარემოებების“ დებულებებს უწოდებენ.

ორივე დებულება ითვალისწინებს გამონაკლისს, რომელიც საშუალებას აძლევს ლტოლვილს, წარმოადგინოს „საფუძველიანი მიზეზი ადრინდელი დევნიდან გამომდინარე“, თუ რატომ არ სურს მას

ისარგებლოს დაცვით წარმოშობის ქვეყანაში, სადაც არსებული სპეციფიკური გარემოებების გამო მის მიმართ კვლავ საჭიროა და გამართლებულია საერთაშორისო დაცვის რეჟიმის მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი სიტუაცია ისე შეიცვალა, რომ ლტოლვილის სტატუსი აღარ არის აუცილებელი.

გლუკ-ის 1950 წლის სტატუსის შეწყვეტის დებულებები არ ითვალისწინებენ „საფუძვლიანი მიზეზის“ გამონაკლისს, თუმცა აღნიშნული გამონაკლისი ასახავს იმ ზოგად ჰუმანიტარულ პრინციპს, რომლის თანახმადაც არ უნდა მოხდეს პირის რეპატრიაცია, თუ მისი ან მისი ოჯახის მიმართ გამოყენებული იყო დევნის სასტიკი ფორმები.

წარმოშობის ან ყოფილი ბინადრობის ქვეყანაში გარემოებათა საფუძვლიანი ცვლილებების გამო სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას ინდივიდუალურ საფუძველზე, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება „შეწყვეტილი გარემოებების“ დებულებები, გადაწყვეტილების მიღება ხდება ჯგუფურ საფუძველზე „სტატუსის საყოველთაო შეწყვეტის“ გამოცხადებით. გარემოებათა ისეთი ცვლილების შემთხვევაშიც კი, როცა ლტოლვილის სტატუსის საჭიროება აღარ არსებობს, ყველა ლტოლვილს, რომლებზეც ეს დებულება გავრცელდა, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოთხოვნისთანავე გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილების მის მიმართ ამოქმედება იმ მიზეზით, რომ მას კვლავ აქვს დევნის საფუძვლიანი შიში მოცემულ ქვეყანაში ან თუ ამ კონკრეტული საქმის მიმართ გამოიყენება „საფუძვლიანი მიზეზის“ გამონაკლისი. გარდა ამისა, შესაძლოა არსებობდეს ისეთი შემთხვევებიც, როცა სტატუსის საყოველთაო შეწყვეტა არ უნდა გავრცელდეს ცალკეულ ჯგუფებზე, რადგან მათ კვლავ ემუქრებათ დევნის საშიშროება.

მითითებები „შეწყვეტილი გარემოებების“ დებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით, ცალკეული პირების მიმართ „საფუძვლიანი მიზეზის“ გამონაკლისის გამოყენების ჩათვლით, შეგიძლიათ იხილოთ 2003 წლის 10 თებერვალს გლუკ-ის მიერ გამოცემულ საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელოში: *ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა ლტოლვილთა*

სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1C(5) და (6) მუხლის მიხედვით („შეწყვეტილი გარემოებების“ დებულებები).

4.3 შეწყვეტა და ლტოლვილის სტატუსის დადგენა

შეწყვეტა არ არის ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის შემადგენელი ნაწილი. 1951 წლის კონვენციის 1C მუხლი შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც აღიარებულია ლტოლვილად. იგი არ არის გამომრიცხავი დებულება და არ გამოიყენება დადგენის საფეხურზე, როდესაც პირველ რიგში უნდა გაირკვეს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლით გათვალისწინებულ დამდგენ პირობებს და შემდგომ, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, ვრცელდება თუ არა პირზე 1951 წლის კონვენციის 1D, 1E და 1F მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე გამომრიცხავი დებულება.

თუმცა, თავშესაფრის მაძიებელთა იმგვარმა ქმედებებმა, რომლებსაც შესაძლოა მოჰყოლოდა სტატუსის შეწყვეტა ისინი ლტოლვილები რომ ყოფილიყვნენ, შეიძლება იქონიოს გავლენა იმის დადგენაზე, ეკუთვნით თუ არა მათ საერთაშორისო დაცვა. მაგალითად, ხშირმა გამგზავრებამ იმ ქვეყანაში, რომელშიც პირის თქმით მას გააჩნია დევნის საფუძვლიანი შიში, შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ამ განაცხადის სანდოობა და/ან დევნის შიშის საფუძვლიანობა. ასევე, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი იღებს ან აახლებს წარმოშობის ქვეყნის პასპორტს, ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ პირი არ არის წინააღმდეგი და, რაც მთავარია, მას აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს აღნიშნული ქვეყნის დაცვით (იხ.: ზემოთ 2.2.5).

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საყოველთაო შეწყვეტის გამოცხადებას არ შეიძლება მოჰყვეს შეზღუდვა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებზე არც გამოცხადების დროს და არც მის შემდეგ; მსგავსი გამოცხადება ასევე არ უნდა იქნას გამოყენებული ქვეყნის „უსაფრთხოდ“ განსაზღვრისათვის ლტოლვილის სტატუსის დადგენის მიზნებიდან გამომდინარე („წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნის“ ცნებასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ 5.3.1.1). მაშინაც კი, როცა საყოველთაო შეწყვეტა

გამოცხადდება კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებით, ეს არ ართმევს საშუალებას ინდივიდებს, რომელთაც დატოვეს აღნიშნული ქვეყანა, შეიტანონ განაცხადი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით; ის განსაკუთრებული გარემოებები, რომელშიც ისინი იმყოფებიან, შეიძლება ქმნიდეს საფუძველს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვისთვის მიუხედავად ქვეყანაში მდგომარეობის შეცვლისა, რასაც მოჰყვა სტატუსის საყოველთაო შეწყვეტა. მსგავსი შემთხვევა შეიძლება აღინიშნოს, როდესაც პირს გააჩნია საფუძვლიანი შიში დევნისა კერძო პირის ან ჯგუფის მხრიდან, რომელსაც ხელისუფლება არ ან ვერ აკონტროლებს (მაგ.: ქალები, რომლებიც აღმოჩნდებიან ოჯახური ძალადობის საფრთხის წინაშე, რომელიც უტოლდება დევნას ან სასქესო ორგანოების დამახინჯების ალბათობას).

4.4 როგორ განვასხვაოთ ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა ჩამორთმევისა და გაუქმებისაგან

ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა გულისხმობს იმას, რომ სტატუსი პირისა, რომელიც სათანადო წესის დაცვით იყო აღიარებული ლტოლვილად, წყდება 1951 წლის კონვენციის 1C მუხლით გათვალისწინებული შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძვლის გამო. *შეწყვეტა* განსხვავდება ლტოლვილის სტატუსის *გაუქმებისაგან*, რომელიც არის გადაწყვეტილება ლტოლვილის სტატუსის ბათილად ცნობის შესახებ, როცა თავიდანვე არ უნდა მომხდარიყო აღნიშნული სტატუსის მინიჭება. გაუქმება მისაღებია, თუ სათანადო პროცედურების დაცვით გაირკვევა, რომ პირი არ აკმაყოფილებდა დამდგენ კრიტერიუმებს ან ექცეოდა გამომრიცხავი დებულების მოქმედების ქვეშ.

შეწყვეტა და *გაუქმება* უნდა განვასხვაოთ *ჩამორთმევისაგან*, რომელიც გულისხმობს ლტოლვილის სტატუსის მოხსნას იმ პირისათვის, რომელიც სათანადო წესის დაცვით იყო აღიარებული ლტოლვილად, მაგრამ რომლის მიერ ლტოლვილად აღიარების შემდგომ ჩადენილი ქმედება ექცევა 1951 წლის კონვენციის 1F(ა) ან (გ) მუხლის მოქმედების ფარგლებში.

მოკლე მიმოხილვა

შეწყვეტა

- შეწყვეტა გულისხმობს ფორმალურ გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე იმ მიზეზით, რომ სტატუსი აღარ არის საჭირო ან გაუმართლებელია.
- გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დასაშვებია მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, ამომწურავად არის ჩამოთვლილი 1951 წლის კონვენციის 1C მუხლში.
- შეწყვეტა ნიშნავს ლტოლვილის სტატუსის და მისგან გამომდინარე უფლებების დაკარგვას (ისეთი უფლების ჩათვლით, როგორც არის დაცვა *გაძევებისაგან*, რომელიც განმტკიცებულია 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლითა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით).
- შეწყვეტა შეიძლება გამოცხადდეს თავშესაფრის ქვეყნის ან გლუკ-ის მიერ ინდივიდუალურ საფუძველზე ან ლტოლვილთა კონკრეტული ჯგუფის მიმართ („საყოველთაო შეწყვეტა“).
- აუცილებელია სათანადო პროცედურების დაცვა, განსაკუთრებით კი იმის უზრუნველყოფა, რომ პირს ჰქონდეს მის მიმართ ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

1951 წლის კონვენციით დადგენილი შეწყვეტის საფუძვლები

შეწყვეტა, რომელიც ეფუძნება პირის კონკრეტულ ქმედებებს

- 1951 წლის 1C (1-4) მუხლი ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის შესაძლებლობას, თუ ლტოლვილის განზრახმა ქმედებებმა ისე შეცვალეს მისი პირადი მდგომარეობა, რომ აღარ საჭიროებს საერთაშორისო დაცვას როგორც ლტოლვილი. ასეთი ქმედებებია:
 1. მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობის ნებაყოფლობით დაბრუნება;
 2. მოქალაქეობის კვლავ ნებაყოფლობით შექენა;
 3. ახალი მოქალაქეობის შექენა და მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობა;
 4. კვლავ ნებაყოფლობით დამკვიდრება იმ ქვეყანაში, რომელიც თავის დროზე დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც იგი იმყოფებოდა დენის შიშის გამო.

შეწყვეტა, რომელიც ეფუძნება გარემოებების არსებით ცვლილებას

- 1951 კონვენციის 1C(5) და (6) მუხლის, ე.წ. „შეწყვეტილი გარემოებების“ დებულებების მიხედვით, პირს შეუწყდება ლტოლვილის სტატუსი, თუ აღარ არსებობს ის გარემოები, რომელთა გამოც ის ლტოლვილად იქნა აღიარებული.
- ასეთი სახის შეწყვეტის დებულებები გამოიყენება, თუ წარმოშობის ან ადრინდელი ბინადრობის ქვეყანაში არსებული ობიექტური გარემოებები არსებითად, მყარად და ხანგრძლივი დროით შეიცვალა.
- 1C(5) და (6) მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისს, რომელიც საშუალებას აძლევს ლტოლვილს, „წარმოადგინოს საფუძველიანი მიზეზი ადრინდელი დევნიდან გამომდინარე“ წარმოშობის ან ადრინდელი ბინადრობის ქვეყნის დაცვის გამოყენებაზე უარის სათქმელად, თუ ეს გამართლებულია საქმის კონკრეტული გარემოებებით.

შეწყვეტა და ლტოლვილის სტატუსის დადგენა

- შეწყვეტა არ არის ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის შემადგენელი ნაწილი. 1951 წლის კონვენციის 1C მუხლით დადგენილი კრიტერიუმები არ გამოიყენება დადგენის საფეხურზე.
- საყოველთაო შეწყვეტის გამოცხადებას არ შეიძლება მოჰყვეს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის მიღებაზე შეზღუდვა; ასევე, მსგავსი გადაწყვეტილება არ უნდა იყოს საფუძველი ლტოლვილის სტატუსის დადგენის მიზნით ამა თუ იმ ქვეყნის „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად“ მიჩნევისათვის.

ძირითადი საკითხავი

გლუკ-ი, ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები და კრიტერიუმები (1979, მეორე რედაქცია 1992), §§ 118–139;

გლუკ-ი, შეწყვეტის დებულებები: მათი გამოყენების სახელმძღვანელო, 1999 წლის 26 აპრილი;

გლუკ-ი, საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო: ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის IC(5) და (6) მუხლის მიხედვით („შეწყვეტილი გარემოებების” დებულებები), 2003 წლის 10 თებერვალი (HCR/GIP/03/03);

თავი 4 – სავარჯიშოები

მიმოხილვა:

1. თუ მიმღები ქვეყანა ან გლუკ-ი პირს აღიარებს ლტოლვილად, ეს სტატუსი ძალაში რჩება სიცოცხლის ბოლომდე იმისდა მიუხედავად, თუ როგორ განვითარდება მოვლენები წარმოშობის ქვეყანაში. ეს დებულება **სწორია თუ მცდარი? დაასაბუთეთ.**
2. გამოირკვა, რომ პირს, რომელსაც მიმღები სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა მიანიჭეს ლტოლვილის სტატუსი ოთხი თვის წინ, შესაძლოა იმ დროსათვის არ ჰქონოდა დევნის საფუძვლიანი შიში. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოებმა უნდა (შემოხაზეთ **სწორი პასუხი**)
 - ა გამოიყენონ გამომრიცხავი დებულება;
 - ბ განიხილონ, ხომ არ არსებობს სათანადო საფუძველი სტატუსის გაუქმების პროცედურების წამოსაწყებად;
 - გ წამოიწიონ შეწყვეტის პროცედურები;
 - დ ბათილად გამოაცხადონ პირველადი გადაწყვეტილება შემდგომი პროცედურების წამოწყების გარეშე;
3. ლტოლვილი ერთი დღით გაემგზავრა წარმოშობის ქვეყანაში, რათა მოენახულებინა დეიდა და თან გაერკვია, კვლავ სახიფათოა თუ არა დაბრუნება მისთვის. მიზანშეწონილია თუ არა, ამის გამო დავიწყოთ მისთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის განხილვა? **დიახ თუ არა? დაასაბუთეთ.**

საქმე კ

ფატიმა მერიდიას მოქალაქეა. რვა წლის წინ ქვეყანაში ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი. ფატიმა დაახლოებით თვრამეტი თვის შემდეგ გაიქცა არკადიაში, სადაც 1951 წლის კონვენციის მიხედვით მას მიანიჭეს ლტოლვილის სტატუსი, რაკი ეროვნებასა და პოლიტიკურ შეხედულებასთან დაკავშირებული დევნის საფუძვლიანი შიში გააჩნდა. მას ჩასვლისთანავე გადასცეს დროებითი ბინადრობის მოწმობა, რომელიც ყოველწლიურად უნდა განახლებულიყო. ცოტა ხნის წინ, როდესაც ფატიმა ესტუმრა იმ დაწესებულებას, სადაც აახლებდა ხოლმე ბინადრობის მოწმობას, მას უთხრეს, რომ არკადიის თავშესაფრის ორგანოს ოფიცერი ჩაუტარებდა გასაუბრებას იმის დასადგენად, უნდა შეუწყდეს თუ არა მას ლტოლვილის სტატუსი.

სამი წლის წინ კონფლიქტი მერიდიაში დასრულდა სამშვიდობო შეთანხმებით, რომლის შემდეგაც ჩატარდა არჩევნები. ბოლო თვეების განმავლობაში არკადიის ხელისუფლება მოუწოდებდა მერიდიელ ლტოლვილებს სამშობლოში გამგზავრებისკენ და მათ ხელსაყრელ „რეპატრიაციის პაკეტს“ სთავაზობდა, რათა დახმარებოდა ამ პირებს დაბრუნებასა და სამშობლოში ხელახლა დამკვიდრებაში. ნაწილი ლტოლვილებისა დაბრუნდა, მაგრამ აღინიშნა ძალადობის ფაქტები. კერძოდ, მათ თავს დაესხნენ კონფლიქტის მონაწილე შეიარაღებული ჯგუფების ყოფილი წევრები.

ომის დროს ფატიმა მერიდიაში გააუპატიურეს ჯარისკაცებმა. ის დაფეხმძიმდა და აბორტი გაიკეთა. გასულ წელს მერიდიის ხელისუფლების ორგანოებმა გადასცეს მას პასპორტი და მოსთხოვეს რამდენიმე დღით დაბრუნება, რათა მოწმედ გამოსულიყო მერიდიაში არსებული კონფლიქტისას სამხედრო დანაშაულში ბრალდებული ყოფილი გენერლის წინააღმდეგ გამართულ სასამართლო პროცესზე. ფატიმას არ სურს მერიდიაში დაბრუნება.

თქვენი აზრით, ამართლებს თუ არა აღნიშნული გარემოებები ფატიმასთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტას? ჩამოთვალეთ 1951 წლის კონვენციის შესაბამისი დებულებები და განიხილეთ ის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია.

იქნებოდა თუ არა სასამართლოში ჩვენების მიცემის მიზნით ფატიმას მერიდიაში გამგზავრება მისთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი?

მეოთხე თავის საგარჯიშოების პასუხები

მიმოხილვა:

- 1 მცდარია ლტოლვილის სტატუსი არსებითად დროებითი ხასიათისაა – გარკვეულ შემთხვევებში, რომლებიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი 1951 წლის კონვენციის 1C მუხლში, ლტოლვილის სტატუსი შესაძლოა შეწყდეს, თუკი ის აღარ არის საჭირო ან გამართლებული. ეს ყოველთვის მოითხოვს გარკვეულ ფორმალურ პროცედურას და შესაბამის პირებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, წარმოადგინონ მიზეზები, თუ რატომ არ უნდა ამოქმედდეს სტატუსის შეწყვეტა მათ კონკრეტულ შემთხვევაში.

- 2 ბ თუ სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ლტოლვილის სტატუსის აღიარების, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების, მართებულობა, მიზანშეწონილი იქნება, თუ ხელისუფლების ორგანოები (ან გლუკ-ი, თუ სტატუსის მინიჭება მისი მანდატის ქვეშ მოხდა) გამოიკვლევენ, არსებობს თუ არა სათანადო საფუძველი პროცედურის წამოწყებისთვის ლტოლვილის სტატუსის შესაძლო გაუქმების მიზნით – ეს ნიშნავს სტატუსის ძალადაკარგულად გამოცხადებას მისი მინიჭების მომენტიდან (*ab initio*). აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ გაუქმება ყოველთვის მოითხოვს ფორმალური პროცედურის დაცვას, რომლის დროსაც ხელისუფლების ორგანოებს ან გლუკ-ს აკისრიათ პასუხისმგებლობა, წარმოადგინონ სტატუსის გაუქმების საფუძველები; პროცედურის დროს პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, იმსჯელოს და საკუთარი პოზიცია გამოხატოს იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველია.

- 3 არა მოკლევადიანი ვიზიტი წარმოშობის ქვეყანაში ოჯახთან დაკავშირებული საჭიროებიდან გამომდინარე ან სიტუაციის შეფასების მიზნით არ ქმნის საფუძველს პირისათვის ლტოლვილის სტატუსის გასაუქმებლად. ასეთი ვიზიტი არ გულისხმობს, რომ პირმა კვლავ ისარგებლა საკუთარი წარმოშობის ქვეყნის მფარველობით ან ხელახლა დამკვიდრდა იქ.

საქმე კ

<p>1. გამართლებულია თუ არა მოცემულ ვითარებაში ფატიმასთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა?</p>	
<p>მოცემულ საქმეში უსათუოდ უნდა განვიხილოთ, ამართლებს თუ არა წარმოშობის ქვეყანაში მომხდარი ცვლილებები „შეწყვეტილი გარემოებების“ დებულების გამოყენებას და თუ ეს ასეა, გააჩნია თუ არა ფატიმას საფუძვლიანი მიზეზები იმისათვის, რომ მან კვლავ ისარგებლოს ლტოლვილთათვის განკუთვნილი საერთაშორისო დაცვით.</p> <p>შემდგომ განსახილველი იქნება, მერიდიის ხელისუფლების ორგანოების მიერ პასპორტის გაცემა წარმოადგენს თუ არა შეწყვეტის საფუძველს.</p> <p>შესაბამისად, თქვენ უნდა განიხილოთ 1951 წლის კონვენციის შემდეგი დებულებების გამოყენება:</p>	
<p>1951 წლის კონვენციის IC(5) მუხლი</p>	<p>იმისათვის, რათა ამოქმედდეს შეწყვეტის დებულება, წარმოშობის ქვეყანაში მომხდარი ცვლილება უნდა იყოს ფუნდამენტური, მდგრადი და გრძელვადიანი და ამ ცვლილებას გავლენა უნდა ჰქონდეს გადაადგილების გამომწვევ მიზეზებზე, რომელმაც განაპირობა ლტოლვილის სტატუსის მინიჭება. ეს ყოველივე მოითხოვს სიტუაციის ზედმიწევნით გაანალიზებას, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან მიმართებით, რომლებშიც შეირადებული კონფლიქტი მოხდა.</p> <p>საქმეში არსებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ სიტუაცია მერიდიაში არ აკმაყოფილებს „შეწყვეტილი გარემოებების“ დებულების გამოყენებისთვის საჭირო პირობებს. მიუხედავად იმისა, რომ დაიღო სამშვიდობო შეთანხმება და ჩატარდა არჩევნები, ნებაყოფლობით დაბრუნებულ ლტოლვილთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები მიუთითებს, რომ ქვეყანა ჯერ არ დაბრუნებია მშვიდობიან და სტაბილურ მდგომარეობას.</p> <p>ეს ასეც რომ ყოფილიყო, ფატიმას შეეძლო მოეთხოვა „საფუძვლიანი მიზეზის“ გამონაკლისის გამოყენება თავის საქმესთან დაკავშირებით; იმ განსაკუთრებულად მძიმე სახის დევნის გამო, რომელიც მან განიცადა, არ იქნებოდა მიზანშეწონილი მისი დაბრუნება.</p> <p>დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ გლუკ-ის სახელმძღვანელო IC(5) და (6) მუხლების მიხედვით ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით</p>

<p>1951 წლის კონვენციის 1C(1) მუხლი</p>	<p>თუ ლტოლვილი მიიღებს თავისი წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების მიერ გაცემულ პასპორტს, ეს შესაძლოა იმაზე მიანიშნებდეს, რომ მას აღარ ეშინია დევნის და კვლავ სარგებლობს საკუთარი ქვეყნის დაცვით.</p> <p>თუმცა კონვენციის ამ მუხლის ფატიმას საქმესთან დაკავშირებით გამოყენებისთვის ქალს ნებაყოფლობით უნდა მოეთხოვა პასპორტი და განზრახული ჰქონოდა ესარგებლა მერიდიას ხელისუფლების ორგანოების დაცვით. რადგან ასე არ ყოფილა, მოცემულ საქმეში სტატუსის გაუქმება ამ ფაქტზე დაყრდნობით არ იქნება მიზანშეწონილი.</p> <p>დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: გლუკ-ი, <i>შეწყვეტის დებულებები: სახელმძღვანელო მათი გამოყენებისათვის</i> (აპრილი, 1999), §§ 6-11.</p>
<p>2 იმ შემთხვევაში, თუ ფატიმა გაემგზავრებოდა მერიდიაში სასამართლოსთვის ჩვენების მისაცემად, გამოიწვევდა თუ არა აღნიშნული ქმედება მისთვის ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტას?</p>	
<p>არა. ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, ფატიმას ვიზიტი მერიდიას სასამართლოში ჩვენების მისაცემად ვერ გახდება სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. არ იქნებოდა მიზანშეწონილი არც 1C(1) მუხლის –სტატუსის შეწყვეტა ნებაყოფლობით კვლავ მოქალაქეობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობის გამო (იხილეთ კომენტარები ზემოთ) - და არც 1C(4) მუხლის – წარმოშობის ქვეყანაში ნებაყოფლობით კვლავ დამკვიდრება - გამოყენება. ფატიმას რომ მიეღო ხელისუფლების ორგანოების მოწვევა და გამგზავრებულიყო მერიდიაში სასამართლოში გამოცხადების მიზნით, ის, სავარაუდოდ, ამ პერიოდში იქნებოდა სახელმწიფოს დაცვის ქვეშ, თუმცა ეს არ იქნებოდა იმის უცილობელი დასტური, რომ მას სურვილი აქვს ისარგებლოს წარმოშობის ქვეყნის მფარველობით ან კვლავ დამკვიდრდეს და იცხოვროს ამ ქვეყანაში.</p>	

თავი 5

ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები



ძირითადი მიზნები

გააცნობიეროთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ლტოლვილის სტატუსის დამდგენი სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურების ხელმისაწვდომობა

გაეცნოთ იმ ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება აღნიშნული პროცედურების დროს

შეიტყოთ, თუ რა პროცედურულ გარანტიებსა და ვალდებულებებს აწესებს ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი

მოცემულ თავში განხილულია ის პროცედურები, რომლებიც უნდა გატარდეს, როცა სახელმწიფო ადგენს, არის თუ არა პირი ლტოლვილი. თავში პირველ რიგში აღწერილია ის სამართლებრივი ჩარჩო და პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პროცედურებთან მიმართებით. შემდგომ განხილულია ის მოთხოვნები და გარანტიები, რომელთა დაცვაც აუცილებელია, როდესაც ხდება ლტოლვილის სტატუსის განხილვა ინდივიდუალურ საფუძველზე.

5.1 შესავალი

5.1.1 სამართლებრივი ჩარჩო

1951 წლის კონვენცია 1967 წლის ოქმთან ერთად განსაზღვრავს, თუ ვის ეკუთვნის ლტოლვილის სტატუსი და აწესებს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის ძირითად პრინციპებს, კერძოდ, *არგადევების* პრინციპს (იხ.: თავი 1.6.1), მაგრამ არ განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პროცედურებს. ყოველ სახელმწიფოში თავშესაფრის მოთხოვნათა განხილვის განსხვავებული სისტემა მოქმედებს, რაც ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ტრადიციებით, წყაროებითა და კონკრეტული გარემოებებითაა განპირობებული. აღიარებულია, რომ სამართლიანი და ეფექტური პროცედურები 1951 წლის კონვენციის გამოყენების სრული და ყოვლისმომცველი ძირითადი ელემენტია, როდესაც ინდივიდუალურ საფუძველზე ხდება ლტოლვილის სტატუსის დადგენა. ასეთი პროცედურების არარსებობის შემთხვევაში სახელმწიფოებს არ შეეძლება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებების ეფექტიანი შესრულება.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ ინსტრუმენტებში, ისევე როგორც გლუკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამის დასკვნებში, მოცემულია ის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფოებმა საკუთარი კანონმდებლობის მიხედვით თავშესაფრის ინდივიდუალური სისტემის შექმნისას. დაცული უნდა იყოს პროცედურების სამართლიანობის პრინციპიც.

ლტოლვილის სტატუსის დამდგენ პროცედურებს და მათ ეფექტიან ფუნქციონირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს: არასწორ გადაწყვეტილებას შეიძლება შეეწიროს ადამიანის სიცოცხლე ან თავისუფლება.

5.1.2 ძირითადი პრინციპები

მტკიცებულებათა სამართლის ზოგადი სამართლებრივი პრინციპის თანახმად, პირმა, რომელიც აყენებს მოთხოვნას, უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია მისი განაცხადის ნამდვილობის დასადაგენად. თუმცა, როცა საქმე ეხება თავშესაფარს, უნდა მოხდეს განმცხადებლის განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინება. უმეტეს შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებელს არ შეუძლია წარმოადგინოს დოკუმენტური თუ სხვა სახის მტკიცებულება მის მიერ ქვეყნიდან გამომგზავრების გარემოებებისა და განაცხადის ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, ფაქტების დადგენის პასუხისმგებლობა განაწილებულია განმცხადებელსა და გადაწყვეტილების მიმღებს შორის.

თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს სრული და სანდო ანგარიში იმ ფაქტებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი საქმისთვის. გადაწყვეტილების მიმღები უნდა იცნობდეს განმცხადებლის წარმოშობის ქვეყანაში არსებულ ობიექტურ სიტუაციას და ასევე საყოველთაოდ ცნობილ მნიშვნელოვან საკითხებს. მან უნდა მისცეს მიმართულება განმცხადებელს სათანადო ინფორმაციის მოწოდებისას მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით, რათა გამოიკვეთოს ყველა აუცილებელი ელემენტი, დაზუსტდეს ის საეჭვო ფაქტები, რომელთა გამყარებაც შესაძლებელია.

გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა შეაფასოს ნებისმიერი მტკიცებულების სარწმუნოობა და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ჩვენებების სანდოობა. სანდოობის დადგენა ხდება მაშინ, როდესაც განმცხადებელი წარადგენს მოთხოვნას, რომელიც არის თანმიმდევრული, სანდო, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების შესაბამისი და, აქედან გამომდინარე, სარწმუნო. ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება განმცხადებლის მიერ მის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების ნამდვილობის დადგენა შემფასებლის მიერ ჩატარებული

დამოუკიდებელი კვლევის შემდეგაც კი. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ მტკიცებულებებთან დაკავშირებით შესაძლოა დარჩეს ეჭვის ელემენტები, თუმცა ამან არ უნდა იქონიოს უარყოფითი გავლენა მოთხოვნაზე. თუ შემფასებელი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მონათხრობი მთლიანობაში არის თანმიმდევრული და სანდო, ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ გაქარწყლება.

თუ განმცხადებელმა არასწორად წარმოადგინა ან ვერ მოახერხა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების მოყვანა, ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა არ არის სანდო. ყალბი განცხადებები შესაძლოა აიხსნას შიშით, უნდობლობით, გადატანილი ტრავმის ზეგავლენითა და არასწორი თარგმანითაც კი. საქმის შემდგომი განხილვისას შეიძლება აიხსნას უზუსტობა ან სხვაგვარად შეფასდეს, როცა ცნობილი გახდება საქმის ყველა გარემოება. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ.: მე-2.2.2.2.2 ქვეთავი),

დევნის საფუძვლიანი შიშის დადგენისთვის აუცილებელი მტკიცების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭიროა არსებობდეს „გონივრული შესაძლებლობა“, რომ ზიანის მიღება ან გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნა, რისი შიშიც არსებობდა, ნამდვილად მოხდებოდა, თუ განმცხადებელი დაბრუნდება წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყანაში. 1951 წლის კონვენციის 1F მუხლით გათვალისწინებული გამორიცხვის განხილვისას მტკიცების მოთხოვნა აღნიშნულ მუხლში მოცემულ დებულებებთან დაკავშირებით გულისხმობს „ვარაუდის სერიოზული საფუძვლის“ არსებობას, რომელიც საჭიროებს სანდო და სარწმუნო ინფორმაციას (იხ.: მე-3.3.2 ქვეთავი).

5.2 სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურები

ნაწილი იმ მინიმალური მოთხოვნებისა, რომლის შესაბამისად უნდა ტარდებოდეს ლტოლვილის სტატუსის დამდგენი პროცედურები, ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალურად დადგენასთან მიმართებით განსაზღვრულია გლუკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მომზადებულ რიგ დასკვნებში, რომელთა ჩამონათვალსაც იხილავთ მოცემული თავის ბოლოს. ამა

თუ იმ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსის დამდგენი პროცედურები ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად უნდა შეიცავდეს იმ ძირითად ელემენტებს, რომლებიც აუცილებელია სამართლიანი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული საკითხები განხილულია შემდგომ ქვეთავებში.

5.2.1 თავშესაფრის მოთხოვნათა განხილვის სპეციალური პროცედურები

ლტოლვილის სტატუსის ყველა მოთხოვნის განხილვა უნდა მოხდეს სპეციალურად დადგენილი პროცედურების შესაბამისად

საერთაშორისო დაცვის პრინციპები მოითხოვს, რომ ქვეყნებმა დაწესონ სამართლიანი, არადისკრიმინაციული და თავშესაფრის მოთხოვნის ხასიათის შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული პროცედურები უნდა იძლეოდეს სრულყოფილი მოკვლევის საშუალებას ფაქტების დასადგენად და საქმის არსებით ნაწილთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. ხშირ შემთხვევაში იმ ადამიანთა განაცხადის შეფასება, რომლებიც ითხოვენ ლტოლვილის სტატუსს ან რაიმე სხვა ფორმის დაცვას, შესაძლოა იყოს საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის ყველაზე საიმედო და ეფექტიანი საშუალება.

5.2.2 თავშესაფრის მიმნიჭებელი სპეციალური ორგანო

ლტოლვილის სტატუსის ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ცენტრალური ხელისუფლების ერთი განსაზღვრული ორგანო.

თავშესაფრის მოთხოვნა წარმოშობს ისეთი საკითხების დადგენის აუცილებლობას, რომელიც საჭიროებს შესაბამის განათლებასა და ექსპერტიზის ჩატარების უნარს. ქვეყნებში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის თანახმად, უნდა არსებობდეს საგანგებო ორგანო, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა,

- განიხილოს თავშესაფრის მოთხოვნა და მიიღოს გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის დონეზე;

- მიიღოს გადაწყვეტილება შემოსვლაზე, როდესაც განაცხადი კეთდება აეროპორტში ან ნებისმიერ სხვა სასაზღვრო პუნქტში; და
- განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება დაშვების საკითხთან დაკავშირებით მაშინ, როცა გათვალისწინებულია დაშვების პროცედურები.

ლტოლვილის სტატუსის დადგენას უნდა ახორციელებდნენ ისეთი მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ სათანადო უნარ-ჩვევები და ლტოლვილებთან და თავშესაფართან დაკავშირებული საკითხების ცოდნა. შემფასებლებს უნდა ჰქონდეთ თარჯიმნებთან მუშაობის გამოცდილება და იცნობდნენ მრავალკულტურულ გარემოში გასაუბრების ჩატარების თავისებურებებს. ლტოლვილების საკითხებზე პასუხისმგებელმა ცენტრალურმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ ლტოლვილის სტატუსის დადგენაში მონაწილე თანამშრომლებს ჰქონდეთ სათანადო ცოდნა იმისა, თუ როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევებში, როდესაც განაცხადი წარდგენილია ქალის, თავშესაფრის მაძიებელი ბავშვის ან იმ პირის მიერ, რომელიც იქცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლად, რომელიც აწამეს ან სხვაგვარად დაითრგუნა.

თუ პირი საზღვარზე ითხოვს თავშესაფარს, მიგრაციის სამსახურის ან საზღვრის დაცვის თანამშრომლებმა უნდა დაარეგისტრირონ თავშესაფრის მოთხოვნის ფაქტი და გააცნონ განმცხადებელს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის პროცედურები. მათ უნდა გადააგზავნონ განაცხადი ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად თავშესაფრის სპეციალიზებულ ორგანოში, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს გასაუბრების ჩატარება განმცხადებელთან და შეაფასოს მისი მოთხოვნა. ანალოგიურად, სახელმწიფო სამსახურის ნებისმიერმა წარმომადგენელმა, რომლის წინაშეც განმცხადებელმა გამოხატეს თავშესაფრის მოთხოვნის სურვილი და/ან გლუკ-მა უნდა მოახდინოს მისი გადამისამართება თავშესაფრის სპეციალურ ორგანოში.

5.2.3 ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების ხელმისაწვდომობა

თავშესაფრის მაძიებელთათვის იმ ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობა, რომელშიც ითხოვენ თავშესაფარს და შემდგომში იმ პროცედურების ხელმისაწვდომობა, რომელთა მეშვეობითაც ფასდება მათ მიერ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის საფუძვლიანობა, წარმოადგენს ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის ძირითად წინაპირობას.

აღნიშნული პრინციპის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მუდამ აღნიშნავს როგორც გენერალური ასამბლეა, ასევე გლუკ-ის აღმასრულებელი კომიტეტი. მოცემული პრინციპი გამოიყენება იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აღმოჩნდა თავშესაფრის მაძიებელი ამა თუ იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. იმ ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობა, რომელშიც თავშესაფრის მაძიებელი იმედოვნებს ლტოლვილის სტატუსისა და საერთაშორისო დაცვის მოპოვებას და თავშესაფრის მინიჭების პროცედურებში მისი მოთხოვნის დაშვება ხშირად ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მრავალ ქვეყანაში შემოსვლის შესაძლებლობა დამოკიდებულია თავშესაფრის მოთხოვნის პირველად შეფასებაზე. როგორც წინამდებარე წიგნის პირველ თავში აღინიშნა, განმცხადებლის მხრიდან ლტოლვილად აღიარების სურვილის ნებისმიერი გამოხატულება მიღებულ უნდა იქნას როგორც თავშესაფრის განაცხადი და, შესაბამისად, შექმნას საფუძველი *არგაძეგების* რეჟიმის ასამოქმედებლად.

5.2.3.1 დაშვების პროცედურები

საუკეთესო შემთხვევაში, ნებისმიერი განმცხადებელი, რომელიც საზღვარზევე წარადგენს მოთხოვნას, უნდა შემოუშვან ქვეყნის ტერიტორიაზე და უზრუნველყონ იგი დარჩენის დროებითი უფლებით მანამ, სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, გააჩნია თუ არა მას პირადობის დამადასტურებელი თუ სამგზავრო დოკუმენტები. მრავალ ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი, ჯერ ტარდება პირველადი შეფასება თავშესაფრის მოთხოვნის დასაშვებობასა და/ან ქვეყნის ტერიტორიაზე

შემოშვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული პროცედურები არ ეწინააღმდეგება ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის პრინციპებს, თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს გარკვეული მოთხოვნებისა და შესაბამისი პროცედურების დაცვა.

უნდა არსებობდეს აშკარა განსხვავება დაშვებაზე უარის თქმას, რომელსაც ფორმალური სახე აქვს და იმ გადაწყვეტილებებს შორის, რომლებიც ეფუძნებიან საქმის არსებით განხილვას. საქმის არსებითი განხილვისას გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ლტოლვილის სტატუსის დადგენის არსებული პროცედურების თანახმად ან თუკი აუცილებლობა მოითხოვს, განხილვა ჩატარდეს დაჩქარებულ რეჟიმში (იხ.: 5.3.1). აღნიშნული განსხვავება უნდა აისახოს გადაწყვეტილების ტექსტშიც: ის განცხადებები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ დაშვების მოთხოვნას, უნდა მივიჩნიოთ როგორც „დაუშვებლად ცნობილი“ და არა როგორც „უარყოფილი დაუშვებლობის საფუძველზე“.

5.2.3.2 დაუშვებლობის საფუძველები

განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას ქვეყანაში შემოსვლაზე ან სტატუსის დადგენის პროცედურებში დაშვებაზე შემდეგი მიზეზების გამო:

- თუ მასზე უკვე ვრცელდება 1951 წლის კონვენციითა და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმი სხვა ქვეყანაში („თავშესაფრის პირველადი ქვეყანა“). აღნიშნული მიზეზი შეიძლება იქცეს განაცხადის დაუშვებლად ცნობის საფუძველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პირისათვის მოცემულ ქვეყანაში დაცვა რელურად შესაძლებელი და ხელმისაწვდომია. არ შეიძლება დაშვებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ განმცხადებელს სხვა ქვეყანაში შეეძლო დაცვის მიღება.
- თავშესაფრის მოთხოვნის საფუძველიანობის შეფასების პასუხისმგებლობა აკისრია მესამე ქვეყანას, რომელშიც თავშესაფრის მაძიებელი დაცული იქნება *გაძევებისგან* და ექნება თავშესაფრით სარგებლობის საშუალება

ადიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („უსაფრთხო მესამე ქვეყანა“).

ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყანაში შემოშვებასა ან დასაშვებობაზე გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია თავშესაფრის სპეციალური ორგანოს მიერ თავშესაფრის მაძიებლის მდგომარეობის ინდივიდუალური შეფასება.

მიღებაზე უარი დაუშვებელია, თუ განმცხადებელს ემუქრება *გაძევების* ან ადამიანის უფლებათა სხვა მძიმე დარღვევის საფრთხე და, მაშასადამე, არ არის დაცული თავშესაფრის პირველ ქვეყანაში და/ან თუ მესამე ქვეყანა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უსაფრთხოდ განმცხადებელთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე.

5.2.3.3 გარემოებები, რომელთა გამოც გაუმართლებელია დაშვებაზე უარის თქმა

პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტის არქონა არ შეიძლება გახდეს ქვეყანაში შემოშვების აკრძალვის ან თავშესაფრის პროცედურებზე დაუშვებლობის მიზეზი. სხვა გარემოები, რომელთაც არ უნდა მოჰყვეს თავშესაფრის მოთხოვნის დაუშვებლობა, მოიცავს ისეთ სიტუაციებს, როდესაც პირს ემუქრება დეპორტაცია ან გაძევება სხვა მიზეზით და იგი პირველად აკეთებს განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნით ან თუ განმცხადებელი, რომელსაც მანამდე უარი ეთქვა ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნაზე, წარადგენს განახლებულ განაცხადს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა განმცხადებელთან დაკავშირებული გარემოებებისა და სპეციფიკური სიტუაციის ინდივიდუალური შეფასება, თუმცა შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს მსგავსი განაცხადების დაჩქარებულ რეჟიმში განხილვა (იხ.: 5.3.1).

ფორმალური გარემოებები არ უნდა უშლიდეს ხელს თავშესაფრის მოთხოვნის უფლების განხორციელებას. კერძოდ, თუ განმცხადებელი ვერ მოახერხებს თავშესაფრის მოთხოვნის წარდგენას გარკვეული დროის მონაკვეთში, ამან თავისთავად არ უნდა გამოიწვიოს მოცემული მოთხოვნის განხილვის გამორიცხვა. იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული კანონმდებლობა აწესებს მოთხოვნას თავშესაფრის თაობაზე განაცხადის „უმაღლ“ და „გადაუდებლად“ წარდგენის შესახებ, ასეთი

მოთხოვნა მკაცრად არ უნდა იქნას განმარტებული. თუ დადგენილი წესის მიხედვით განმცხადებელმა პირადად უნდა წარადგინოს მოთხოვნა, მაშინ აუცილებელია არსებობდეს სათანადო დებულება, რომლის თანახმადაც შესაძლებელი იქნება მოთხოვნის წარდგენა შუამავლის მეშვეობით ან წერილობითი ფორმით, თუკი განმცხადებელს თავად არ შეუძლია ამის განხორციელება (მაგალითად, იმიტომ, რომ დაკავებულია).

5.2.4 ძირითადი პროცედურული მოთხოვნები

თავშესაფრის მაძიებლები საქმის მსვლელობის ნებისმიერ საფეხურზე სრულად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო პროცედურული გარანტიებით.

იმის გათვალისწინებით, რომ თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ამა თუ იმ პირის ფუნდამენტურ უფლებებზე და ასევე, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს არასწორ გადაწყვეტილებას, პროცედურული გარანტიები წარმოადგენს ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურის მნიშვნელოვან ელემენტს. ის ძირითადი გარანტიები, რომლებზეც განმცხადებელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს მთელი პროცესის მანძილზე, მოიცავს შემდეგს:

- პროცედურების ხასიათის, მისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის იმ ენაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც ესმის განმცხადებელს;
- გლუკ-თან და სხვა სააგენტოებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, იურისტები და სხვა) დაკავშირების შესაძლებლობა, რომლებსაც შეუძლიათ პროცედურებთან დაკავშირებით რჩევის მიცემა და/ან იურიდიული წარმომადგენლით უზრუნველყოფა. თავშესაფრის მაძიებელს ხელი უნდა მიუწვდებოდეს უფასო იურიდიულ დახმარებაზე, თუკი ეს საჭირო გახდება;
- საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური და მიუკერძოებელი თარჯიმნების დახმარება.

სხვა მნიშვნელოვანი გარანტიები განხილულია შემდგომ ქვეთავებში.

5.2.5 პირადი გასაუბრების ჩათვლით, თითოეული განაცხადის ინდივიდუალურად შეფასება

თავშესაფრის დადგენის პროცედურა უნდა სთავაზობდეს განმცხადებელს მისი მოთხოვნის ზედმიწევნით შეფასებას. აღნიშნული უნდა მოიცავდეს პირად გასაუბრებას გადაწყვეტილების მიმღებთან და საქმის დეტალების სრულად ახსნის, მასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების, ამასთან, წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას.

სადაც შესაძლებელია, თავშესაფრის მაძიებელს უნდა შეეძლოს პირადად წარადგინოს საკუთარი საქმე ლტოლვილის სტატუსის დადგენაში კომპეტენტური ორგანოს იმ თანამშრომლის წინაშე, რომელსაც სათანადო კვალიფიკაცია გააჩნია. პირადი ინტერვიუ უკიდურესად მნიშვნელოვანია იმ სირთულის გათვალისწინებით, რომელიც თან ახლავს სანდოობის შეფასებას მხოლოდ გასაუბრების მასალებზე ან ანგარიშზე დაყრდნობით. პირადი გასაუბრება საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებს, შეაფასოს განმცხადებლის ქმედებები და საქციელი და დაუსვას მას დამატებითი და დეტალური შეკითხვები. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური და მიუკერძოებელი თარჯიმნის დასწრება გასაუბრებაზე.

გენდერულ საფუძველზე განხორციელებულ დენასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს, თუკი არსებობს ამის შესაძლებლობა, გასაუბრება უნდა ჩატარდეს იმ სქესის წარმომადგენელი თანამშრომლებისა და თარჯიმნის მიერ, რომელსაც აირჩევს განმცხადებელი და მას უნდა ეცნობოს, რომ აქვს ასეთი მოთხოვნის წაყენების უფლება.

5.2.6 კონფიდენციალურობა

თავშესაფრის პროცედურების ნებისმიერ საფეხურზე დაცული უნდა იქნას თავშესაფრის მოთხოვნის ყველა ასპექტის კონფიდენციალურობა იმ ფაქტის ჩათვლით, რომ ასეთი განაცხადი გაკეთდა.

თავშესაფრის პროცედურების დროს განმცხადებლის მიერ ხელისუფლების ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და ხელისუფლების ორგანოების მიერ მხოლოდ იმ მიზნებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული, რისთვისაც მოხდა მისი გამოთხოვა, ანუ იმის დასადგენად, რამდენად ეკუთვნის პირს საერთაშორისო დაცვა. ზოგადი წესის თანახმად, არ უნდა მოხდეს ინფორმაციის გაზიარება განმცხადებლის წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებისთვის; დაუშვებელია ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე ქვეყნისთვისაც პირის თანხმობის გარეშე. განმცხადებელმა თანხმობა თავისუფლად უნდა გამოხატოს და არ შეიძლება მისი მოპოვება რაიმე სახის ზეწოლის შედეგად.

5.2.7 გადაწყვეტილება

ყველა განმცხადებელმა უნდა მიიღოს წერილობითი პასუხი როგორც დაშვებასთან, ასევე თვითონ მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობით. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ან დაუშვებლად იქნა ცნობილი, გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი მიზეზები. ასევე, უარყოფით გადაწყვეტილებაში შესაბამისი ვადების მითითებით აღნიშნული უნდა იყოს, რომ განმცხადებელს აქვს გასაჩივრების უფლება. თუ დაშვებაზე უარის თქმა განპირობებულია იმ მიზეზით, რომ „უსაფრთხო მესამე ქვეყანას“ აკისრია მოცემული განცხადების შეფასების პასუხისმგებლობა, დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ პირი არის თავშესაფრის მაძიებელი და რომ არ მომხდარა მისი საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა.

5.2.8 გასაჩივრება ან გადახედვა

ნებისმიერ პირს, რომლის განაცხადიც დაუშვებლად იქნა ცნობილი ან არ დაკმაყოფილდა განხილვის შემდეგ, აქვს უფლება ის გასაჩივროს ან მოითხოვოს, რომ გადაიხედოს იმ ორგანოს მიერ, რომელიც დამოუკიდებელია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების

მიმღებისგან; ასევე, პირს აქვს უფლება, დარჩეს ქვეყნის ტერიტორიაზე მანამ, სანამ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესი არ დასრულდება.

როგორც 5.2.7 ქვეთავშია აღნიშნული, უარყოფითი გადაწყვეტილება დაშვებასა თუ მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით უნდა იყოს არგუმენტირებული და შეიცავდეს ინფორმაციას, თუ როგორ შეუძლია განმცხადებელს გასაჩივრების ან საქმის ხელმეორედ გადახედვის უფლების განხორციელება. განმცხადებელს ამისათვის უნდა მიეცეს გონივრული ვადა. ორგანოს, რომელიც ჩართულია გასაჩივრების პროცესში, უფლება უნდა ჰქონდეს, საქმე სრულად გადასინჯოს, რაც გულისხმობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი კანონმდებლობის შესწავლას. გასაჩივრების პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს მოსმენის/გასაუბრების შესაძლებლობას, რადგან ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს გასაჩივრების ორგანოსთვის განმცხადებლის შესახებ პირადი წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ განმცხადებელს ჰქონდეს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის საშუალება.

გასაჩივრებისა თუ გადახედვის პროცედურები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი სისტემა არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში. თუ გადახედვას ახორციელებს იგივე ორგანო, რომელმაც მიიღო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, საჭიროა, რომ საქმის გადასინჯვაში სხვა პირები იყვნენ ჩართულნი. ზოგიერთ ქვეყანაში დაშვების ან პირველი ინსტანციის საფეხურზე უარყოფითი გადაწყვეტილებების გადახედვას ახორციელებენ სასამართლო ან კვაზი-სასამართლო ორგანოები, რომლებიც სპეციალურად თავშესაფრის პროცედურებთან დაკავშირებულ საჩივრებზე სამუშაოდ არიან შექმნილნი (მაგ.: ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული საქმეების სააპელაციო კომისიები, ტრიბუნალები ან საბჭოები) და რომლებიც, ერთი მხრივ, ფლობენ შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, არიან დამოუკიდებელნი, როგორც კვაზი-სასამართლო ორგანოები.

გასაჩივრება ან გადახედვა ეფექტიანი საშუალებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ განმცხადებლის, რომლის მოთხოვნა დაუშვებლად იქნა ცნობილი ან არ

დაკმაყოფილდა პირველი ინსტანციის ორგანოს მიერ, ქვეყნიდან გაყვანა გადაიდება მანამ, სანამ მოცემულ საჩივართან დაკავშირებით ძალაში არ შევა საბოლოო გადაწყვეტილება. ამ მიმართულებით დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, დაუშვებლობა ან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება - რომელსაც ხშირად თან ახლავს გაძევების შესახებ ბრძანება – განხორციელებადია მხოლოდ სააპელაციო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ ან საქმის შეფასების პასუხისმგებლობის საფუძველზე ისეთი შემთხვევების ჩათვლით, როდესაც საჩივარი განიხილება დაჩქარებულ პროცედურულ რეჟიმში (იხ.: 5.3.3).

5.3 სპეციალური პროცედურები

5.3.1 დაჩქარებული პროცედურები

თავშესაფრის გარკვეული სახის მოთხოვნების შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს დაჩქარებული პროცედურების გამოყენება. ეს ეხება ისეთ განაცხადებს, რომლებიც აშკარად საფუძვლიანია; ასევე, მოთხოვნებს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნას აშკარად დაუსაბუთებლად ან არაკეთილსინდისიერად.

5.3.1.1 აშკარად დაუსაბუთებელი მოთხოვნები

აშკარად დაუსაბუთებელი ისეთი მოთხოვნებია, რომლებიც არ უკავშირდება 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ ლტოლვილის სტატუსის მიკუთვნების კრიტერიუმებს ან თავშესაფრის მინიჭების ნებისმიერ სხვა კრიტერიუმს. არის თუ არა განაცხადი „აშკარად დაუსაბუთებელი“, დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ მითითებულ ქვეყნის დატოვების მიზეზებსა და ლტოლვილის განმარტებას შორის არსებული კავშირის ხარისხზე, თუმცა სხვადასხვა ფაქტორმა – უნდობლობამ, შიშმა ან თუნდაც თარგმანის ხარისხმა – შეიძლება თავშესაფრის მაძიებელს გაურთულოს იმ მიზეზების ნათლად და სრულყოფილად ახსნა, რომელთა გამოც დატოვა მან წარმოშობის ან ბინადრობის ქვეყანა.

იმ განცხადებებს შორის, რომლებიც ხშირად განიხილება, როგორც *აშკარად დაუსაბუთებელი*, არის განაცხადები ე.წ. „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნიდან“. მოსაზრება იმის შესახებ, რომ გარკვეული ქვეყნიდან

შემოსულ განმცხადებლებს, სავარაუდოდ, არ უნდა ჰქონდეთ დევნის საფუძვლიანი შიში, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პროცედურული საშუალება იმის დასადგენად, თუ რომელ განაცხადებს უნდა მიანიჭონ პრიორიტეტი და/ან განიხილონ დაჩქარებული პროცედურების რეჟიმში. ამა თუ იმ სახელმწიფოს „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად“ განსაზღვრამ შეიძლება ჩამოაყალიბოს მოსაზრება, რომ აღნიშნული ტერიტორიიდან წამოსული პირების განაცხადები არ არის საკმარისად საფუძვლიანი. თუმცა, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობისათვის აუცილებელია, რომ დაკმაყოფილებულ იქნას შემდეგი ორი კრიტერიუმი:

- ა კონკრეტული სახელმწიფოს შეფასება როგორც უსაფრთხო ქვეყნისა, უნდა ეფუძნებოდეს სარწმუნო, ობიექტურ და განახლებულ ინფორმაციას. თუ რომელიმე სახელმწიფო გადაწყვეტს წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების სიის შექმნას, ამ სიაში ქვეყნების დამატების ან გამოკლების პროცესი უნდა იყოს ტრანსპარენტული და პასუხობდეს წარმოშობის ქვეყნებში მიმდინარე გარემოებების ცვლილებებს.
- ბ აუცილებელია, რომ მოხდეს თითოეული საქმის არსებითად განხილვა, სრულყოფილად და ინდივიდუალურად. ნებისმიერ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გააქარწყლოს ვარაუდი წარმოშობის ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ პირადად მასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე და ხელი მიუწვდებოდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე, რომელიც გამოიხატება საქმის დამოუკიდებლად გადახედვაში.

5.3.1.2 ყალბი ან არაკეთილსინდისიერად გაკეთებული განაცხადი

ყალბი ან არაკეთილსინდისიერად გაკეთებული განაცხადი გულისხმობს იმ პირების მიერ გაკეთებულ განაცხადს, რომლებიც არ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას; ასევე, განაცხადები, როდესაც პირი თაღლითობს ან ცრუობს. სათანადო დოკუმენტების არარსებობა ან ყალბი დოკუმენტების გამოყენება თავისთავად არ განაპირობებს განაცხადის არასანდოობას ან სიყალბეს და როგორც ეს

მე-5.2.3 ქვეთავშია აღნიშნული, არ უნდა ქმნიდეს პროცედურების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის ერთადერთ საფუძველს. ნებისმიერი ვარაუდი მოთხოვნის სიყალბის თაობაზე უნდა იქნას გადასინჯული, რათა დადგინდეს მისი ნამდვილობა.

ზემოთ აღნიშნული ვითარება უნდა განვასხვაოთ იმ სიტუაციებისგან, როდესაც განმცხადებელი ნებაყოფლობით ანადგურებს ან მაღავეს სამგზავრო თუ სხვა სახის დოკუმენტებს იმ მიზეზით, რომელიც ფაქტობრივად არ არის დაკავშირებული თავშესაფრის მოთხოვნის არსთან, რათა უფრო გაართულოს განაცხადის განხილვის პროცესი ან თავი აარიდოს გაძევებას. ის პირები, რომლებიც უარს აცხადებენ თანამშრომლობაზე მათი ვინაობის დასადგენად და/ან არ სურთ წარმოადგინონ მათივე განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაცია მრავალჯერადი თხოვნის მიუხედავად, სერიოზულ ეჭვქვეშ დააყენებენ საკუთარ სანდობას.

5.3.13 პროცედურული გარანტიები და ჩვეულებრივი პროცედურების რეჟიმში გადასვლა

სამართლიანი პროცედურების მოთხოვნა სრულად ვრცელდება დაჩქარებულ პროცედურებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული საქმე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურ საფუძველზე და თავშესაფრის ცენტრალურმა ორგანომ უნდა ჩაუტაროს პირადი გასაუბრება განმცხადებელს. რაც შეეხება ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ განაცხადი არის აშკარად უსაფუძვლო ან წარდგენილია არაკეთილსინდისიერად, გამოტანილ უნდა იქნას აღნიშნული ორგანოს მიერ და უნდა არსებობდეს უარყოფითი პასუხის გადახედვის საშუალება განმცხადებლის ქვეყნიდან გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და გლუკ-ის, კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ იურისტის სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობა, რათა განმცხადებელი კარგად გაერკვეს შესაბამის პროცედურებში.

თუ მეტად მნიშვნელოვანი საკითხები წამოიჭრება დაჩქარებულ პროცედურის დროს, საქმის განხილვა

უნდა გაგრძელდეს ჩვეულებრივ პროცედურულ რეჟიმში. ეს, როგორც წესი, იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც წამოიჭრება შიდა გადაადგილების ალტერნატივის ან 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამოყენების საკითხი (იხ.: ზემოთ მე-2.2.5.2 ქვეთავი და, შესაბამისად, მე-3 თავი).

5.3.2 აეროპორტში ჩატარებული პროცედურები

ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრებული სპეციალური პროცედურების თანახმად, თავშესაფრის მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო აეროპორტში. აღნიშნული პროცედურის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ თავშესაფრის მოთხოვნის არსებით ნაწილთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია ქვეყანაში შემოშვებამდე და ამ პერიოდის განმავლობაში განმცხადებელი იმყოფება აეროპორტში ან მის სიახლოვეს გამოყოფილ სპეციალურ შენობაში.

როგორც თავშესაფრის მოთხოვნის ყველა სხვა შემთხვევაში, აეროპორტში ჩატარებული პროცედურების დროსაც თავშესაფრის ცენტრალური ორგანო უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას განმცხადებელთან პირადი გასაუბრების საფუძველზე. გარდა ამისა, ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო პრინციპების თანახმად, მსგავს პროცედურებს თან უნდა ახლდეს გარანტიები და იმ სახის მხარდაჭერა, რომელიც აუცილებელია თავშესაფრის ამა თუ იმ მაძიებლის კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. აღნიშნული გლუკ-თან დაკავშირების უფლებასთან ერთად მოიცავს იურიდიულ დახმარებას და კონსულტაციას სოციალურ საკითხებში.

ბევრ ქვეყანაში, რომელშიც გამოიყენება მსგავსი პროცედურები, დაწესებულია განსაზღვრული ვადა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება აეროპორტში წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით. თუ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა აღნიშნულ ვადაში, განმცხადებელი უნდა შემოუშვან ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი მოთხოვნა განიხილონ ჩვეულებრივ პროცედურულ რეჟიმში. სამართლიანობის პრინციპი ასევე მოითხოვს უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას, რომელსაც ექნება შეჩერების ეფექტი. როგორც წესი, განმცხადებელს მოეთხოვება აეროპორტში დარჩენა მანამ, სანამ ძალში არ

შევა საბოლოო გადაწყვეტილება საჩივართან დაკავშირებით.

5.3.3 გასაჩივრების დაჩქარებული პროცედურები

გასაჩივრების დაჩქარებული პროცედურები გამოიყენება მაშინ, როდესაც ფორმალური მიზეზების გამო განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი ან არ დაკმაყოფილდა დაჩქარებული ან აეროპორტში ჩატარებული სპეციალური პროცედურებისას. აღნიშნული შესაძლოა

გულისხმობდეს საჩივრის შეტანის და/ან სააპელაციო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემცირებულ ვადას; გადაწყვეტილების მიღებას ინდივიდუალური მსაჯულების მიერ პალატის ნაცვლად და/ან შემდგომი გასაჩივრების შეზღუდულ შესაძლებლობებს. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი მიჩნეულია აშკარად დაუსაბუთებლად ან ცალსახად ბოროტად გამოყენების მიზნით წარდგენილად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული გასაუბრება/მოსმენა სასურველია, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს გასაჩივრების დაჩქარებულ პროცედურასთან, აუცილებელია სწრაფად უზრუნველყოთ განმცხადებელი სამართლებრივი დახმარებით, თარჯიმნებით და მივაწოდოთ პროცედურების შესახებ ინფორმაცია, რათა მას კვლავ მიუწვდებოდეს ხელი სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე.

5.4 განსაკუთრებული ზომები

5.4.1 ლტოლვილი ქალები

თავშესაფრის ქალ მაძიებლებთან გასაუბრების ჩასატარებლად უნდა არსებობდნენ სპეციალურად მომზადებული მუშაკები. ქალთა დევნა ხშირად შეიძლება გამოიხატებოდეს გაუპატიურებასა ან სხვა სახის სექსუალურ ძალადობაში, რომლის შესახებაც მათ შესაძლოა არ სურდეთ საუბარი. ვინაიდან ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სახის დევნა განიცადა ადამიანმა, აუცილებელია ქალი გამსაუბრებლებისა და თარჯიმნების ხელმისაწვდომობა. აუცილებელია, რომ პირს, რომელიც შეისწავლის საქმეს, ესმოდეს, რომ რიგ

შემთხვევებში, სქესი შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს იმის დასადგენად, უტოლდება თუ არა ზიანის ან მოპყრობის კონკრეტული ფორმა დევნას (იხ.: მე-2.3.1 ქვეთავი). გადაწყვეტილების მიმღებებსა და თარჯიმნებს ხელთ უნდა ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია წარმოშობის ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის შესახებ.

5.4.2 განცალკევებული ან თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები

ბავშვთა კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით უფრო ადრეული ასაკი არ ითვლება სრულწლოვანებად.

- **განცალკევებული ბავშვები** ისეთი ბავშვები არიან, რომელთა განცალკევებაც მოხდა ორივე მშობლის ან წინა კანონიერი თუ სხვა წესით მიჩნეული პირველადი მზრუნველისგან, მაგრამ არა აუცილებლად სხვა ნათესავებისაგან. შესაბამისად, ამ კატეგორიაში შედიან ისეთი ბავშვები, რომელთაც თან ახლავთ ოჯახის ზრდასრული წევრები ან სხვა თანმხლებნი.
- **თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები** ისეთი ბავშვები არიან, რომელთა განცალკევებაც მოხდა ორივე მშობლის და სხვა ნათესავებისგან და მათზე არ ზრუნავს არცერთი ზრდასრული პირი, რომელსაც ეს კანონით თუ სხვა წესით ევალება.

თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების მიერ წარდგენილი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებთან მუშაობის სპეციალური პროცედურული გარანტიები ასახულია გლუკ-ის მიერ *თანმხლების გარეშე მყოფ, თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებთან დაკავშირებით შემუშავებული მიდგომებისა და პროცედურების სახელმძღვანელოში*. მოცემული სახელმძღვანელო, რომელიც გამოიცა 1997 წელს, ასევე გამოიყენება განცალკევებულ ბავშვებთან მიმართებით. მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილდეს თავშესაფრის ბავშვ მაძიებელთა დაცვის განსაკუთრებული საჭიროებები ლტოლვილის სტატუსის დადგენისას, მოცემულია *შიდა სახელმძღვანელო პრინციპებში განცალკევებული ან თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების შესახებ* (2004).

მოცემულ სახელმძღვანელოებში აღნიშნულია განხილვის

პროცესში ბავშვთა ექსპერტების მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგენენ ბავშვის გონებრივი განვითარებისა და მომწიფების დონეს. იდეალურ შემთხვევაში მოწვეული უნდა იყოს ბავშვის ფსიქოლოგიური, ემოციური და ფიზიკური განვითარებისა და ქცევის შესახებ სათანადო ცოდნის მქონე ექსპერტი იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვებმა შიში, შესაძლოა, ზრდასრული ადამიანისგან განსხვავებული ფორმით გამოხატონ. განცალკევებულ ან თანმხლების გარეშე მყოფ გოგონებს და ვაჟებს არ უნდა ეთქვათ უარი ქვეყანაში შემოსვლაზე და მათ მიერ წარდგენილი თავშესაფრის მოთხოვნების განხილვა უნდა მოხდეს ლტოლვილის სტატუსის დადგენის ჩვეულებრივ და არა დაჩქარებულ პროცედურულ რეჟიმში. ისეთი ცნება, როგორც არის „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყანა“, არ გამოიყენება ბავშვებთან მიმართებით.

ვინაიდან თავშესაფრის მაძიებელი ბავშვი არ არის სამართლებრივად დამოუკიდებელი, მას უნდა ჰყავდეს სრულწლოვანი წარმომადგენელი, რომელიც ფლობს ზოგად ინფორმაციას ბავშვის შესახებ და რომელიც დაიცავს მის ინტერესებს. თავშესაფრის საკითხის განხილვის ყველა საფეხურზე უნდა არსებობდეს კვალიფიციური იურიდიული წარმომადგენლის დახმარებით სარგებლობის საშუალება. ბავშვთა მიერ წარდგენილ თავშესაფრის განაცხადს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და მათი განხილვა უნდა მოხდეს სპეციალურად მომზადებულ გადაწყვეტილების მიმღებთა და თარჯიმანთა მონაწილეობით ჩვეულებრივ პროცედურულ რეჟიმში. გასაუბრება უნდა ჩატარდეს ბავშვებისათვის მეგობრულ გარემოში. ასევე, ბავშვებთან დაკავშირებული საქმეები ითხოვს ეჭვის განმცხადებლის სასარგებლოდ განმარტების პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენებას. გოგონებს და ვაჟებს, რომელთა თავშესაფრის მოთხოვნაც არ დაკმაყოფილდა, უნდა ჰქონდეთ გასაჩივრების უფლება, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს.

5.4.2 ხანდაზმული განმცხადებლები

ხანდაზმული განმცხადებლები ქმნიან სპეციალურ ჯგუფს, რომელიც ნაკლებად მოწვევლად კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ გააჩნია განსაკუთრებული საჭიროებები, რომლებიც, შესაძლოა, გადაუდებელი იყოს.

გადაწყვეტილების მიმღებებმა, რომლებიც განიხილავენ ხანდაზმული მამაკაცისა თუ ქალის მიერ წარდგენილ თავშესაფრის მოთხოვნას, უნდა გაითვალისწინონ მათი ასაკი. განმცხადებლის ასაკს შესაძლოა მნიშვნელობა ჰქონდეს იმის დასადგენად, აქვს თუ არა პირს დევნის საფუძვლიანი შიში; მაგალითად, ამა თუ იმ გატარებული ზომის მის სიტუაციაზე გავლენის გამო. განმცხადებლის ასაკი ასევე შესაძლოა იყოს გასათვალისწინებელი ფაქტორი სანდოობის შეფასებისას.

5.4.4 ფსიქიკური პრობლემების მქონე განმცხადებლები

თუ შესაძლებელია, საჭიროა სამედიცინო ექსპერტის რჩევის მიღება ფსიქიკური აშლილობის სახესა და სიმძიმესთან დაკავშირებით და იმის დასადგენად, რამდენად შეუძლია პირს საქმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. საქმის დეტალური შესწავლა დამოკიდებულია სამედიცინო დასკვნის შედეგებზე. როგორც წესი, მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში უფრო მსუბუქია, ვინაიდან პირის მიერ გაკეთებული განცხადებების გათვალისწინება და შეფასება მოხდება მისი გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისად.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლტოლვილის სტატუსის მსურველ განმცხადებელთა უმეტესობა თუ არა, დიდი ნაწილი მაინც, ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ყველა საქმის განხილვისას გამსაუბრებლებმა და გადაწყვეტილების მიმღებებმა გამოიჩინონ ყურადღება მსგავსი სახის პრობლემების მიმართ.

ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურები

- აუცილებელია, რათა სახელმწიფოებს შეეძლოთ ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულება.
- დადგენა უნდა იყოს სამართლიანი, შედეგიანი და ითვალისწინებდეს პროცედურულ გარანტიებს, რომელიც პასუხობს როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული სამართლის, ისე გლუკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის შესაბამის დასკვნებში ასახული სტანდარტებისა და პრინციპების მოთხოვნებს.

ძირითადი პრინციპები

- თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ფაქტების დადგენის პასუხისმგებლობა ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურებში განაწილებულია განმცხადებელსა და გადაწყვეტილების მიმღებს შორის.
- თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს სრული და სანდო ანგარიში იმ ფაქტებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი საქმისთვის. გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა მისცეს მიმართულება განმცხადებელს და ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით დააზუსტოს საექსპო ფაქტები.
- გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა შეაფასოს ნებისმიერი მტკიცებულების სარწმუნოება და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ჩვენებების სანდოობა. სანდოობა დასტურდება მაშინ, როდესაც განმცხადებელი წარადგენს მოთხოვნას, რომელიც არის თანმიმდევრული, სანდო, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებთან შესაბამისი და, აქედან გამომდინარე, სარწმუნო.
- თუკი ეჭვის ელემენტები კვლავ არსებობს, მაგრამ მონაყოლი მთლიანობაში არის თანმიმდევრული და სანდო, ეჭვი განმცხადებლის სასარგებლოდ უნდა გაქარწყლდეს.

სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურები

ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალურად დადგენის ეროვნული პროცედურები უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ლტოლვილის სტატუსის ყველა მოთხოვნა განხილულ უნდა იქნას სპეციალურად დადგენილი პროცედურების შესაბამისად. სასურველია, რომ იმ ადამიანთა განაცხადების შეფასება, რომლებიც ითხოვენ ლტოლვილის სტატუსს ან დაცვის რაიმე სხვა ფორმას, მოხდეს ერთიანი პროცედურის ფარგლებში.
- თავშესაფრის მოთხოვნები უნდა განხილვას კონკრეტულმა ცენტრალურმა ორგანომ, რომლის თანამშრომლებსაც გააჩნიათ სათანადო ცოდნა და უნარები. ხელისუფლების სხვა ორგანოში წარდგენილი განაცხადები უნდა გადაიგზავნოს თავშესაფრის სპეციალიზებულ ორგანოში.

- ნებისმიერი განმცხადებელი, რომელიც წარადგენს მოთხოვნას საზღვარზე, საუკეთესო შემთხვევაში უნდა შემოუშვან ქვეყნის ტერიტორიაზე და უზრუნველყონ იგი დარჩენის დროებითი უფლებით მანამ, სანამ არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. არ შეიძლება პირს მიღებაზე უარის ეთქვას იმ მიზეზით, რომელიც უკავშირდება მოთხოვნის არსს ისევე, როგორც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტები.
- განმცხადებლებს მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციაზე პროცედურების ხასიათისა თუ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მათ უნდა ჰქონდეთ გლუკ-თან და სხვა სააგენტოებთან დაკავშირების შესაძლებლობა, რომლებსაც შეუძლიათ პროცედურებთან მიმართებით რჩევის მიცემა და/ან იურიდიული (სასამართლოში) წარმომადგენლით უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს განმცხადებლების უზრუნველყოფა კვალიფიციური და მიუკერძოებელი თარჯიმნების დახმარებით.
- უნდა მოხდეს თითოეული განაცხადის ინდივიდუალურად შეფასება და პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს თავშესაფრის მაძიებელთან პირად გასაუბრებას.
- თავშესაფრის პროცედურების ნებისმიერ საფეხურზე დაცული უნდა იყოს თავშესაფრის მოთხოვნის ყველა ასპექტის კონფიდენციალურობა,
- ყველა განმცხადებელმა უნდა მიიღოს წერილობითი პასუხი როგორც დაშვებასთან, ასევე თვითონ მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.
- ნებისმიერ პირს, რომლის განაცხადიც დაუშვებლად იქნება ცნობილი ან არ დაკმაყოფილდება არსებითი განხილვის შემდეგ, აქვს უფლება, მოითხოვოს გასაჩივრება ან საქმის ხელმეორედ გადახედვა იმ ორგანოს მიერ, რომელიც დამოუკიდებელია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მიმდებარეგან. ამასთან, მას აქვს უფლება, რომ დარჩეს ქვეყნის ტერიტორიაზე მანამ, სანამ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესი არ დასრულდება.

სპეციალური პროცედურები

- დაჩქარებული პროცედურების გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს თავშესაფრის გარკვეული სახის მოთხოვნის შემთხვევაში. ეს ეხება:
 - აშკარად საფუძვლიან განაცხადებს;
 - აშკარად დაუსაბუთებელ განაცხადებს, რომლებიც არ უკავშირდებიან ღტოლვილის 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს ან თავშესაფრის მინიჭების ნებისმიერ სხვა კრიტერიუმს.

ობოროტად გამოყენების მიზნით ან თაღლითურად გაკეთებულ განაცხადებს, რაც გულისხმობს იმ პირების მიერ გაკეთებულ განაცხადებს, რომლებიც აშკარად არ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას; ასევე, იმგვარ განაცხადებს, როდესაც პირი თაღლითობს ან ცრუობს.

- იმ ქვეყანაში, რომელშიც დამკვიდრებულია სპეციალური პროცედურები საერთაშორისო აეროპორტში წარდგენილი თავშესაფრის მოთხოვნის განსახილველად, აუცილებელია, რომ გადაწყვეტილებას იღებდეს თავშესაფრის ცენტრალური ორგანო და დაცული იყოს სპეციალური პროცედურული ზომები და გარანტიები.

სპეციალური ზომები განსაკუთრებული საჭიროების მქონე განმცხადებლებისთვის

- თავშესაფრის ქალ მაძიებლებთან გასაუბრების ჩასატარებლად უნდა არსებობდნენ მუშაკები, რომლებიც საგანგებოდ იქნებიან მომზადებული. აუცილებელია მდებარეობითი სქესის გამსაუბრებლების და თარჯიმნების ხელმისაწვდომობა.
- განცალკევებული ან თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების მიერ წარდგენილი ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის განაცხადზე მუშაობისას დაცული უნდა იქნას სპეციალური პროცედურული გარანტიები; საჭიროა ბავშვთა ექსპერტების, ისევე როგორც სპეციალურად მომზადებულ გადაწყვეტილების მიმღებთა და თარჯიმანთა მონაწილეობა. ბავშვთა მიერ წარდგენილ თავშესაფრის განაცხადს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.
- ხანდაზმულ პირთა მიერ წარდგენილი თავშესაფრის მოთხოვნის განხილვისას, როგორც დევნის საფუძვლიანი შიშის, ასევე სანდოობის შეფასებასთან მიმართებით გათვალისწინებულ უნდა იქნას მათი ასაკი.
- ფსიქიკური პრობლემების მქონე განმცხადებლების შემთხვევაში, თუკი შესაძლებელია, საჭიროა სამედიცინო ექსპერტის რჩევის მიღება ფსიქიკური აშლილობის სახესა და სიმძიმესთან დაკავშირებით.

გლუკ-ი, ლტოლვილის სტატუსის დადგენის კრიტერიუმების და პროცედურების სახელმძღვანელო, 1979, ახალი რედაქცია, უენევა, იანვარი 1992.

გლუკ-ი, თავშესაფრის მინიჭების პროცესი (თავშესაფრის მინიჭების სამართლიანი და ეფექტიანი პროცედურები), EC/GC/01/12, 31 მაისი, 2001.

გლუკ-ი, განმარტებითი ფურცელი თავშესაფრის განაცხადში მტკიცების ტვირთის და მოთხოვნის შესახებ, 16 დეკემბერი, 1998.

გლუკ-ი, თანმხლების გარეშე მყოფ თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებთან დაკავშირებით შემუშავებული მიდგომებისა და პროცედურების სახელმძღვანელო, თებერვალი, 1997.

საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი (ICRC), გადარჩენის საერთაშორისო კომიტეტი (IRC), გადავარჩინოთ ბავშვები/Save the Children, დიდი ბრიტანეთი (SCUK), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), გლუკ-ი, World Vision International (WVI), შიდა სახელმძღვანელო პრინციპები განცალკევებული ან თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების შესახებ, უენევა, 2004.

თავშესაფრის მინიჭების პროცედურებთან დაკავშირებული აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნები:

- No. 8 (XXVIII) – 1977, ლტოლვილის სტატუსის დადგენის შესახებ;
- No. 15 (XXX) – 1979, თავშესაფრის ქვეყნის გარეშე მყოფი ლტოლვილების შესახებ ;
- No. 30 (XXXIV) – 1983, ლტოლვილის სტატუსის ან თავშესაფრის მოთხოვნის აშკარად უსაფუძვლო ან ბოროტად გამოყენების მიზნით წარდგენილი განაცხადების პრობლემის შესახებ;
- No. 58 (XL) – 1989 , იმ ლტოლვილების და თავშესაფრის მაძიებლების შესახებ, რომლებმაც წესის დარღვევით დატოვეს ის ქვეყანა, რომელშიც ისინი უკვე სარგებლობდნენ დაცვით.
- No. 64 (XVI) – 1990, ქალი ლტოლვილების და საერთაშორისო დაცვის შესახებ;
- No. 73 (XLIV) – 1993, ლტოლვილთა დაცვის და სექსუალური ძალადობის შესახებ;
- No. 82 (XLVIII) – 1997, თავშესაფრის გარანტიების შესახებ;

სამართლიანი და ეფექტიანი საშუალებების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა საგანგებოდაა საზგასმული აღმასრულებელი კომიტეტის საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად დასკვნებში:

No. 29 (XXXIV) – 1983; No.55 (XL) – 1989; No. 65 (XLII) – 1991; No. 68 (XLIII) – 1992;
No. 71 (XLIV) – 1993; No. 74 (XLV) – 1994; No. 81 (XLVIII) – 1997; No. 85 (XLIX) – 1998;
No. 92 (LIII) – 2002;

თავი 5 – სავარჯიშოები

საქმე 1

ატლანტის რესპუბლიკა 1985 წელს მიუერთდა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციას და 1967 წლის ოქმს. მიერთების შემდეგ მალევე გაიხსნა ლტოლვილის სტატუსის დამდგენი ოფისი (RDO) და გამოიყო ლტოლვილთა საჩივრების განმხილველი კომისია (RAC). RDO-ს ევალება განიხილოს საზღვარსა თუ ატლანტის ტერიტორიაზე წარდგენილი თავშესაფრის მოთხოვნები. გლუკ-ი ესწრება RDO-ს ყველა შეხვედრას დამკვირვებლის/მრჩეველის სტატუსით. განმცხადებლებს, რომელთა მოთხოვნაც არ დააკმაყოფილა RDO-მ, შეუძლიათ გაასაჩივრონ გადაწყვეტილება RAC-ში, რომელიც როგორც დამოუკიდებელი საბჭო, განიხილავს მათ საჩივრებს ფაქტებთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხების ჭრილში. განმცხადებლებს შეუძლიათ დარჩნენ ატლანტის ტერიტორიაზე მანამ, სანამ მათ საჩივართან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანენ. RDO წელიწადში დაახლოებით 3,000 საქმეს განიხილავს.

გასულ წელს თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაიზარდა 9,000-მდე. მთავრობა ამ დროისათვის მსჯელობს კანონმდებლობაზე, რომელიც ქვეყანაში შეცვლის სტატუსის დამდგენ პროცედურებს. განიხილება შემდგომი ძირითადი ცვლილებები:

1. ყველა განაცხადი უნდა გაკეთდეს საზღვარზე ან ქვეყანაში შემოსვლის შემდგომ არაუგვიანეს 48 საათისა. განაცხადები, რომლებიც მოცემულ ვადაზე გვიან იქნება წარდგენილი, არ დაიშვება განხილვაზე;
2. ამასთანავე, განაცხადი არ დაიშვება, თუ:
 - ა განმცხადებელი მანამდე იმყოფებოდა ქვეყანაში, რომელიც იცავს არგამკვეთების პრინციპს და არ დააბრუნებდა თავშესაფრის მაძიებელს წარმოშობის ქვეყანაში.
 - ბ თუ განაცხადი არის აშკარად უსაფუძვლო ან არაკეთილსინდისიერი.
3. გადაწყვეტილებას განაცხადის დასაშვებობის შესახებ მიიღებს დაცვის პოლიცია. პირები, რომელთა განაცხადსაც დაუშვებლად ცნობენ, დაუყოვნებლივ იქნებიან გაძევებულნი ქვეყნიდან. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია.
4. საქმის მიღების შემთხვევაში განმცხადებელს გაესაუბრება საიმპიგრაციო სამსახურის ოფიცერი, რომელიც RDO-ში გააგზავნის გასაუბრების მოკლე შინაარსს სანდობასთან დაკავშირებულ კომენტართან ერთად. RDO მიიღებს გადაწყვეტილებას საიმპიგრაციო სამსახურის ოფიცრის მიერ წარდგენილ ანგარიშზე დაყრდნობით. თუკი საჭიროდ მიიჩნევს, მას შეუძლია განმცხადებელი გასაუბრებაზე მოიწვიოს.
5. RAC-ი გაუქმდება. განმცხადებელს, რომლის მოთხოვნაც არ დააკმაყოფილა RDO-მ, შეეძლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სასამართლოში.
მთავრობამ გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული ცვლილებები ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალს.

1. როგორი იქნება თქვენი კომენტარი არსებულ პროცედურასთან დაკავშირებით?	
2. გადახედეთ შემოთავაზებულ ცვლილებებს და გამოთქვით აზრი თითოეულ მათგანთან დაკავშირებით.	
ცვლილება (1)	
ცვლილება (2)	
ცვლილება (3)	
ცვლილება (4)	
ცვლილება (5)	

<p>საქმე მ</p> <p>მაჰმუდი 14 წლის იყო, როცა ნორდლანდში ჩავიდა. მან მშობლებთან ერთად დატოვა წარმოშობის ქვეყანა, ისტლანდი, მაგრამ გამგზავრების პროცესში დაკარგა მათთან კავშირი. იგი მარტო ჩამოვიდა ნორდლანდში. მაჰმუდმა დედაქალაქში პოლიციას მიმართა და განუცხადა, რომ სურდა ეთხოვა თავშესაფარი.</p> <p>პოლიციამ ჩაიწერა მისი მიმართვა და წერილობით განაცხადთან ერთად გააგზავნა საქმის მასალები თავშესაფრის ცენტრალურ ორგანოში, თავშესაფრის ოფისში. პასუხისმგებელმა პირმა თავშესაფრის ოფისში გადახედა მასალებს და განაცხადი დასაშვებად ცნო. მან გადაწყვიტა, რომ მაჰმუდის საქმის განხილვა დაჩქარებულ რეჟიმში უნდა მომხდარიყო აშკარად დაუსაბუთებელი განაცხადის გამო, ვინაიდან ისტლანდი უსაფრთხო ქვეყნების ჩამონათვალში იყო მოხსენიებული.</p> <p>წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით, საქმე გადაეცა თავშესაფრის სამსახურის სხვა თანამშრომელს. ნორდლანდის კანონმდებლობის თანახმად, მაჰმუდი მეორე დილას მიიყვანეს თავშესაფრის სამსახურში გასაუბრებისთვის, რათა დაედგინათ, ემუქრებოდა თუ არ მას დევნა ისტლანდში.</p> <p>მაჰმუდი არ საუბრობს ნორდლანდის ენაზე. მან იკითხა, იყო თუ არა თარჯიმნის დახმარების საშუალება, მაგრამ ვინაიდან თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელს და თავად მაჰმუდს ესმოდათ ცოტაოდენი ინგლისური, თანამშრომელმა გადაწყვიტა გასაუბრება ინგლისურად ჩაეტარებინა. მაჰმუდს ჰკითხეს, თუ რა იყო მისი გამოფრენის მიზეზი. თანამშრომელი ასევე დაინტერესდა ისტლანდში არსებული მდგომარეობით. მოქმედი პროცედურის მიხედვით, მაჰმუდს ერთ კვირაში წერილობითი ფორმით აცნობეს გადაწყვეტილების შესახებ.</p>	
<p>თქვენ გთხოვს გამოგეხატათ საკუთარი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ წარმართა მაჰმუდის საქმე. გამოყავით საქმის ნებისმიერი ასპექტი, რომელიც თქვენ მიგაჩნიათ მნიშვნელოვნად როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტში. სადაც საჭიროა, ახსენით, თუ რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული სანაცვლოდ.</p>	
დადებითი	უარყოფითი

მეხუთე თავის სავარჯიშოების პასუხები

საქმე ლ

1. კომენტარები მოქმედ პროცედურასთან დაკავშირებით:	
<p>პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ატლანტის რესპუბლიკაში მოქმედი პროცედურა ზოგადად კარგია. ჩვენ არ გავგაჩნია ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ რეგულირდება თავშესაფრის მინიჭების პროცესი, მაგრამ არსებული სტრუქტურა სავარაუდოდ იძლევა რიგ მნიშვნელოვან გარანტიებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ყველა განმცხადებელს შეუძლია დარჩეს ატლანტაში მანამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული განაცხადთან დაკავშირებით. ▪ არსებობს სპეციალური თავშესაფრის ორგანო, რომელიც განიხილავს თავშესაფრის ყველა განაცხადს; ▪ გლუკ-ს გააჩნია დამკვირვებლის/მრჩევლის სტატუსი. რაც მას საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს, თუ რამდენად იცავს ატლანტის რესპუბლიკა 1951 წლის კონვენციისა და 1967 ოქმის მოთხოვნებს. ▪ პროცედურა ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობას დამოუკიდებელ ორგანოში, რომელიც საქმეს სრულყოფილად შეისწავლის. <p>იმ ზომების მიღების სანაცვლოდ, რომელიც მნიშვნელოვნად დასწევდა არსებულ სტანდარტებს და საფრთხეს შეუქმნიდა თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთაც ეკუთვნით ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა, მიზანშეწონილი იქნება, თუ ატლანტის რესპუბლიკა გაზრდის რესურსებს სისტემაში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ თანამშრომელთა რიცხვის გაზრდა ბევრად მომგებიანია იმ ხარჯებთან შედარებით, რომელსაც მოითხოვს სტატუსის დამდგენი განსაკუთრებით ხანგრძლივი პროცედურა.</p>	
2. კომენტარები შემოთავაზებული ახალი პროცედურის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით:	
ცვლილება (1)	<p>დებულება დროში შეზღუდვებთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს. აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა No. 15 (XXX) თავშესაფრის ქვეყნის არმქონე ლტოლვილების შესახებ (i) პარაგრაფში განმარტავს: „მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრის მაძიებლებს შესაძლოა მოეთხოვებოდეთ თავშესაფრის შესახებ განაცხადის წარდგენა გარკვეულ მინიმალურ დროში, ამის ვერ მოხერხებამ ან სხვა ფორმალური მოთხოვნის შეუსრულებლობამ არ უნდა გამოიწვიოს თავშესაფრის მოთხოვნის განხილვის გამორიცხვა.“ ვადის დაუცველობის გამო თავშესაფრის პროცედურებში დაუშვებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს იმ პირის უკან დაბრუნება, რომელსაც 1951 წლის კონვენციაში მითითებული მიზეზით გამოწვეული დენის საფუძვლიანი შიში გააჩნია – რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული შემოთავაზებული დებულების ამოქმედებით ატლანტის რესპუბლიკამ შესაძლოა დაარღვიოს 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლით განმტკიცებული <i>არგაძევების</i> პრინციპი, რომლის დაცვაც ევალება.</p>

<p>ცვლილება (2)</p>	<p>დებულება (2)(ა) არ არის სრული. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი დასაშვებად თვლის თავშესაფრის მაძიებელთა დაბრუნებას „პირველადი თავშესაფრის ქვეყანაში“ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ის ფაქტი, რომ ქვეყანა იცავს არგადევების პრინციპს, არ არის საკმარისი. 1951 წლის კონვენციის და/ან 1967 წლის ოქმის შესაბამისი დაცვა უნდა იყოს ეფექტური და რეალურად მოქმედი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნამდვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირისათვის. „უსაფრთხო მესამე ქვეყანაში“ დაბრუნება, სადაც პირს შეეძლო მოეთხოვა თავშესაფარი, ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო პრინციპებთან შესაბამისობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვა, თუ განმცხადებლის თავშესაფრის მოთხოვნა სათანადოდ იქნება განხილული იმ ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს, რომ თავშესაფრის სისტემა სრულყოფილად ფუნქციონირებდეს პრაქტიკაში.</p> <p>(2)(ბ) დებულებასთან მიმართებით არსებობს ორი ძირითადი პრობლემა:</p> <ul style="list-style-type: none"> I ტერმინები „აშკარად უსაფუძვლო“ და „სარგებლის მიღების მიზნით“ ნათლად უნდა იყოს განმარტებული აღმასრულებელი კომიტეტის No. 30 (XXXIV) დასკვნასთან (პარაგრაფი (დ)) მიმართებით. II განაცხადის აშკარად უსაფუძვლოდ და სარგებლის მიღების მიზნით წარდგენილად ცნობის კრიტერიუმი ეხება საფუძვლიანობას და, შესაბამისად, არსებობას (იხ.: აღმასრულებელი კომიტეტის 30-ე დასკვნა, პარაგრაფი (e)(ii)). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მსგავსი განაცხადების დაჩქარებულ რევიზიაში განხილვა, ამას არ უნდა მოჰყვეს გადაწყვეტილება განაცხადის დაუშვებლობის შესახებ. კანონპროექტის აღნიშნულ ნაწილში საჭიროა ცვლილების შეტანა.
<p>ცვლილება (3)</p>	<p>დებულება უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს.</p> <ul style="list-style-type: none"> I დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა პირის დაბრუნება „თავშესაფრის პირველად ქვეყანაში“ ან „უსაფრთხო მესამე ქვეყანაში“, უნდა იღებდეს თავშესაფრის სპეციალური ორგანო. აღნიშნული ასევე ეხება აშკარად უსაფუძვლო ან თადლითურ განაცხადებს, რომელთაც არ უნდა მოჰყვეს, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, გადაწყვეტილება დაუშვებლობის შესახებ. კანონპროექტი უნდა მიუთითებდეს სასაზღვრო პოლიციას, რომ მან მხოლოდ უნდა დაარეგისტრიროს თავშესაფრის თითოეული მოთხოვნა და გადააგზავნოს თავშესაფრის მიმნიჭებელ ორგანოში, რათა ამ უკანასკნელმა ჩაუტაროს გასაუბრება განმცხადებელს.

	<p>II უნდა არსებობდეს ყველა უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება, იქნება ეს დასაშვებობის სტადია თუ პირველი ინსტანცია (ეს ეხება აშკარად უსაფუძვლო და სარგებლის მიღების მიზნით წარდგენილ განაცხადებსაც). განმცხადებელს არ უნდა ეთქვას უარი საზღვარზე; იგი არ უნდა გააძევევონ და არც ძალით გაიყვანონ ქვეყნის ტერიტორიიდან მანამ, სანამ საჩივართან დაკავშირებით არ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება (იხ.: აღმასრულებელი კომიტეტის 30-ე დასკვნა, პარაგრაფი (e)(III)).</p>
<p>ცვლილება (4)</p>	<p>მოცემული დებულება უნდა შეიცვალოს. ცვლილების თანახმად, RDO-ო იღებს გადაწყვეტილებს საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლის ანგარიშზე დაყრდნობით, არადა მას უკეთესი დაკვნის გამოტანა შეუძლია, თუ თავად დაუსვამს კითხვებს განმცხადებელს და განსჯის, წარმოადგინა თუ არა მან სარწმუნო ინფორმაცია. სანდოობის შეფასება ძალზე მნიშვნელოვანია და საუკეთესო გზა ამისთვის არის პირადი გასაუბრების ჩატარება. მაშასადამე, ახალი პროცედურა უნდა ითვალისწინებდეს ყველა განმცხადებლისთვის პირადი გასაუბრების ჩატარებას RDO-ს კვალიფიციური თანამშრომლის მიერ (იხ.: აღმასრულებელი კომიტეტის 30-ე დასკვნა, პარაგრაფი (e)(i)).</p>
<p>ცვლილება (5)</p>	<p>მოცემული დებულება ამოსადებია. აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა ო. 8 (XXVIII) ლტოლვილის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებით ცალსახად განმარტავს, რომ განმცხადებლებს, რომელთა აღიარებაც არ მოხდა, „უნდა მიეცეთ გონივრული ვადა, რათა შეიტანონ საჩივარი გადაწყვეტილების ფორმალურად გადახედვასთან დაკავშირებით იმავე ან სხვა ორგანოში, იქნება ეს ადმინისტრაციული თუ სასამართლო ორგანო ქვეყანაში მოქმედი სისტემის მიხედვით.“ სრული გასაჩივრება, რომელიც გულისხმობს საქმის როგორც არსებით, ასევე სამართლებრივ ჭრილში გადახედვას და არა მხოლოდ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით, აბსოლუტურად მნიშვნელოვანია ლტოლვილის სტატუსის დადგენის ნებისმიერი პროცედურისას.</p>

საქმე 6

თქვენ გთხოვს კომენტარის გაკეთება მაჰმუდის საქმის განხილვასთან დაკავშირებით. ჩამოთვალეთ ყველა ის ასპექტი, რომელიც მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ. სადაც საჭიროა, ახსენით, თუ რა ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული სანაცვლოდ.

დადებითი	უარყოფითი
<ul style="list-style-type: none"> ▪ მაჰმუდმა წარადგინა თავშესაფრის განაცხადი პოლიციაში, რომელმაც გადააგზავნა ის თავშესაფრის სამსახურში. დაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო თავშესაფრის მიმნიჭებელმა ცენტრალურმა ორგანომ. აღნიშნული აკმაყოფილებს სამართლიანი პროცედურების მოთხოვნებს. ▪ ნორდლანდის კანონმდებლობა ითვალისწინებს აშკარად უსაფუძვლო განაცხადების შემთხვევაში დაჩქარებულ პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება თავშესაფრის მაძიებლების მიმართ იმ ქვეყნებიდან, რომლებიც შედიან „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების“ ჩამონათვალში (უცნობია, თუ რა კრიტერიუმები გამოიყენება ქვეყნის მოცემულ სიაში შესაყვანად). პროცედურა მსგავს შემთხვევაში მოიცავს გასაუბრებას იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა კონკრეტული პირისათვის იქნას უსაფრთხოდ მიჩნეული ესა თუ ის ქვეყანა. ▪ პროცედურა ასევე ითვალისწინებს განმცხადებლისათვის გადაწყვეტილების წერილობითი ფორმით მიწოდების უზრუნველყოფას. საქმის შინაარსიდან არ ჩანს, მოიცავს თუ არა მოცემული გადაწყვეტილება ინფორმაციას გასაჩივრების შესაძლებლობაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მაჰმუდი 14 წლის იყო, როდესაც ითხოვა თავშესაფარი. ის მარტო ჩამოვიდა ნორდლანდში. თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების განაცხადების განხილვასთან დაკავშირებით <i>სააგენტოებს შორის სახელმძღვანელო პრინციპების</i> თანახმად, ნორდლანდის ხელისუფლებას უნდა დაენიშნა მაჰმუდისთვის მზრუნველი, რომელიც დაიცავდა მის ინტერესებს და კვალიფიციური იურისტი, რომელიც დაეხმარებოდა თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებში. ▪ თავშესაფრის სამსახურმა დასაშვებად ცნო მაჰმუდის განაცხადი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქმის განხილვა სწრაფად მოხდა, ეს ფაქტი მისასალმებელია, თუმცა მოცემული განაცხადი უნდა განხილულიყო თავშესაფრის მინიჭების პროცედურის ჩვეულებრივ რეჟიმში; დაჩქარებული რეჟიმის გამოყენება დაუშვებელია თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების განაცხადების განხილვისას. ▪ ზემოხსენებულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ნორდლანდში მოქმედი „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნებიდან“ შემოსული განაცხადების განხილვის პროცედურა ითვალისწინებს მნიშვნელოვან გარანტიებს, მათი გამოყენება არ უნდა მომხდარიყო მაჰმუდის საქმეში. „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნის“ მსგავსი კონცეფციები არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ.

	<ul style="list-style-type: none"> ▪ მაჰმუდის საქმის განხილვა წინასწარგანსახილველი სიის თანახმად დაევალა თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელს. მას შესაძლოა ჰქონოდა ან არ ჰქონოდა მიღებული სპეციალური ცოდნა, რომელიც აუცილებელი ბავშვების მიერ წარდგენილი განაცხადების განხილვისთვის. არ შეიძლება აღნიშნული საკითხის უყურადღებოდ დატოვება – ბავშვების მიერ წარდგენილი განაცხადები უნდა განიხილოს მხოლოდ ისეთმა თანამშრომელმა, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ▪ მაჰმუდს არ მოუყვანეს თარჯიმანი იმისდა მიუხედავად, რომ მან ითხოვა დახმარება; ისიც და გადაწყვეტილების მიმღებიც მხოლოდ „მწირ“ ინგლისურს ფლობდნენ. აღნიშნული სერიოზულ პრობლემას ქმნის, რამეთუ შეიძლებოდა მნიშვნელოვნად ემოქმედა მაჰმუდის შესაძლებლობაზე, აეხსნა გამოფრენის მიზეზი და გაექარწყლებინა ვარაუდი, რომ ისტლანდი წარმოშობის უსაფრთხო ქვეყანაა მისთვის (რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ რიგში, მის მიმართ არ უნდა გამოყენებულიყო).
--	--